

# საბავშვო საბავშვო



# საჭმომთა სამკრთაღი

N 6

ნოემბერი,  
დეკემბერი  
1985 წელი

შურნალი გამოდის 1928 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
შმალენი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## შინაარსი

განმეორების განმეორება კარტიის საკომპარტო ამოცანა . . . . .	3
<u>განვიხილავთ ახალ კარტიულ დოკუმენტებს</u>	
კ. გატიკოვი — პროკურატურის როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში . . . . .	8
ბ. თორღია — საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომელთა სამართლ- ბრივი ალყრდა . . . . .	11
<u>ფ. ანგელის დაბადების 185 წლისთავისათვის</u>	
გარად უმკნობი მომღვრება განმეორებული ერების ორგანიზაციის 40 წლისთავისათვის . . . . .	17
<u>ლ. ალექსიძე — მსოფლიოში შოვიდოგანი თანაარსებობისათვის</u>	19
<u>10 ნოემბერი საჭმომთა მილიციის დღეა</u>	
შ. გორგოძე — არ დავიდნოთ სახალხო დოვლათის დამატებებში სახელმწიფო სტანდარტების შექმნის 80 წლისთავისათვის . . . . .	25
<u>ნ. გორგოძიანი — კოლმუშვიის ხარისხის უფლებრივი რეზულირება</u>	29
ა. გაზიანი — ნაყოფიერი შრომის ათი წელი . . . . .	33
<u>კანონის ქალა — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ</u>	
ბ. ბერეჟივილი — კომპლექსუდა, უკომპრომისოდ ლექციათა თემატიკა ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაქლირება- ბის საქითებოდა. ლექციების ჩატარების რეკომენდაციები . . . . .	40 43
<u>ოფიციალური მასალა</u>	
წესები საქართველოს შ რესპუბლიკაში საბინაო კონსტრუქციასა და უფროგანსა მოქალაქეთა აღრიცხვისა და სავსოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ . . . . .	45
<u>კანონის კომენტარი</u>	
დ. სუხიტაშვილი — სიხალენი სავსოვრებელი სადგომის მიცემის წესებში . . . . .	61
<u>აკადემიკოს ი. დოღვის დაბადების 70 წლისთავი</u>	
ს. გოგიენავა — გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე . . . . .	66
<u>პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე</u>	
მწვავედ, კრიტიკულად, საქმიანად . . . . .	71
ინფორმაცია . . . . .	75
თემიდას დიმილი . . . . .	79
ცნობები ავტორთა შესახებ . . . . .	80



СОДЕРЖАНИЕ

Укрепление законности — программная задача партии . . . . . 3

**Рассматриваем новые партийные документы**

**П. Гатикоев** — Роль прокуратуры в ускорении научно-технического прогресса . . . . . 8

**Б. Тордия** — Общественные организации и правовое воспитание трудящихся . . . . . 11

**К 165-летию со дня рождения Ф. Энгельса**

Вечно неувядаемое учение . . . . . 17

**К 40-летию Организации Объединенных наций**

**Л. Алексидзе** — К мирному сосуществованию . . . . . 19

**10 ноября — День советской милиции**

**Ш. Горгодзе** — Расхитителям народного добра — нет пощады . . . . . 25

**К 60-летию создания государственных стандартов**

**Н. Гиоргобиани** — Правовое регулирование качества продукции . . . . . 29

**А. Габiani** — Десять лет плодотворного труда . . . . . 33

**Силу закона — против пьянства и алкоголизма**

**Г. Бердзенишвили** — Комплексно, без компромисса . . . . . 40

**Тематика лекций по вопросам усиления борьбы с пьянством и алкоголизмом**

Рекомендации по проведению лекций об усилении борьбы с пьянством и алкоголизмом . . . . . 43

**Официальный материал**

Об утверждении правил учета граждан, нуждающихся в улучшении жилищных условий, и предоставления жилых помещений в Грузинской ССР . . . . . 46

**Комментарий закона**

**Д. Сухиташвили** — Новшества в правилах предоставления жилых помещений . . . . . 61

**К 70-летию со дня рождения академика И. Долидзе**

**С. Гогинава** — Выдающийся ученый, общественный деятель . . . . . 66

**На отчетно-выборных собраниях партийных организаций**

Остро, критически, по-деловому . . . . . 71

Информация . . . . . 75

Улыбка Фемиды . . . . . 79

Сведения об авторах . . . . . 80



მთავარი რედაქტორი: ლ. თვალავაძე.

სარედაქციო კოლეგია: ლ. ალექსიძე, ა. არსენაშვილი (მეცნიერ-რედაქტორი), გ. ბერძენიშვილი (პ/მგ. მდივანი), ა. გაბიანი, ა. კარანაძე, დ. ლორია, ვ. რაზმაძე, გ. როინიშვილი, თ. შავგულიძე, ა. შუშანაშვილი, ი. ჩიქოვანი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1985 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, კლავსანოვის კრ. 103, ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 22. 11. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 12. 85 წ., ფორმატი 70x1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პარობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,1 შეკვ. № 2778. ტირაჟი 24.300. უე 05656.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# კანონიერების განმტკიცება პარტიის საპროგრამო ამოსანაა

1985

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი დაახასიათა, როგორც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი. „აქ საქმე ეხება, თქვა მან, ჩვენს საპროგრამო მიზნებს, პარტიის გენერალური კურსის, მისი ეკონომიკური სტრატეგიის საკვანძო საკითხებს, მასებში მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ისტორიის თანამედროვე, უადრესად რთულ და პასუხსაგებ მონაკვეთში, რომელსაც მრავალი თვალსაზრისით — როგორც საშინაო — ისე საერთაშორისო თვალსაზრისით — გარდატეხის ხასიათი აქვს“<sup>1</sup>.


სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი უნივერსალური და გლობალური ხასიათის პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც ხანგრძლივი დროით განსაზღვრავს სოციალისტური საზოგადოების განვითარების სტრატეგიასა და ტაქტიკას. იგი მოიცავს პარტულ, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. დოკუმენტში ბუნებრივია, თვალსაჩინო ადგილი ეთმობა და საპროგრამო ამოცანად არის გამოცხადებული სოციალისტური კანონიერების განმტკიცება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში აღნიშნულია, რომ „პარტიის მუდმივი საზრუნავი საგანი იყო და არასახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების, საპროკურორო ზედამხედველობის, იუსტიციისა და მილიციის მუშაობის გაუმჯობესება, სახელმწიფო ორგანოებში მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა სახელისა და ღირსების დაცვა, აწარმოონ მტკიცე ბრძოლა დამნაშავეების წინააღმდეგ, თავიდან აიცილონ ყოველგვარი სამართალდარღვევები და აღმოფხვრან მათი წარმოშობი მიზეზები“<sup>2</sup>.

ამ სტრატეგიული მიმართულების საფუძველთა საფუძველი არის სამართლებრივი ნორმა. ობიექტური კანონებისაგან განსხვავებით, სამართლებრივი ნორმის შემქმნელი და მისი ცხოვრებაში გამტარებელი ადამიანია. აქედან გამომდინარე ადამიანის ფაქტორი არის უპირველესი ბერკეტი ყველა სოციალურ-ეკონომიკური და, მათ შორის, სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის დროს. როგორც მ. ს. გორბაჩოვი აღნიშნავს: „სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დაჩქარებასთან განუყოფელად არის დაკავშირებული საპროგრამო დებულებები იდეოლოგიური მუშაობის დარგშიც. ადამიანები უნდა აღვზარდოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, მართალი სიტყვით და რეალური საქმით, ამასთან პოლიტიკური განათლება, იდეური ზეგავლენა გავერთიანოთ ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, სახელმწიფო, საწარმო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელთა სულ უფრო მზარდ მონაწილეობასთან. მხოლოდ კარგად მოეჭირებული ეკონომიკური სტრატეგიით, ძლიერი სოციალური პოლიტიკითა და მიზანმიმართული იდეურ-აღმშრდელი მუშაობით, მათი განუყოფელი ერთიანობით შეიძლება გვაქატიუროთ ადამიანის ფაქტორი, ურომლისოდაც ვერ გადაწყდება ვერცერთი დასახული ამოცანა. დღეს საკითხი სწორედ ასე დგას“<sup>3</sup>.

ბუნებრივია, ადამიანის ფაქტორის გარეშე შეუძლებელია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების პრობლემის გადაჭრა. ამიტომ არის, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი განმტკიცება დიალექტიკურ ერთიანობაშია ადამიანის კომუნისტურ აღზრდასთან, რომლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი თვლის ბრძოლას „უცხო იდეოლოგიისა და მორალის გამოვლინების, ყველა იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც

1 უტრნ. „საქართველოს კომუნისტი“ 1985, № 11, გვ. 7.  
2 იქვე, გვ. 48.  
3 იქვე, გვ. 10.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.  
პედაგოგიკა



დაკავშირებულია როგორც ადამიანთა შეგნებასა და უოფაცქევაში შემორჩენილ წარსულის გადმონაშთებთან, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში პრაქტიკული მუშაობის ნაკლოვანებებთან, მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტის დაგვიანებასთან. პარტიის უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს შრომის დისციპლინის დარღვევების, დატაცებისა და მექრთამეობის, სპეკულაციის და მუქთახორობის, ლოთობისა და ზულიგნობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობის, მლიქვნელობის, პირმოთენობის თანამიმდევრულ და მტკიცე აღმოფხვრას. საჭიროა სრულად გამოვიყენოთ საამისოდ, როგორც საზოგადოებრივი ზრის ავტორიტეტი, ისე კანონის ძალა. საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მოქალაქეობრივი ვალების მოხდაში უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს კარგ მაგალითს<sup>4</sup>.

ამ მიზნის მისაღწევად უმთავრესი პრობლემაა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრისათვის ბრძოლა, რომელიც ყველა კომუნისტის საწინდებო მოვალეობაა. ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე ძნელია ვებრძოლოთ დატაცებას, სპეკულაციას, ქურდობას და ცხადია, მექრთამეობას. ხოლო იქ, სადაც მექრთამეობაა, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ლაპარაკი არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ კიდევ პოლიტიკის ნახაზიც არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შევქმნით იმიტომ, რომ უოველგვარი ზომები ჰაერში გამოვიდებული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მოიტანს“<sup>5</sup>.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია 1972 წლიდან, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, მტკიცედ და თანამიმდევრულად იბრძვის კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ეს პრობლემა მრავალგზის განუხილავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებს. ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი იყო საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობებზე. ამ პრობლემას მიეძღვნა 1980 წელს გამართული რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და მიმდინარე წლის 8 აგვისტოს რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრება. აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი გახდა. მაგრამ განა შეგვიძლია გულმართლად ვამტკიცოთ, რომ საბოლოოდ მოვსაბუთოთ სოციალისტური ცხოვრების წესისაგან, ჩვენი მორალის მოთხოვნებისაგან გადახრების ნიადაგი? სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით. ცხოვრება ადასტურებს, რომ კერძომესაკუთრული და სხვა წვრილბურჟუაზიული გამოვლინებების დაძლევის პრობლემა ჯერ კიდევ საკმაოდ მწვავედ დგას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვდუნდეთ, არ მივეცეთ თვითღამზიდებას, არ დავკარგოთ სიფხილვე, თვითკრიტიკულობა შეფუასებაში.

რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე ითქვა, რომ ამ პრობლემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევისათვის ბრძოლას კლასობრივი საფუძველი აქვს, რადგან ამ ტენდენციათა გენეზისი ძვეს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულებების სფეროში. მაშასადამე, ეს ბრძოლა პოლიტიკურია. მეორე, რამდენადაც კერძომესაკუთრულ ტენდენციათა მატარებლები უცილობლად ადგებიან ხალხის მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათის უკანონო მითვისების გზას, მათთან ბრძოლა იცავს საზოგადოების სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. მესამე, კერძომესაკუთრების, მომხვეჭელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ვიცავთ ჩვენი მორალის ზნეობრივ იდეალებს, კრიტერიუმებს. მაშასადამე, არის მსოფლმხედველობათა ბრძოლა, ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულების დაინტერესებისათვის ბრძოლა. მხოლოდ ამ სამერთიანობით უნდა გავარჩიოთ კერძომესაკუთრულ ტენდენციათა დაძლევის აქტუალური ამოცანები<sup>7</sup>.

კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრისათვის ბრძოლა რთული საკითხია. ეს სირთულე განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ იგი მოითხოვს კომპლექსურ, ყოველმხრივ მიდგომას — ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, მორალურ და სამართლებრივ დონისძიებით

4 იქვე, გვ. 52.  
 5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 72.  
 6 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 6 აგვისტო.  
 7 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 4 აგვისტო.

შეთანაწყობას, არამედ იმითაც, რომ იგი განეკუთვნება ადამიანის სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ მხარეს. საბჭოთა სამართალი კი მტკიცედ აღვას დემოკრატიულ პრინციპს: „*cogitationis pae-  
nam nemo pacitur*“ (აზრისთვის არავინ ისჯება). მართლაც, ცხადია, რომ შეუძლებელია ვინმეს დასჯა ამა თუ იმ ფსიქიკური მდგომარეობისათვის. ამ პრინციპის არსისა და მნიშვნელობის შესახებ ჭერ კიდევ კარლ მარქსი მიუთითებდა: ჩვენ მოვითხოვთ ხელშეუხებელ სამართლებრივ მდგომარეობას ყოველი უფარგისი არსებისათვის არა იმიტომ, რომ იგი უფარგისია, არამედ იმდენად, რამდენადაც მისი მანკიერება რჩება აზრთა წყობის ფარგლებში, რომლისთვისაც არ არსებობს არც ტრიბუნალი, არც კოდექსი, ამრიგად, აზრთა ცუდ წყობას, რომლისთვისაც არ არსებობს ტრიბუნალი, ჩვენ ვუპირისპირებთ ცუდ ქმედობებს, რომლისთვისაც თუკი ისინი კანონსაწინააღმდეგონი არიან, არსებობს ტრიბუნალი და სასჯელთა დებულება. აქედან გამომდინარე, ადამიანი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია გამოვლინდა საზოგადოებრივად საშიშ ქცევაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ არ ვიბრძოდით ამ მოვლენის ძირის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრისათვის. სწორედ ამგვარ ფსიქოლოგიას თან სდევს ნივთის, სიმდიდრის გაღმერთება, მისთვის პრესტიჟული ღირებულებების მინიჭება, რაც გაზიდვების, ფუფუნების დაუყოვნებელ მოთხოვნილებას აღუძრავს ადამიანს.


ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ ჩნდება კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია? რატომ იძენს ნივთი, სიმდიდრე პრესტიჟულ ღირებულებას, რატომ ხდება მისი გაღმერთება?

ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკვლევის დროს სოფლის სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლემ ანკეტაში ჩაწერა: „მე არ მინდა მასწავლებელი გავხდე, მე შეცოდებიან ჩვენი მასწავლებლები, იმიტომ კი არა, რომ ისინი ბევრად უფრო ღარიბები არიან, ვიდრე ჩვენი სოფლის ნავთის წერტის გამყიდველი, არამედ იმიტომ, რომ სოფლისა და რაიონის თავკაცობა მეტ პატივს სცემს ნავთის წერტის გამგეს, ვიდრე მასწავლებელს“. ამ ერთი შეხედვით, გულუბრყვილო ნათქვამში ღიძი აზრია ჩაქსოვილი. მართლაც, პატიოსანი კაცი შეიძლება ხელმოკლედ ცხოვრობდეს, მაგრამ საჯანჯაშოა ის, რომ ჭიბეგასქელებულ გამფლანგველს სიმდიდრე სოციალურად მაღალ სტატუსს ანიჭებს. საზოგადოებრივმა აზრმა ზოგიერთ მიკროსოციალურ ჯგუფში ზურგი შეაქცია „ღარიბ და პატიოსან“ ადამიანს, ხოლო საქმოსანი „ვაჟაკად“ მოხაზა. მართალია, ასეთ საზოგადოებრივ აზრს ამჟამად ძირითადად დაეკარგა ძალა, მაგრამ როგორც უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჭერ კიდევ ერთგვარ შემწყნარებლობას იჩენს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ისეთი გამოვლინებისადმი, როგორცაა მექრთამეობა, წვრილმანი ღატაცება და სხვ.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინების და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად აღიარებულია საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტისა და კანონის ძალის ეფექტიანად გამოყენება, რადგან კანონის ძალა ღიდად არის დამოკიდებული მასთან საზოგადოებრივი აზრის სოლიდარობაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმეტესი ნაწილი მოწესრიგებულია არაოფიციალური, კვცევის წმინდა სოციალური ნორმებით, რომლებიც მოქმედებენ სოციალური კონტროლის წყალობით. ეს კონტროლი საზოგადოებრივი აზრით არის უზრუნველყოფილი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაწილს სამართლებრივი ნორმის მეშვეობით აწესრიგებს თვით სახელმწიფო. სამართლებრივი ნორმების დადგენით საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა ეძლევა. სამართლებრივი ნორმის შესრულება უზრუნველყოფილია სამართლებრივი სანქციის ძალით. ამ შემთხვევაში სოციალურ კონტროლს უკვე სამართლებრივი კონტროლის ძალა ენიჭება. სამართლებრივი კონტროლი უზრუნველყოფილია არა საზოგადოებრივი აზრით, არამედ სამართლებრივ სანქციითა სისტემით, რომელიც სორციელდება სახელმწიფო იძულების ღონისძიებებით. ამავე დროს ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კანონის ძალა მით უფრო ღიდაა, რაც უფრო მეტ სოციალურ ჯგუფშია გაბატონებული მისი სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი. თუ კანონის სოლიდარული სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი ყველა მიკრო სოციალურ ჯგუფშია გაბატონ-

8 См. К. Маркс, Ф. Энгельс, соч., т. 1, стр. 182—183.  
9 პ. გუგუშვილი ახალგაზრდობის სოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1965 წლის 21 ოქტომბერი.



ნებუღი, მაშინ ამ ნორმის დარღვევა პრაქტიკულად არ ხდება (მაგალითად, სამშობლოს და-  
ლატის ან მათხოვრობის ამკრძალავი ნორმების მიმართ).

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლის-  
ში გამართულ თათბირზე ითქვა, სამართალდამცველმა ორგანოებმა გადაჭრით უნდა გაამწვა-  
ვონ ბრძოლა მექრთამეობის, მისი ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ყველა უწყებასა და და-  
წესებულებაში, მათ შორის ადმინისტრაციულ ორგანოებში. მხედველობაშია მისაღები, რომ  
მმართველობის სფეროში მექრთამეობის ფაქტები არყევს საბჭოთა აპარატის, ხელისუფლების  
ავტორიტეტს, ძირს უთხრის სოციალიზმის საფუძვლებს. „მექრთამეობა, თქვა თათბირზე  
ჭ. პატიაშვილმა, კორუფცია, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება წარმო-  
შობა იქ, სადაც კლებულობს მომთხოვნელობა, სადაც უშვებენ სერიოზულ შეცდომებს კად-  
რების, მათ შორის ხელმძღვანელი რგოლის კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღ-  
ზრდაში“<sup>10</sup>.

ამ გაფრთხილებიდან საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ რესპუბლიკის სამართალდ-  
ვითმა ორგანოებმა და უზრუნველყონ საკადრო პოლიტიკაში ლენინურ მიითებათა განუხ-  
რელად განხორციელება. აუცილებელია მუდმივად, ყოველდღიურად ვიზრუნოთ ჩვენი რიგე-  
ბის სიწმინდისათვის, გადაჭრით ვებრძოლოთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებში მომ-  
ხმარებელურ, მომხვეჭელურ, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინის ფაქტებს. აუ-  
ცილებელია მათ ყველა საძრახ საქმესა და უღირს საქციელს ყოველთვის მიეცეს პარტიული,  
პრინციპული, მკაცრი შეფასება!<sup>11</sup>.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ნაზგასმულია, რომ „საზოგადოებრივ  
და პირად ცხოვრებაში, მოქალაქეობრივი ვალის მოხდაში უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნე-  
ლობა აქვს კარგ მაგალითს“. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება მოსამართლის, პროკურორისა  
და ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკთა პირად მაგალითს, რადგან, როგორც უკვე ითქვა  
მათ საქციელსა და ავტორიტეტზე დიდად არის დამოკიდებული თვით კანონის ავტორიტეტი  
და ძალა. ერთი სიტყვით, დანაშაულის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღ-  
მდეგ ბრძოლაში, აგრეთვე კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრის საქმეში, სკკპ  
პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის, კერძოდ, მისი  
იდეური აღზრდის ფაქტორი.

ადამიანის აღზრდის, მისი ჰარმონიული განვითარების მთავარი გზა ინდივიდუალური  
და საზოგადოებრივი შეგენების ამაღლებაა. ექვევარეშეა, რომ ადამიანის იდეურ-პოლიტიკური,  
შრომითი და განსაკუთრებით, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ადამი-  
ანის სამართლებრივი აღზრდაა.

როდესაც ვლაპარაკობთ მშრომელთა მასების სამართლებრივ აღზრდასა და კანონების  
პროპაგანდის დიდ მნიშვნელობაზე, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ სამართლებრივი  
ცოდნის შეძენა, არამედ საზოგადოების შეგენების ამაღლება, რაც, თავისთავად, მართლშეგნება-  
საც შეიცავს. მაღალი მართლშეგნება მხოლოდ კანონის ცოდნა როდია. იგი ვლინდება მაშინ,  
როცა კანონი ადამიანის პირადი მრწამსი ხდება და მისი მოთხოვნებისადმი დამორჩილება  
საერთო მოთხოვნილებად იქცევა, კანონის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ იქმნება სა-  
ზოგადოებრივი აზრი და იგი პიროვნებისათვის სოციალური კონტროლის ძალას იძენს.

დანაშაულის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნა და მოსახლეობის მართლშეგნე-  
ბის ამაღლება ადმინისტრაციული ორგანოების საპროგრამო ამოცანაა. ამ ორგანოების, განსა-  
კუთრებით კი სამართალწარმოების აღმზრდელობითი ფუნქციისა და შესაბამის პიროვნებას იმ  
სოციალური თვისებების ჩამოყალიბებაში, რომლებიც სამართლებრივ მოთხოვნებს პასუხობს.  
ამასთან, მართლმსაჯულება ზემოქმედებს მოქალაქის ქცევაზე იმიტომაც, რომ იგი წარმოადგენს  
საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთ ქმედით წყაროს. საზოგადოებრივი აზრს კი თა-  
ვის მხრივ გარკვეული ადგილი უჭირავს მართლმსაჯულებაში და ზეგავლენას ახდენს მასზე,  
რაც ძირითადად გამოიხატება კონსულტაციური და მაკონტროლებელი ფუნქციით. საზოგა-  
დოებრივი აზრის კონსულტაციური ფუნქცია ვლინდება იმით, რომ კანონპროექტების შემუ-  
შავების, პრაქტიკაში მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენება, მართლმსაჯულების  
პროცესუალური ფორმების სრულყოფა ხდება საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ზეგა-  
ლენით.

<sup>10</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 17 ივლისი.  
<sup>11</sup> ტურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1985 წ. № 4.

კანონპროექტის განხილვის ან მისი ცხოვრებაში გატარების დროს საზოგადოებრივი აზრი არის სპეციფიკური ბარომეტრი, სამართლებრივი ნორმის სისწორის, ეფექტიანობის და მისი საჭიროების გამომხატველი. ამდენად საზოგადოებრივი აზრი არის ისეთი სოციალური კატეგორია, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს საკანონმდებლო საქმიანობასა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე. მოქმედმა კანონმდებლობამ საქმაოდ გააფართოვა მართლმსაჯულებაში საზოგადოებრივი აზრის შეტანის პროცესულური ფორმები — სახალხო მსაჯული. საზოგადოებრივი დამცველი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი და სხვა ინსტიტუტები.

საზოგადოებრივი აზრს, როგორც უკვე ითქვა, მაკონტროლებელი ფუნქციაც გააჩნია. იუსტიციის ორგანოების მიმართ შექმნილი საზოგადოებრივი აზრით ფასდება კანონიერების დაცვისათვის მათ მიერ გაწეული მუშაობა. ამდენად, საზოგადოებრივი აზრი არის კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ერთ-ერთი არაიურიდიული საშუალება. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი უნდა იყოს ჭანსალი და მაღალი მართლშეგნების გამომხატველი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მხოლოდ ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას. სამართალზე, მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობაზე, სოციალურ კანონიერებაზე ჭანსალი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა, თვით აღმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ.

სასამართლო პროცესებს ასეულ ათასობით მოქალაქე ესწრება. აი, ის უდიდესი აუდიტორია, სადაც საჯაროდ ჩანს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლოს საქმიანობა. ამდენად, მართლმსაჯულება დიდ როლს ასრულებს მასების სამართლებრივი აღზრდის საქმეში, მაგრამ მხოლოდ კარგად ორგანიზებულ სასამართლო პროცესს შეუძლია მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა, მათი მართლშეგნების ამაღლება. სასამართლო პროცესზე უნდა გამოვლინდეს დამნაშავეის სოციალური სახე, დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება, მოსამართლე უნდა ჩაწვდეს დანაშაულის მიზეზებს, მის ფესვებს, გამოავლინოს ადამიანები, რომელთა გულგრილობამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. ისიც გაითვალისწინოს, რომ სასამართლო პროცესების აღმზრდელი მნიშვნელობა გაცილებით ეფექტიანია, როდესაც იგი იმართება იმ კოლექტივში, სადაც დანაშაული მოხდა. მთავარი კი ის არის, რომ სასჯელის გარდუვალობა ქმნის ჭანსალ საზოგადოებრივი აზრს და არა დაუსაბუთებლად მკაცრი სასჯელი; დამნაშავეს და მოქალაქეს უნდა სწამდეს სასჯელის სამართლიანობა.

მოქალაქეთა მართლშეგნების დონის შესწავლამ ცხადყო, რომ არის გარკვეული დადებითი ძვრები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. აქვე უნდა ითქვას, რომ აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისა და კანონის არასათანადო შეფასება იმითაც აიხსნება, რომ ხშირად ამა თუ იმ მოქალაქემ არ იცის კანონი, საბჭოთა სამართლის საფუძვლები. ამიტომ აღმინისტრაციულმა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სამართლის პროპაგანდას და მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას.

ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ვალშია სამართლის მეცნიერებაც. მართალია, ამ უკანასკნელ ხანს დაისტამბა ფუნდამენტური გამოკვლევები, სამართლებრივი აღზრდის, საზოგადოებრივი აზრის და მართლშეგნების პრობლემებზე. ჩატარდა შესაბამისი სოციოლოგიური გამოკვლევები, გამოიცა არა ერთი პოპულარული ბროშურა, მაგრამ სათანადო ეფექტს ჯერ-ჯერობით ვერ მივაღწიეთ. საჭიროა ამ პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომა. უნდა დავძლიოთ მავნე შეხედულება, რომ თითქოს ტიტულოვანმა მეცნიერმა მხოლოდ პრესტიჟული, ფუნდამენტური გამოკვლევები უნდა გამოსცეს, ზოლო მთი ადრესატამდე, მოქალაქემდე მიტანა დამწყები მეცნიერს ევალება. მართალია, წმინდა მეცნიერული გამოკვლევების იხე გამოცემა, რომ იგი ხელმისაწვდომი და საინტერესო იყოს ფართო მკითხველისათვის, მეტად რთული საქმეა, მაგრამ ამ არგუმენტით თავს ვერ გავიმართლებთ. ვფიქრობთ, პრობლემის ეფექტიანად გადაჭრა შესაძლებელია მეცნიერთა და ლიტერატორთა შემოქმედებითი ურთიერთთანამშრომლობით, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის აქტიური დახმარებით. და საერთოდ, უკვე კარგა ხანია მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია და მეცნიერების სხვა დარგები მოსახლეობის ფართო მასებთან „სახალისოდ“ საუბრობენ, სამართალი კი კვლავ სამეცნიერო, ეგრეთწოდებული „მოსაწყენი“ ენით ცდილობს მკითხველებთან კონტაქტის დამყარებას. ამ საქმის წამოწყება და შეძლებისდაგვარად მოგვარება უურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას თავის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად მიაჩნია, რადგან მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნის ამაღლებით ჭანსალი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, კერძომსაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება პარტიის საპროგრამო ამოცანაა.





## პროკურატურის როლი გენერალ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში

პ. გათიკოვაძე,

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის ორგანოები დიდი ინტერესით განიხილავენ უაღრესად დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტს, პარტიის წესდების პროექტში შემოთავაზებულ ცვლილებებსა და 1986-90 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების პროექტს.

ახალ პარტიულ დოკუმენტებში შემოქმედებითად არის განხილული ჩვენი საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულებები. ყველაფერი ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, — ასეთია მათი დედააზრი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. სკკპ ახალი პროგრამა აყენებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრანდიოზულ ამოცანებს, რომელთა წარმატებით გადასაჭრელად საჭიროა მაღალი ორგანიზებულობა, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, ნედლეულისა და სხვა მატერიალური რესურსების ყაირათიანად ხარჯვა. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში დიდი როლი ეკისრებათ პროკურატურის ორგანოებს, რადგან სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი ნორმების შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობის მაღალ დონეზე განხორციელება ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. აქედან გამომდინარე, პროკურატურის ორგანოებმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დამრღვევა მიმართ შეუთრეგებლობით, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში მოცემული ამოცანების გადაწყვეტაში.

ამ ახალ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ფაქტების საბოლოოდ აღმოფხვრას. ნუ დავმაღავთ ჩვენს სატივარს და გულახდილად ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ იშვიათად როდი ვხვდებით ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებს, და ეს უმეტესად ეხება მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვას. უწინდებურად მრავალი განცხადება-საჩივარი შემოდის მოქალაქეთა საბინაო უფლებების დარღვევებთან და მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით. ეს თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ჩვენს ოლქში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და მათზე რეაგირება ზოგჯერ ზედაპირულ ხასიათს ატარებს და ბუნებრივია, პასუხებიც არასრულყოფილი, არასათანადოდ დასაბუთებულია, რაც, ცხადია, არ აკმაყოფილებს მოხონელებს და იძულებული ხდებიან მიმართონ რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა განცხადებების განხილვის მდგომარეობას და გამოვლინებულ დარღვევებზე დაუყოვნებლივ რეაგირებენ. მაგალითად, საოლქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში შემოწმებით გამოვლინდა მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესის უხეში დარღვევები. ხშირად ირღვეოდა განცხადებათა განხილვის ვადები, მოქალაქეთა მიღების წესი, მოუგვარებელი იყო შემოსულ საჩივარ-განცხადებათა აღრიცხვა, მათი შესრულებისადმი კონტროლი. ყოველივე ამის საფუძველზე შეფიქრებულად წარდგინება საოლქო საბჭოს აღმასკომში, ინფორმაცია გავავზავნეთ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში. მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებების განხილვის წესის სერიოზული დარღვევები გამოვავლინეთ აგრეთვე ჯავის რაიონის ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში.

ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებები ჯერ კიდევ გვხვდება მუშა-მოსამსახურეთა შრომითი დაჯების განხილვისას, არასრულწლოვანთა კომისიების მუშაობაში და სხვ. პროკურატურის ორგანოები გადაამჭრელ ზომებს იღებენ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საქმიანობაში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების აღკვეთისათვის. ამ მიმართებით მუშაობას უფრო მიზანმიმართულად გავაგრძელებთ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მოთხოვნათა შესაბამისად.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში წერია: „მდარე ხარისხი და წუნი მატერიალური რესურსებისა და ხალხის შრომის ფლანგვაა. პარტია აქტიურად დაუჭერს მხარს საბჭოთა მარკის ღირსებისათვის ბრძოლას. პროდუქციის ხარისხი პროფესიული და პატრიოტული სიამაყის საგანი უნდა იყოს“. 1986-90 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრავენ ჩვენი მიზნების რეალიზაციის კონკრეტულ გზებს. შეუძლებელია შევასრულოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებით დასახული მითითებანი, თუ არ მივალწიეთ შრომის ნაყოფიერების უმაღლეს დონეს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და პროდუქციის უმაღლეს ხარისხს. იშვიათი როდია ისეთი საწარმოები, რომლებიც ამყობენ პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებით, მაშინ, როცა სანახევროდაც ვერ ასრულებენ მისი რეალიზაციის გეგმას. პროდუქცია ამისათვის იქმნება, რომ გასაღდეს და არა იმიტომ, რომ წლობით ეწყოს საწყობებში, ბაზებსა და დახლებზე. გაუსაღებელი პროდუქცია — ეს არის ეგრეთ წოდებული, „მკვდარი“ კაპიტალი, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი, რადგან ჩაწოლილი საქონელი თანდათან კარგავს თავის პირვანდელ სახეს, ფუჭდება და იძულებული ხდება ჩამოაფასონ ან სულაც ჩამოწურენ, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულებაზე — წარმოების ერთ-ერთ ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელზე. პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი კი მისი მდარე ხარისხი და არასტანდარტულობაა. გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, საწარმოთა ხელმძღვანელებსა და ტექნიკური კონტროლის განყოფილებებს ეკისრებათ, მაგრამ ეს როდი ამცირებს პროდუქციის ხარისხისათვის პროკურატურის ორგანოების პასუხისმგებლობას.

საქართველოს სსრ პროკურატურამ სამართლიანად მიგვითითა ოლქის პროკურატურის ორგანოების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, კერძოდ, უხარისხო, უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობაზე ჯერ კიდევ სუსტია საპროკურორო ზედამხედველობა. ოლქში იშვიათად ტარდებოდა ასეთი შემოწმებები, მაგალითად, გასულ წელს უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის მხოლოდ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. არაერთხელ მივუთითეთ ქ. ცხინვალისა და რაიონების პროკურორებს, რომ სისტემატურად და ეფექტიანად შეამოწმონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ოლქის პროკურატურას დავეგმილი აქვს საფუძვლიანად შეამოწმოს ქ. ცხინვალის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია. ტრიკოტაჟის ფაბრიკაში უკვე გამოვლინდა უხარისხო პროდუქციის, გამოშვების ფაქტები. ამის თაობაზე ინფორმაცია მივაწოდეთ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს, ხოლო ფაბრიკის დირექციას გავუგზავნეთ წარდგინება.

სამწუხაროდ, მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ფორმალიზმის გამოვლინებებს იშვიათად როდი ვხვდებით. კვლავ არის სტუდენტების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ახალგაზრდებს შორის ლოთობის, ნარკომანიის, მუქთახრობის, მშობლების ხარჯზე ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით ხელგაშლილი ცხოვრების შემთხვევები. აღმაშფოთებელია, რომ ზოგჯერ თვით მშობლები და პედაგოგები იქცევიან შეუფერებლად, რითაც ცუდ მაგალითს აძლევენ აღსაზრდელებს, მაშინ, როცა მშობლები, პედაგოგები, აღმზრდელები, სამართალდამცველ ორგანოთა მუშაკები, და საერთოდ ყველა, ვისაც ახალგაზრდობის სწორად აღზრდის საპატიო მისია ავალია, სამსახურსა თუ პირად ცხოვრებაში უზადო ყოფაქცევით უნდა გამოიჩინოდეს, სამართლიანად აღნიშნავდა ლევ ტოლსტოი: „თუ თავად უზნეოდ ცხოვრობ, კარგ აღამიანებს ვერ აღზრდი“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მკაცრად იმსჯელა ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ შვილების აღზრდაში დაშვებული უხეში შეცდომების თაობაზე. ვფიქრობთ, აქედან ბევრმა უნდა გააკეთოს სათანადო დასკვნა. დიახ, ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობას ჰარმონიული განვითარებისათვის ყველა პირობა აქვს შექმნილი. მაგრამ ცხოვრების გზა თითოეულმა მათგანმა საკუთარი, მტკიცე ნაბიჯით უნდა გაიაროს და არა მშობლების კისერზე წამოსკუპებულმა.

პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განსამტკიცებლად, ამასთან, გაზრდილ მოთხოვნებს აყენებს სამართალდამცველი ორგანოების წინაშე. საჭიროა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელად დაცვა, პროკურატურის, სახალხო სასამართლოების, მილიციის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. სამართალდამცველმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ სოციალისტური და პირადი საკუთრების, მოქალაქეთა ღირსებისა და პატიოსნების დასაცავად, შეუპოვრად იბრძოლონ დამნაშაევობის წინააღმდეგ, გამოამყაენონ და აღკვეთონ სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზები და ამით ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

# საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გეროქალთა სამართლებრივი აღზრდა

ბ. თორღია

ახლოვდება სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დაწყების დღე. წინასაყრილობო მზადების პერიოდს მეტი აღმავლობა შესძინა ახალი პარტიული დოკუმენტების საერთო-პარტიულმა, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო განხილვამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ) პროექტებში გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის პარტიული მშენებლობის მდიდარი გამოცდილება, რაც ღრმად არის გაანალიზებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ მოხსენებაში.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ პარტიის პროგრამა არის ყოველივე იმის მოკლე, მკაფიო და ზუსტი განცხადება, რისთვისაც პარტია იღწვის და იბრძვის, ის მტკიცედ ადგენს ძირითად შეხედულებებს ჩვენი მოძრაობის ხასიათის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ხოლო პარტიის წესდება არის პარტიის ძირითადი კანონი, კომუნისტთა ცხოვრების კოდექსი<sup>1</sup>. სწორედ ამ ისტორიული დებულებებით ხელმძღვანელობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტი, როდესაც სამეგრისო ამოცანები ხალხს წარუდგინა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების პროექტებში დიდი ყურადღება ეთმობა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს, მათ შორის „პარტია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების — ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სისტემის დიდმნიშვნელოვანი რგოლების როლის გაძლიერებას“<sup>2</sup>.

პარტიის საპროგრამო მიზანია პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში მშრომელებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის საფუძველზე ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის განხორციელება, „ამ პროცესის წამყვან ძალად გამოდის პარტია — საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ბირთვი. მისი ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს ამ სისტემის ყველა სხვა რგოლი — საბჭოთა სახელმწიფო, პროფესიული კავშირები, კომკავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები“<sup>3</sup> — აღნიშნულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში.

<sup>1</sup> ი. ს. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 275-276.

<sup>2</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია), პროექტი, თბ., 1985, გვ. 62.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 57.

პარტია მთელ ხალხს უსახავს მეცნიერულად შემუშავებულ ახალ პერსპექტივებს, უზრუნველყოფს ხალხის აღმშენებლობითი საქმიანობისადმი მეცნიერულ ხელმძღვანელობას, გეგმაზომიერად ავითარებს კომუნისმის მშენებლობას. სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ნათქვამია, რომ „მოქმედებს რა კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წარმართავს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობას, ზრუნავს იმისათვის, რომ ყოველი მათგანი მთლიანად ასრულებდეს მისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს“<sup>4</sup>.

სკკპ წესდების (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ) პროექტში შეტანილია ახალი განყოფილება: „პარტია და სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები“<sup>5</sup>. აქ დაზუსტებულია საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა რგოლისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები.

პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდის კანონზომიერი პროცესი არ ამცირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტორიტეტსა და ფუნქციებს, პირიქით, პარტიის პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის უმთავრესი მიმართულება არის საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის გაძლიერება ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საკითხების გადაწყვეტაში.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები რთული სისტემაა და მათ შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძვლებს ეთმობა. ამ მხრივ ეს ორგანიზაციები იურიდიული მეცნიერების კვლევის განსაკუთრებული ობიექტია როგორც სამართლებრივი, ასევე მათი ფუნქციონალური და სტრუქტურული ანალიზის თვალსაზრისით, მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თეორიის საკითხების მეცნიერული შესწავლა მხოლოდ სამართლებრივი მეცნიერების ჩარჩოებში ვერ თავსდება. მათი სრულყოფილად განზოგადება უნდა მოხდეს მეცნიერების სხვადასხვა დარგების ურთიერთკავშირის საფუძველზე.

თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანისმიერი ფაქტორის როლის გაძლიერებას. ამასთან დაკავშირებით სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის<sup>6</sup> გაფართოება დასახულია „იმ გზით, რომ სულ უფრო სრულად ჩავაბათ მოქალაქენი სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, გააუმჯობესოთ სახალხო ხელისუფლების არჩევითი ორგანოების საქმიანობა, გავაძლიეროთ პროფკავშირების, კომკავშირის, მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების როლი, ეფექტიანად გამოვიყენოთ წარმომადგენლობითი და პირდაპირი დემოკრატიის ყველა ფორმა“<sup>6</sup>.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში თითოეული საზოგადოებრივი ორგანიზაცია ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციას, აქვს თავისი კონ-

4 იქვე, გვ. 57.

5 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება (შემოთავაზებული ცვლილებებითურთ), პროექტი, თბ., 1985, გვ. 27.

6 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია), პროექტი, თბ., 1985, გვ. 31-32.

კრეტული დანიშნულება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაჩქარების საქმეში. მაგრამ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ფუნქციათა განსხვავების მიუხედავად, არსებობს ერთიანობაც, რაც პირველ რიგში, მშრომელთა აღზრდისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში ვლინდება. ცნობილია, რომ ახალი ადამიანის აღზრდა, მისი მსოფლმხედველობის და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბება უფრო რთულია, ვიდრე სამეურნეო პრობლემების გადაჭრა. მშრომელთა აღზრდის ამ პროცესის განხორციელების საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად ეხმარებიან პარტიასა და სახელმწიფოს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობით საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშრომელთა სამართლებრივ აღზრდასა და საბჭოთა საზოგადოების კანონების დაცვისათვის ბრძოლას. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „...უნდა მოეწყოს დიდი „ჭვაროსნული ლაშქრობა“... სპეკულანტების, მუქთახორების, დეზორგანიზატორების, მექრთამეების წინააღმდეგ, დიდი „ჭვაროსნული ლაშქრობა“... სახელმწიფოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ“<sup>7</sup> ბელადის ეს მითითება, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით. პარტია და მთავრობა ყველა პირობას ქმნიან ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის შემცირებისა და უახლოეს ხანში მისი საბოლოოდ აღმოფხვრისათვის, მაგრამ ამ მიმართულებით სტაბილური მდგომარეობის მიღწევა მარტო ეკონომიკური გარდაქმნებით შეუძლებელია. „პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო და არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვა“<sup>8</sup>. — აღნიშნულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში. ამ საერთო საქმიანობაში ფართო მასების ჩაბმა სწორედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით უნდა მოხდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის რიგგარეშე პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „უწინდებურად განხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებები, რათა კვლავაც დამყარდეს წესრიგი, გაიწმინდოს ჩვენი ცხოვრება უცხო მოვლენებისაგან, საზოგადოებისა და მის მოქალაქეთა ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისაგან, განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერება“<sup>9</sup>. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამ მითითების შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში უკომპრომისოდ ვიბრძვით იმათ მიმართ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში მიმდინარე გარდაქმნების დიდი მნიშვნელობა.

„ცხოვრება ადასტურებს, რომ კერძომესაკუთრული და სხვა წვრილბურჟუაზიული გამოვლინებების დაძლევის პრობლემა ჯერ კიდევ საკმაოდ მწვავედ დგას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვდუნდეთ, არ მივეცეთ თვითდამშვიდებას, არ დავეკარგოთ სიფხიზლე, თვითკრიტიკულობა შეფასება-

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 478-479.

<sup>8</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია), პროექტი, თბ., 1985, გვ. 60.

<sup>9</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის მასალები, 1985 წლის 11 მარტი, თბ., 1985, გვ. 14.

ში<sup>10</sup>, — აღნიშნა ჯ. ი. პატიაშვილმა რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე 1985 წლის 3 აგვისტოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დიდ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის როლის შემდგომი გაძლიერების საკითხებს. ეს ნათლად აღინიშნა მიმდინარე წლის ოქტომბერში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირზე განიხილეს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე და განსაზღვრეს ნეტავიური მოვლენების დაძლევის კონკრეტული გზები. თათბირის მასალებში მითითებულია, რომ „სანიმუშო წესრიგისათვის ბრძოლის ეფექტიანობის გადიდების გზა გადის პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებაზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მილიციისა და პროკურატურის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის გაძლიერებაზე, ეს გზა გულისხმობს, რომ უნდა გაუმჯობესდეს მათი მუშაობა მუქთახორობის, ლოთობის, რეციდიული დამნაშავეობის, სხვა იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ სამართალდარღვევათა ჩადენას“<sup>11</sup>.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და განმტკიცების საქმეში მშრომელთა მონაწილეობა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანია. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში შექმნილია სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიები, რომლებიც ადგილებზე კმედიტად შრომობენ ქალაქებსა და რაიონებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის. ისინი თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან საზოგადოებრიობის ფართო აქტივს, მკიდრო კონტაქტი აქვთ შინაგან საქმეთა ორგანოებთან და გარკვეულ დადებით შედეგებს აღწევენ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში.

პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში პროფკავშირული ორგანიზაციების ფუნქციებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ისინი მოწოდებულნი არიან „ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სახალხო სიმდიდრის გამრავლებას, ადამიანთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას, დაცვან მშრომელთა უფლებები და ინტერესები, ნიადაგ ილჟაწონ მასების კომუნისტური აღზრდისათვის, ჩააბან ისინი საწარმოო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, განამტკიცონ შეგნებული შრომის დისციპლინა“<sup>12</sup>.

უკანასკნელ ხანს საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა თავიანთი საწესდებო მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. ისინი აქტიურად იღვწიან სახელმწიფო, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მშრომელთა დასვენებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისათვის.

<sup>10</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 6 აგვისტო.

<sup>11</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 13 ოქტომბერი.

<sup>12</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია), პროექტი, თბ., 1985, გვ. 62.

პროფკავშირული ორგანიზაციები ამხანაგური სასამართლოების მეშვეობით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ. ისინი არიან წარმოება-დაწესებულებებში ამხანაგური სასამართლოების შექმნისა და მათი მუშაობისადმი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ორგანიზატორები. რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედებს 7050-ზე მეტი ამხანაგური სასამართლო, რომლის სისტემაში ჩაბმულია დაახლოებით 35100 აქტივისტი.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მაისის დადგენილებამ „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. პარტიის ამ კურსს საბჭოთა ადამიანები მთლიანად იწონებენ და მხარს უჭერენ. რესპუბლიკაში ახლა ბევრი რამ კეთდება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საბოლოოდ დაძლევისათვის. ამ საქმეში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ, თავისი წესდების შესაბამისად, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან, პროფკავშირებთან და კომკავშირთან ერთად აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი პარტიისა და მთავრობის ამ დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრას. ამ მიმართებით მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში უფრო ორგანიზებული გახდა 1985 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც დამუფძნებელ კონფერენციაზე შეიქმნა სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოება. ამჟამად რესპუბლიკაში იქმნება ამ საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები. პირველადი ორგანიზაციების სტრუქტურაში შეიქმნება საამქრო, საფაკულტეტო, ბრიგადული და სხვა ორგანიზაციები. პირველადი ორგანიზაციები გაერთიანდებიან რაიონულ-საქალაქო, სამხარეო ორგანიზაციებად, რომლებიც თავის მხრივ შევლენ სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების შემადგენლობაში.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებაში, საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვისათვის ბრძოლაში. ნაყოფიერად მუშაობენ ადგილებზე საფაბრიკო, საქარხნო კომიტეტები, მუდმივი კომისიები, მაგრამ თანამედროვე ეტაპის თავისებურება ამ მუშაობის სულ უფრო გაძლიერებას მოითხოვს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ „დღეს განსაკუთრებით აქტუალურია წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხი. ეს არის დღეს უცილობელი მოთხოვნა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს ესმით ფართოდ, ამასთან გულისხმობენ წესრიგს წარმოებისა და მომსახურების სფეროში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ყოფაში, თითოეულ შრომით უჯრედში, თითოეულ ქალაქში, თითოეულ სოფელში და ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ქვეყანაში მკვიდრობდეს ასეთი წესრიგი“<sup>13</sup>.

კომკავშირული ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანაა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური მორალის, სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა მი-

<sup>13</sup> სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1985 წლის 23 აპრილი, თბ., 1985, გვ. 21-22,



მართ შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდა. სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში პარტიამ გაზრდილი ამოცანები დაუსახა კომკავშირულ ორგანიზაციებს, როგორც თავის ერთგულ თანაშემწესა და საიმედო რეზერვს. „პარტია კვლავაც აამაღლებს კომკავშირის როლს მოზარდი თაობის აღზრდაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტაში“<sup>14</sup>, -- ნათქვამია პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა მონაწილეობის საუკეთესო მაგალითია სახალხო რაზმელების საქმიანობა.

ჩვენს რესპუბლიკაში 6800-ზე მეტი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულია, სადაც გაერთიანებულია ათასობით რაზმელი. მიმდინარე წელს რესპუბლიკის რაზმელებმა აღკვეთეს ასობით ხულიგანის, სპეკულანტის, მუქთახორას თარეში. რაზმეულები ეფექტიანად იბრძვიან ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ იქ, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა სამართლებრივ აღზრდას, სამართალდარღვევის ფაქტები მკვეთრად მცირდება. ამ მიმართულებით მეტის მიღწევა შეიძლება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები სამართლებრივ საკითხებში გაათვითცნობიერებენ სულ უფრო ფართო მასებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას. ამისათვის საჭიროა სისტემატურად ტარდებოდეს ლექციები სამართლებრივ საკითხებზე. ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებას სასამართლო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა ორგანოები, გამოცდილი იურისტები, სპეციალისტები, რათა საზოგადოებრივი რეაგირების გარეშე არ დარჩეს საზოგადოებრივი წესრიგის არც ერთი დამრღვევი.

რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენ დაგვიდგა პასუხსაგები პერიოდი — პარტიის მორიგი ყრილობისათვის გამილილი მზადების პერიოდი. სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების, სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგისათვის ბრძოლა კი პარტიული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. სწორედ ამიტომ უნდა შევიმუშაოთ მოქმედების მკაფიო პროგრამა მეთორმეტე ხუთწლედისათვის, კიდევ უფრო გავამძაფროთ ეს ბრძოლა, უცილობლად განვახორციელოთ მომთხონებლობის, პრინციპულობის გაძლიერების გზები... სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე მიიყვანოს ეს მუშაობა“<sup>15</sup>.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებული ამ კურსის განხორციელების საქმეში კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის თითოეული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რის უცილობელ გარანტიას გვაძლევს ის გაზრდილი უფლებები და მოვალეობანი, რაც კონკრეტულად არის ასახული ახალ პარტიულ დოკუმენტებში. რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ, რათა ღირსეული შედეგებით შეხვდნენ პარტიის მომავალ XXVII ყრილობას.


<sup>14</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია), პროექტი, თბ., 1985, გვ. 63.

<sup>15</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 6 აგვისტო.



## მარკსიზმი უპრობლემო

8608/1



მარქსიზმის ფუძემდებელი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან, კერძოდ, 1844 წლიდან დაუკავშირდნენ ერთმანეთს და მას შემდეგ მათი მეგობრობა და ერთიანი იდეისადმი ერთგულება არასოდეს შეწყვეტილა. სწორედ ამის შესახებ წერდა ვ. ი. ლენინი: „ევროპის პროლეტარიატს შეუძლია თქვას, რომ მისი მეცნიერება შექმნა ორმა სწავლულმა და მეზრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღემატება თვით ძველ, ყველაზე ამაღლებებელ თქმულებებს ადამიანთა მეგობრობის შესახებ“.

მარქსიზმის პოლიტიკურ თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფ. ენგელსის კლასიკურ ნაშრომებს, რომლებშიც მოცემულია სახელმწიფოსა

და სამართლის მატერიალისტური გაგება. იგი ამ ნაშრომებში წარმოგვიდგება როგორც გენიალური თეორეტიკოსი, უზარმაზარი მოაზროვნე და პროლეტარიატის იდეოლოგი. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს ბუნებისა და სოციალურების განვითარების კანონები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ახალი მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ. ამას ჭეშმარიტად არნახული გადატრიალება მოჰყვა პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

ფ. ენგელსის ნაშრომში, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, გამოაშკარავებულია ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის კლასობრივი შინაარსი, ნაჩვენებია, რომ ბურჟუაზიის მიერ გამოცხადებული თანასწორობა და კანონიერება მხოლოდ ფორმალურ თანასწორობას ნიშნავს, რადგან გაბატონებულ კლასს ფულის პრივილეგია აქვს, რის გამოც ბურჟუაზიული კანონმდებლობა თავგამოდებით იცავს მდიდრებს ღარიბებისაგან.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ 1848 წლის დამდეგს გამოქვეყნდა. ეს არის მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლური ნაშრომი და რევოლუციური მუშათა მოძრაობის ჭეშმარიტად საპროგრამო დოკუმენტი. ამ შრომაში კიდევ ერთხელ დასაბუთდა მათ მიერ ჯერ კიდევ ადრე გამოთქმული აზრი სოციალისტური, პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობისა და მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესახებ. „თქვენი სამართალი, — მიმართავენ ბურჟუაზიას კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — მხოლოდ კანონად გამოცხადებული ნებასურვილია თქვენი კლასისა, ნებასურვილი, რომლის შინაარსი თქვენი კლასის ცხოვრების მატე-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სამსახ. რესპუბ.

რიალური პირობებითაა განსაზღვრული“. აქ თვალნათლივ ჩანს, რომ სამართალი არის გაბატონებული კლასის ნებასურვილი, რომელიც კანონადაა გამოცხადებული, სავალდებულოა ყველასათვის, ხოლო ამ ნებასურვილს საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს გაბატონებული კლასის არსებობის მატერიალური პირობები.

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფ. ენგელსის ფილოსოფიურ ნაშრომებში „ანტი-დიურინგი“ და „ლუდვიგ ფოიერბახი“. დიურინგის დებულებათა გაქარწყლების პროცესში ენგელსმა დაასაბუთა, რომ სამართალი დამოკიდებულია საზოგადოების არსებობის მატერიალურ პირობებზე. აქვე მოცემულია ბურჟუაზიული თანასწორობის დიურინგისეული გაგების კრიტიკა. „ლუდვიგ ფოიერბახში“ ენგელსი დამაჯერებლად განმარტავს, რომ საწარმოო ძალთა განვითარება, და საერთოდ, ეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავს სახელმწიფოს, სამართალს, მის დარგებსა და კანონმდებლობას.

სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფ. ენგელსის გენიალურ ნაშრომს „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. აქ მოცემულია სახელმწიფოსა და სამართლის არსის მარქსისტული მოძღვრების ერთგვარი შეჯამება. სახელმწიფოს წარმოშობის, მისი არსისა და დამახასიათებელი ნიშნების მარქსისტულ დასაბუთებასთან ერთად ამ ნაშრომში ფ. ენგელსი ეხება სახელმწიფოს ისტორიული ტიპებისა და მმართველობის ფორმის საკითხებს. იგი მიუთითებს, რომ მატერიალური წარმოების, საწარმოო ძალთა განვითარება იწვევს ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლას მეორეებზე, ერთი ტიპის სახელმწიფოს შეცვლას მეორეთი. თითოეულ ამ ფორმაციაში სახელმწიფო არის ყველაზე მძლავრი კლასის პოლიტიკური ბატონობის იარაღი.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიხედვით, ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს გაუქმება შეუძლებელია დეკრეტებითა და დადგენილებებით. მისი შემდგომი ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტური საზოგადოების განვითარების შინაგან პროცესებზე — როგორც მისი ეკონომიკური ბაზისის, ისე პოლიტიკური წყობის ფორმის ცვლილებებზე.

სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე დღესაც დგას რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ამოცანები. მათი გადაჭრის გზების ძიებაში ჩვენ კვლავ და კვლავ მივმართავთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თეორიული მემკვიდრეობის მარად უტკნობ დებულებებს, სადაც არსებითი ადგილი უჭირავს შეხედულებებს სახელმწიფოს შესახებ. ამ სფეროში ფ. ენგელსის იდეები დღესაც გვეხმარებიან ახალი სამყაროს მშენებლობაში, რომლის მომზადებასაც მიემდგვნა უდიდესი მოაზროვნისა და რევოლუციონერის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა.

## მსოფლიოვი მშვიდობიანი თანაარსებობისათვის

ლ. ალექსიძე,


იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

წელს მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საზეიმოდ აღნიშნა ორი უმნიშვნელოვანესი ისტორიული თარიღი: ჰიტლერული რეჟიმის და მისი მოკავშირეების განადგურების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 40 წლისთავი. ეს თარიღები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, რადგან ანტიჰიტლერული კოალიციის მიერ საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული ძალის — ფაშისტური გერმანიის განადგურებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ხალხის გამართულმა ბრძოლამ, აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე პროგრესული ძალების სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის შეცვლამ განაპირობა უნიკალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობა, რაც იქცა კიდევ რეალობად.

1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოში 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომლის შემუშავებაში წამყვანი როლი საბჭოთა კავშირს მიუძღვის. ჯერ კიდევ 1941 წლის სექტემბერ-დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ მოუწოდა მსოფლიოს, რომ ჰიტლერული გერმანიის განადგურების შემდეგ იბრძოლოს მტკიცე მშვიდობისა და ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეწყობის უფლებების დაცვისათვის, რისთვისაც საჭირო იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა.

მოსკოვის დეკლარაცია (1943 წლის 30 ოქტომბერი), თეირანის (1943 წლის ნოემბერ-დეკემბერი), ყირიმის (1945 წლის თებერვალი), დუმბარტონ-ოქსის (1944 წლის აგვისტო-ოქტომბერი), იალტის (1945 წ., თებერვალი) და ბოლოს, სან-ფრანცისკოს კონფერენციები (1945 წ. აპრილი-ივნისი) — ასეთია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შემუშავების სტადიები. ყოველი მათგანი აღსავსეა საბჭოთა კავშირის მძაფრი დიპლომატიური ბრძოლით, რომლის მიზანი იყო დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაციის შექმნა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები წინააღმდეგობას უწევდნენ ამ იდეას, მაგრამ საბოლოოდ, გონივრული კომპრომისების შედეგად, სამმა დიდმა სახელმწიფომ გამოახანა საერთო ენა, რამაც უზრუნველყო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების მსოფლიო ინსტრუმენტის შექმნის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ მომავალი ორგანიზაციის ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანოს —



უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა (სსრ კავშირი, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, ჩინეთი) ერთხმონობის პრინციპი.

სამივე სახელმწიფოს კარგად ესმოდა, რომ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ ორგანოში, რომელსაც მშვიდობის დაცვისათვის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, გადაწყვეტილებათა მიღების წესი განსხვავებული უნდა ყოფილიყო გენერალური ასამბლეისათვის გათვალისწინებული წესებისაგან. ყველას ახსოვდა ერთა ლიგის ორგანოთა პარალიზება იმის გამო, რომ ყველას, პატარა სახელმწიფოსაც კი, შეეძლო დაედო ვეტო გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ყველა დანარჩენი წევრი უჭერდა მხარს. ამას ხშირად ზოგიერთი იმპერიალისტური მთავრობა იყენებდა „სხვისი ხელით“ საკითხის ბლოკირებისათვის. ამავ დროს, საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა, რომ ახალ საერთაშორისო ორგანიზაციაში ორი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოები ითანამშრომლებდნენ, და ცდილობდა ისეთი წესის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფდა ყოველი სოციალური სისტემის უსაფრთხოებას სხვა სისტემის მქონე სახელმწიფოების დიქტატურისაგან.

ის ფაქტი, რომ ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას საფუძვლად უნდა დაედებოდა ანტიიმიპერიალური და ანტიიპონური კავშირის ბურჯის — სსრ კავშირის, აშშ-ის, ინგლისის, ხოლო შემდგომ ჩინეთისა და საფრანგეთის — სამხედრო ძლევამოსილება, დასავლეთის ქვეყნებისაგან მოითხოვდა საბჭოთა პოზიციის გათვალისწინებას. ასეც მოხდა, 1944 წლის 5 დეკემბერს პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა მისწერა ი. ბ. სტალინს „პირადი და საიდუმლო“ ეპისტოლე, რომელშიც ჩამოაყალიბა უშიშროების საბჭოში ხმის მიცემის პროცედურა.

ყირიმის კონფერენციამ დაამტკიცა დუმბარტონ-ოქსის გადაწყვეტილებანი და კიდევ ერთხელ დაადასტურა დიდ სახელმწიფოთა მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობის დაცვის საქმეში, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თუ დიდი სახელმწიფოები ითანამშრომლებენ ერთხმად, ყოველი აგრესია ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, ხოლო მათ შორის ოდნავი ბზარიც კი მშვიდობისათვის ძალზე საზიანო გამოდგებოდა.

რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსებს ესმოდათ, რომ ვერც ერთ დიდ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოები ვერაფერს დააკლებდნენ, თუკი ის მიუღებლად ჩათვლიდა სხვა წევრების მიერ მოწონებულ გადაწყვეტილებას. საჭირო იყო ყველა დიდი სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმება, კომპრომისის განონახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ დიდ სახელმწიფოს უფლება უნდა ჰქონოდა ვეტო დაედო მისთვის არასასურველ გადაწყვეტილებაზე, თუ კი იგი არ იყო საერთაშორისო დავის ერთ-ერთი მხარე.

24 ოქტომბერს მას შემდეგ, რაც წესდების ტექსტს ყველა დიდმა სახელმწიფომ და სხვა ქვეყნების უმრავლესობამ ხელი მოაწერა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა იურიდიულ და პოლიტიკურ რეალობად იქცა. ეს თარიღი აღიარებულია „გაერთიანებული ერების დღედ“, რომელიც საწიემო ვითარებაში აღინიშნება არა მარტო ამ ორგანიზაციის მიერ, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები და პრინციპები ჩამოყალიბებულია წესდების 1-ელ და მე-2 მუხლში. წესდება იწყება სიტყვებით: „ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხები...“ პრეამბულაში ჩამოყალიბებულია ზოგადი მიზნები და მიზნები, რომლებმაც განაპირობეს ორგანიზაციის შექმ-

ნის აუცილებლობა. მთავარი მათგანი იყო და არის „ააცილონ მომავალ თაობებს ომის უბედურებანი“ და „კვლავ განამტკიცონ ადამიანის ძირითად უფლებათა, პიროვნების ღირსებისა და ღირებულების რწმენა, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის, დიდი და პატარა ერების თანასწორობის რწმენა“.

„გაერთიანებული ერები“ ხელმძღვანელობენ მიზნით: „გამოიჩინონ შემწყნარებლობა და იცხოვრონ ერთად, ერთმანეთთან მშვიდობიანად, როგორც კეთილმა მეზობლებმა...“. ამ ფორმულაში გამოხატულია ყველა ქვეყნის, პირველ რიგში, ორა საწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა, რაც საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა.

თავის საქმიანობაში ორგანიზაცია ეყრდნობა ძირითად პრინციპს, რომელიც მე-2 მუხლშია ჩამოყალიბებული: ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრებაზე უარის თქმა, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის აუცილებლობა, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სახელმწიფოთა თანამშრომლობა ორგანიზაციის წესდების თანახმად, ხალხთა თანასწორობა და თვითგამორკვევა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, წესდების შესაბამისად მიღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება.

ამ ორგანიზაციის მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, სამდივნო, საერთაშორისო სასამართლო.

ამას გარდა შექმნილია მრავალი დამხმარე ორგანო. ერების ორგანიზაციასთან დაკავშირებულია 16 სპეციალიზებული (იუნესკო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვ.) და სხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციები.

მშვიდობის დაცვისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში უშიშროების საბჭოს ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა. იგი შედგება 15 წევრისაგან: 5 მუდმივი, ხოლო 10 — დროებითი წევრი, ყოველ 2 წელიწადში იცვლება 5 ასეთი წევრი. თავდაპირველად, როდესაც წევრთა საერთო რაოდენობა 11 იყო, წესდება ითვალისწინებდა ექვსი დროებითი წევრის არჩევას, მაგრამ შემდეგ, ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის 15-მდე გაზრდასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩათვალეს დროებით წევრთა რაოდენობის გაზრდა. 1965 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სათანადო შესწორება, რომელიც ძალაში შევიდა 1966 წელს. საკითხის გადაწყვეტისათვის 9 ხმა არის საჭირო, მათ შორის — ხუთივე მუდმივი წევრის.

როგორც აღინიშნა, უშიშროების საბჭოს საქმიანობის ქვაკუთხედი არის მუდმივ წევრთა ეთხმონობის პრინციპი. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატები ამ უფლებას იყენებს რასისტული რეჟიმების მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ რეზოლუციების ბლოკირების მიზნით.

გენერალური ასამბლეა შედგება ყველა წევრ-სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან (დღეისათვის მათი რაოდენობა 159). ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს სესიას დაასწროს ხუთი წარმომადგენელი, მაგრამ დელეგაციას მხოლოდ ერთი ხმა აქვს.

გენერალური ასამბლეის ფუნქციები ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. იგი განიხილავს საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში (მათ შორის განიარაღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს), აგრეთვე ყველა საკითხს, რომელიც

მშვიდობის დაცვას ეხება, თუ ეს საკითხი უკვე არ განიხილება უშიშროების საბჭოში, ყველა დანარჩენ, წესდებით გათვალისწინებულ საკითხს და იძლევა რეკომენდაციებს. იხილავს უშიშროების საბჭოს და სხვა ორგანოების ანგარიშებს და იძლევა რეკომენდაციებს დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის თაობაზე; ირჩევს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებსა და სხვა ორგანოების წევრებს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ნიშნავს გენერალურ მდივანს; უშიშროების საბჭოსთან ერთად ირჩევს საერთაშორისო სასამართლოს წევრებს, განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს.

გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, რომლებიც შინასაორგანიზაციო საკითხებს სცილდება (ბიუჯეტი, ორგანოების შექმნა, ახალი წევრების მიღება ან გარიცხვა), იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. მათ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, ნორმატიული ხასიათი აქვთ, რასაც უდიდესი როლი ენიჭება თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში.

გენერალური ასამბლეა იკრიბება სესიაზე ყოველი წლის სექტემბრის მე-სამე სამშაბათს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო, რომლის სათავეში დგას 5 წლის ვადით არჩეული მდივანი, საერთაშორისო მოსამსახურეთა მრავალათასიან არმიას მოიცავს, რომლებიც ნიუ-იორკში (ორგანიზაციის შტაბ-ბინა), ჟენევასა და ვენაში მდებარე ცენტრებში მუშაობენ. ეს ორგანო დიდ როლს თამაშობს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში, აგრეთვე სხვა ორგანოების მუშაობის წარმართვაში. აქ ხელმძღვანელ პოსტებზე დღემდე დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები ჰარბობდნენ, რაც უარყოფითად მოქმედებდა ზოგიერთი განყოფილების მუშაობაზე, მაგრამ ეს პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტებულია სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების მიერ.

ბევრი რამ დამოკიდებულია გენერალური მდივნის პიროვნებაზე. 1946-1953 წლებში გენერალური მდივანი იყო ნორვეგიელი ტრიუგველი, 1953-1961 წწ. — დავ ჰამერშელდი (შვეიცია), 1961-1971 — უ ტანი (ბირმა), 1972-1981 — კურტ ვალდჰაიმი (ავსტრია), 1981 წლის ოქტომბრიდან ამ პოსტს იკავებს პერეს დე კუელიარი (პერუ).

საგანგებოდ უნდა შევეხოთ საერთაშორისო სასამართლოს, რადგან მისი საქმიანობა შედარებით ნაკლებად უქმდება ჩვენს ჟურნალ-ვახეთებში.

საერთაშორისო სასამართლო შეიქმნა ერთა ლიგის საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის სტატუსის საფუძველზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ და ახალმა სტატუსმა ახალი სასამართლო დემოკრატიულ ყაიდაზე გარდაქმნა.

საერთაშორისო სასამართლო შედგება 15 წევრისაგან, რომელთაც ცხრა წლის ვადით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ირჩევენ გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო. მოსამართლეებს ირჩევენ მათი კვალიფიკაციის მიხედვით და არა მოქალაქეობის გათვალისწინებით, ე. ი. პირველ რიგში მხედველობაში მიიღება მეცნიერული და პრაქტიკული კვალიფიკაცია, ავტორიტეტი.

ერთ სახელმწიფოს არ შეიძლება სასამართლოში ორი მოსამართლე ჰყავდეს. მხედველობაშია მიღებული, რომ სასამართლოში წარმოდგენილი უნდა იყოს მსოფლიოში არსებული მთავარი სამართლებრივი სისტემები. საბჭოთა კავშირიდან ამ სასამართლოს წევრები იყვნენ პროფესორები ს. კრილოვი,

ვ. კოჟენიკოვი, ვ. კორეცკი, ამჟამად მისი წევრია ცნობილი საბჭოთა დიპლომატი პ. მოროზოვი. სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს სტატუტის მონაწილე მხოლოდ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით.

სასამართლო იხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, სადაც მხარეებად წევრ-სახელმწიფოები გამოდიან. სასამართლო იძლევა კონსულტატურ დასკვნებს, თუ ამისათვის მიმართავს გენერალური ასამბლეა ან უშიშროების საბჭო, ან პირველის ნებართვით რომელიმე სხვა ორგანო: სასამართლო წარმოებაში მხოლოდ მაშინ ღებულობს საქმეს, თუ ორივე მოდავე მხარე თანახმაა მის იურისდიქციაზე. თუ ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს საქმის სასამართლოში გადაცემაზე, სასამართლო მას ვერ გადაწყვეტს. მაგრამ, თუ სახელმწიფო დათანხმდა სასამართლოს იურისდიქციაზე, იგი მოვალეა შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს უშიშროების საბჭოს და მოითხოვოს სასამართლოს გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო სასამართლომ საკმაოდ რთული გზა განვლო. მისი არსებობის პირველ პერიოდში, როდესაც აშშ და სხვა იმპერიალისტური ქვეყნები ბატონობდნენ ერების ორგანიზაციის ყველა ორგანოში, სასამართლო ხშირად ისეთ გადაწყვეტილებას ღებულობდა, რომელიც ვნებდა სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს, მაგრამ შემდეგ ვითარება საკრძობლად გაუმჯობესდა, რამაც აამაღლა სასამართლოს ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში.

ამ ორგანოს დასახასიათებლად საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში საერთაშორისო სასამართლომ აღიარა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ ნამიბიის ოკუპაციის უკანონობა (1971 წ.), დაგმო აშშ-ის ინტერვენციული ზრახვები და მოქმედებანი ნიკარაგუის მიმართ (1984 წ.).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს ისეთი სამართლებრივი ბაზა, რაც მას საშუალებას აძლევს დაიცვას მშვიდობა და ხალხთა უშიშროება ყველა მის განკარგულებაში არსებული საშუალებების გამოყენებით.

ორგანიზაციის ისტორია ცხადყოფს, რომ 1945-1960 წლებში ამერიკის შერეობული შტატების ზეგავლენით შექმნილი ძალთა თანაფარდობა ვნებდა ორგანიზაციის მუშაობას, ასუსტებდა მის ავტორიტეტს. ე. წ. „კენჭის ყრის მანქანის“ საშუალებით ამერიკის შერეობული შტატები იყენებდა თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჰეგემონიას კაპიტალისტურ ქვეყნებზე (რაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში განმტკიცდა) და აიძულებდა მათ საბოტაჟი გაეწიათ სოციალისტური ქვეყნების თითქმის ყველა დემოკრატიული წამოწყებისათვის. მეორე მხრივ, იგი ამ ბლოკს იყენებდა თავისი აგრესიული ზრახვების რეალიზაციისათვის; საქმე იქამდე მივიდა, რომ წესდების აშკარა დარღვევთ, ამერიკელმა იმპერიალისტებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცისფერი დროშა კორეაში ომის გაჩაღებისათვისაც კი (1950-1955 წწ.) გამოიყენეს. მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების თანამიმდევრული ბრძოლის შედეგად დაირაზმა პროგრესული კაცობრიობა, რასაც ორგანიზაციაში იმპერიალისტთა ბლოკის პოზიციების შესუსტება მოჰყვა. დაიშალა კოლონიური სისტემა და საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა ასამდე ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფო.

ღღევანდელ პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოქმე-



დების ფართო ასპარეზი გადაეშალა. იგი ვახდა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ეფექტიანი გარანტია და მთელ თავის ძალისხმევას ახმარს წესდებით გათვალისწინებული საპატიო ამოცანის — მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებას.

მართალია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის ორმოცი წლის მანძილზე კაცობრიობამ არაერთხელ განიცადა საერთაშორისო ურთიერთობათა დაძაბულობა, ორ სოციალურ სისტემას შორის მძაფრი კონფრონტაცია, აქა-იქ გაჩაღდა ახალი აგრესიული ომები, იყო ადამიანის უფლებათა უღმრთელი გათვლვის ფაქტებიც, მაგრამ ამ უნიკალურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ შესძლო მრავალი კონფლიქტის შენელება, აგრესიის თავიდან აცილება, დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის სათანადო პირობების შექმნა. არც ის არის დასამალი, რომ მრავალ შემთხვევაში ეს ორგანიზაცია უძლური აღმოჩნდა, რათა დროულად ჩაეხშო ესა თუ ის სამხედრო კონფლიქტი და ღირსეულად დაესაჯა აგრესორი (ისრაელის აგრესია ეგვიპტის, სირიისა და ლიბანის წინააღმდეგ, აშშ-ს ინტერვენცია გრენადაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესია ნამიბიის ხალხის წინააღმდეგ და სხვ.), მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, განსაკუთრებით კი უშიშროების საბჭომ აგრესორები სამარცხვინო ბოძზე გააყრეს და უდიდესი უმრავლესობით მიღებული რეზოლუციებით დაგმეს აგრესორთა საქციელი, მოითხოვეს მშვიდობის აღდგენა. უშიშროების საბჭოს საგანგებოდ მოწვეულ სესიებზე მიიღეს არაერთი რეზოლუცია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მშვიდობის სწრაფ აღდგენაში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების ვეტოს გამო, უშიშროების საბჭომ ვერ შესძლო ისეთი რეზოლუციის მიღება, რომელიც იურიდიულად სავალდებულო იქნებოდა აგრესორისათვის. გამართლდა ორგანიზაციის შემქმნელთა წინასწარმეტყველება — დიდ სახელმწიფოთა შორის განხეთქილება გლობალური მასშტაბით ავნებს მშვიდობის საქმეს.

მიუხედავად აშშ-ის ობსტრუქციული პოზიციისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზემოქმედება აგრესორებზე ყოველთვის უაღრესად დიდ მორალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა და აიძულებდა აგრესორს თავშეკავებულად ემოქმედა დაპყრობილ ტერიტორიაზე, სწრაფად გაეყვანა ჯარები და გაემართლებინა თავი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

დიდია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღვაწლი საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა სფეროში მყარი მორალურ-პოლიტიკური წესრიგის დამყარებისა და მრავალმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შეღუშუალების საქმეში, რამაც განაპირობა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სოლიდური იურიდიული ბაზის შექმნა.

ბევრი სერიოზული პრობლემა დგას დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე — ეს არის განიარაღება და განსაკუთრებით, ბირთვული ომის თავიდან აცილება, „ვარსკვლავეთის ომებისათვის“ მზადების დაუშვებლობა და სხვ. საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ეფექტიანად გადაჭრას მასზე დაკისრებული ამოცანები.



## არ დავინდოთ სახალხო დოვლათის დაცვა სხვაგვარად

შ. გორგოძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი აღმავლობით ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. შრომითი წარმატებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში განიხილავენ პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების პროექტებს. აქვე მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ გაძლიერებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის თავდაუზოგავად იღვწიან ყველა დარგის, ყველა სპეციალობის ადამიანები და მათ შორის მილიციის ორგანოებიც. როგორც წესი, ისინი ყოველთვის ავანგარდში არიან, რადგან დამნაშავეობასთან ბრძოლა ქვეყნის ძლიერების საფუძველია. აქ კი გამორჩეული და განსაკუთრებული როლი ეკისრება სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურს, რომელიც საიმედოდ იცავს სახალხო დოვლათს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო წლებში განხორციელდა მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებანი, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდა სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, ამაღლდა მათი ბრძოლისუნარიანობა, უფრო შემტევი, პრინციპული და ზუსტი გახდა მათი საქმიანობა. უნდა ითქვას, რომ ეს სამსახური პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად იხდის ვალს პარტიისა და ქვეყნის წინაშე.

წარმატებები იმის შედეგია, რომ ჩვენი თანამშრომლები ერთგულად, თავდადებით ემსახურებიან ხალხის ინტერესებს, უკომპრომისოდ იბრძვიან საქმოსნებთან, მექრთამეებთან, სპეკულანტებთან და სხვა ჯურის დამნაშავეებთან. ისინი მართალნი, უშიშარნი და პირდაპირნი არიან, ყველგან მტკიცედ, ერთგულად დგანან სოციალისტური საკუთრების დაცვის სადარაჯოზე და პირადი საქმიანობით იძლევიან სანიმუშო მაგალითებს.

ერთ-ერთი ასეთია გურამ ჩაჩიბაია, რომელიც აგერ უკვე თხუთმეტ წელზე მეტია სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის და სპეკულაციის წინა-

აღმდეგ მებრძოლ სამსახურში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მან გამოავლინა და პასუხისმგებლობა მისცა არაერთი დამტაცებელი, მექრთამე და სპეკულანტი.

მისი ახალგაზრდა კოლეგა მერაბ დარბაიძე კი კომკავშირული საგზურით მოვიდა ჩვენთან. იგი სრულიად გაძოლვებული იყო, მაგრამ მალე შეითვისა ჩეკისტის რთული პროფესია, ადვილად აუღო ალღო დამნაშავეებთან ბრძოლას და დღესაც სუფთა გულით, სპეტაკი ხელებით ემსახურება ხალხს.

ასეთი თანამშრომლები ჩვენი ოქროს ფონდია, ისინი საკმაოდ ბევრნი არიან და საიმედოდაც იცავენ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. ეს ინტერესებია სახალხო დოვლათის დაცვა ყოველგვარი, ხელყოფისაგან, სპეკულანტებისა და მათი ხელშემწყობი პირების მხილება, იმათი დასჯა, ვინც დანაშაულებრივი გზით ცდილობს უზრუნველ ცხოვრებასა და გამდიდრებას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც დანაშაულებრივი ფაქტები მშრომელთა კოლექტივის, საზოგადოების თვალწინ ხდება, მაგრამ რადგან მათ ირგვლივ ზოგჯერ შემრიგებლობის და უპრინციპობის ატმოსფეროა შექმნილი, მუქთახორა ელემენტები დაუსჯელნი რჩებიან.

მართალია, შეუვალნი და შეუტირებელნი ვართ ყოველგვარ დანაშაულთან, მაგრამ დასჯა ჩვენი თვითმიზანი არ არის. იმასთან ერთად, რომ პასუხისმგებლობაში მივცით არაერთი დამტაცებელი და სპეკულანტი, ჩავატარებთ მრავალი პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიება, რამაც ერთგვარად გააქანსალა რესპუბლიკაში შექმნილი ატმოსფერო, მრავალ ადამიანს დაუბრუნა დაკარგული რწმენა, აღსდგა სოციალისტური ცხოვრების პარტიული ნორმები. მიუხედავად ამისა, ეს მეტად რთული პრობლემაა ჯერ კიდევ მთლიანად გადაჭრილი არ არის. ამაზე მთელი პრინციპულობით ითქვა ამასწინათ ჩატარებულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე და მითითებულია სადირექტივო ორგანოების შესაბამის დადგენილებებშიც.

წელს, იანვარში, მარნეულის ადგილმრეწველობის კომბინატის სამკერვალო სამქროში თეთრიწყაროს ადგილმრეწველობიდან 12 ათასი მანეთის აღურიცხავი ქსოვილი შეიტანეს, ხოლო თავის მხრივ ეს პროდუქცია თეთრიწყაროს მიაწოდა თბილისის მრავალდარგოვანმა კომბინატმა.

შემოწმებით მარნეულის ადგილმრეწველობის კომბინატში გამოვლინდა 400 ათასი მანეთის მზა პროდუქციის დანაკლისი, ხოლო თეთრი წყაროში — 134 ათასი მანეთისა. დამნაშავენი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არიან მიცემულნი და საკადრისად დაისჯებიან, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მრავალდარგოვან კომბინატში სახელმწიფო ქონების დატაცება პირველი შემთხვევა როდია. ამ ობიექტზე ჩვენ გასულ წელსაც გამოვამქლავნეთ სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მტაცებლობის ფაქტი. როგორც ჩანს, თბილისის მრავალდარგოვანი კომბინატის პასუხისმგებელ პირებს საჭირო დასკვნები არ გაუკეთებიათ.

სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები გამოვლინდა გასულ წელს თბილისის გაერთიანება „სოლანში“, ახმეტის, სამტრედიის, ცხინვალის, ტყიბულის და სხვა რაიონების ადგილმრეწველობებში.

იბადება კითხვა: რა იწვევს ასეთ მდგომარეობას და რატომ აქვს თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის რეციდივებს ხშირად ადგილი ამ სფეროში?

პასუხი ერთად-ერთია: ამის მიზეზია, ამ დარგის ხელმძღვანელთა პასიურობა, შემრიგებლობა ყოველგვარ დარღვევა-გადაცდომასთან, უკონტროლობა, მიდრეკილება მომხვეჭელობისადმი და დანაშავეთა ხელშეწყობა-დაფარვა არც თუ უანგაროდ.

საქმისადმი ასეთმა ზერელე დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო ობიექტებში კვლავ ხშირია დატაცების, მომხმარებელთა მოტყუების და სხვა სახის დარღვევები. ასევე ითქმის აგრეთვე სოფლის მეურნეობის, დამზადების, კვების მრეწველობის სისტემის ობიექტებზეც, ვისი სახელითაც რესპუბლიკაში საეჭვოდ მოქმედებენ სხვადასხვა სახის პატარა-პატარა საამქროები.

საქმოსებისა და კომბინატორების ასპარეზი ზოგჯერ ისეთ დონეს აღწევს, რომ პატიოსანი კაცისათვის იგი ერთობ დაუჯერებელიც კი არის. საამისოდ ანაგის ღვინის ქარხანაში მომხდარი ფაქტიც გამოდგება. აქ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას, რაშიც გარეული აღმოჩნდნენ სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები.

ეს საქმე ისე ვახმაურდა, რომ ყველას და, პირველ რიგში ღვინის ქარხნების მუშაკებს უნდა გაეკეთებინათ სათანადო დასკვნები. ასე კი არ მოხდა. ანალოგიური ფაქტები კვლავ განმეორდა გურჯაანის რაიონის მუკუზნის ღვინის ქარხანაში.

მაკონტროლებელი ორგანოების უყურადღებობაზე მეტყველებს ისიც, რომ გურჯაანის რაიონის კაჭრეთის სამკერვალო ფაბრიკაში ბოლო ოთხ წელიწადში სამკერ გამოძღვანდა სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტები.

გამოვლენილი დარღვევებისა და დანაშაულის ფაქტების ანალიზი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოსული ინფორმაციები გვიჩვენებს, რომ ვაჭრობის ბევრ ობიექტში შეინიშნება სერიოზული დარღვევები. აქ ჯერ კიდევ რთულია ოპერატიული ვითარება, სათანადოდ არ არის დაცული მატერიალური ფასეულობა, ადგილი აქვს გაფლანგვა-დატაცების, მექრთამეობის, მომხმარებელთა მოტყუების და დანაშაულობათა სხვა ფაქტებს, არ სრულდება საქონელბრუნვის გეგმები.

გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ 1983-1984 წლებში რაიკომპკავშირის 30 ობიექტი შეამოწმა და რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრა, 5-ზე წარდგინება დაიწერა. ამავე პერიოდში სხვა მაკონტროლებელმა ორგანოებმა რაიონში განლაგებული სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები 249-ჯერ შეამოწმეს, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაულის ერთი (!) ფაქტიც კი ვერ გამოავლინეს.

ასეთივე მდგომარეობაა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ დატაცებას, მექრთამეობას და სხვა კერძომესაკუთრულ ტენდენციებს ხელს უწყობს მაკონტროლებელი ორგანოების სუსტი, ფორმალური, გულგრილი დამოკიდებულება დაკისრებულ მოვალეობისადმი.

ყოველგვარ დანაშაულთან შეურთებლობა ჩვენი მუშაობის ორიენტურია. პრინციპულნი და სამართლიანნიც ვართ, როცა საქმე ეხება გამოუსწორებელ საქმოსანს, მაქინატორს, მექრთამე-გამომძღველს, სპეკულანტ-მომხვეჭელს, მაგრამ არც გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებები გვავიწყდება.

ეს პრობლემა განსაკუთრებით საჭირო და დამაფიქრებელია დღეს, რადგან დადგა დრო საბოლოოდ გადავუქტოთ გზები საქმოსნებს, რომლებიც დაუსჯელად აფათურებენ ხელს სახალხო დოვლათში. სხვაგვარად, მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდებით ალბათ შეუძლებელი იქნება რაიმე სასურველი შედეგების მიღწევა. საამისოდ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა უნდა დაირაზმოს.

როგორც ანალიზი ცხადყოფს, განსაკუთრებით დიდი ოდენობის დატაცებებს ხელს უწყობს საწარმოთა ხელმძღვანელების უკონტროლობა და უპასუხისმგებლობა. თითქმის არ ხდება გამოშვებული მზა პროდუქციისა და ნედლეულის ხარჯვის ყოველდღიური აღრიცხვა, არ დგება სპეციალური უწყისები, ბარათები და სამარშრუტო ფურცლები, სადაც აღნუსხული უნდა იყოს პროდუქციის სრული დასახელება, სახე, ზომა, სიგრძე და სხვა მონაცემები.

მატერიალურ-ფასეულობათა დატაცებას იწვევს აგრეთვე ის, რომ ნედლეულის და მზა პროდუქციის მიღება-გაცემა უშუალოდ საამქროებიდან ხდება, სასაწყობო წესის გვერდის ავლით, ირღვევა ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები, თავის ფუნქციებს სათანადოდ არ ახორციელებენ წარმოებათა ტექნიკური კონტროლის განყოფილებები, სავაჭრო ორგანიზაციებში სარეალიზაციოდ იგზავნება არასტანდარტული პროდუქცია და სხვა.

დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კადრების შერჩევა-განაწილების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როცა პირი მატერიალურ პასუხისმგებელ თანამდებობაზე ინიშნება.

ალბათ ამით უნდა აიხსნას, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორცაა კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, დამზადება, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა, ადგილობრივი მრეწველობა და მშენებლობა, გავრცელებულია საკმაოდ საშიში და სერიოზული დარღვევები, არც თუ იშვიათად ხდება დანაშაულებრივი ფაქტებიც.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ღრმად, შინაარსიანად შევისწავლოთ თითოეული დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, დაესახოთ მოფიქრებული, ეფექტიანი ღონისძიებები, და ჩანასახშივე აღკვეთოთ მოსალოდნელი ბოროტება, საშუალება არ მივცეთ მერყევე ელემენტებსა და საქმოსნებს, რომ კვლავ დაიტაცონ სახელმწიფო ქონება.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან მუშაობის ამ უბანს, მაგრამ დღევანდელი მოთხოვნები უფრო მეტს გვაულებს. დროა ძირფესვიანად გარდავქმნათ და გავაუმჯობესოთ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებები, ფუნდამენტალურად შევისწავლოთ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, მთელი საზოგადოებრიობა დავრაზმოთ მის აღმოსაფხვრელად. უნდა მივალწიოთ იმას, რომ ყველა საბჭოთა მოქალაქემ, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, შრომითმა კოლექტივებმა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუტყდადონ იმათ, ვინც ხელყოფს სახალხო დოვლათს, სახელმწიფოს ჯიბეში აფათურებს ხელებს, ცდილობს სხვისი ოფლითა და შრომით გამდიდრებას.

## სახელმწიფო სტანდარტების შექმნის

### 60 წლისთავისათვის

# პროდუქციის ხარისხის უზღაბრივი რეგულირება

ნ. გომრგომიანი,

სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი

1925 წლის 15 სექტემბერს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან შეიქმნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ორგანო — სტანდარტიზაციის კომიტეტი, რითაც კანონის ძალა მიეცა სტანდარტიზაციასა და ჩამოყალიბდა მისი ორგანიზაციულ-მატერიალური საფუძველი.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა საფეხურზე სტანდარტიზაციის თავისი განსაკუთრებული როლი და ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული, რადგან იგი წარმოადგენს ტექნიკური პროგრესის, საზოგადოებრივი წარმოების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მძლავრ იარაღს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის 18 აგვისტოს დადგენილებამ სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივმა დადგენილებამ საბჭოთა კავშირში სტანდარტიზაციის სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ, საბოლოოდ განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის კურსი ანუ სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მატერიალური და შრომითი რესურსების მაქსიმალური ეკონომია და მათ საფუძველზე მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა 1985 წლის ივნისის თათბირზე აღნიშნა, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოთა ტექნიკურ გადაიარაღებას, რესურსების ეკონომიკას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

უნდა ითქვას, რომ პროდუქციის ხარისხისათვის ზრუნვა არასოდეს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური, როგორც დღეს. ამ საქმეში სტანდარტიზაციის განსაკუთრებული და უდიდესი როლი ენიჭება, ვინაიდან აქ არის ჩამოყალიბებული ის ძირითადი ტექნიკური, ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც პროდუქციას მოეთხოვება. სტანდარტებშივეა მოცემული პროდუქციის ხარისხის მიღებისა და დადგენის მეთოდები, მოთხოვნები ნედლეულზე, მათი შენახვის, ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციის წესები. ამ პირობების დარღვევა იწვევს დიდ დანაკარგებს სახალხო მეურნეობაში და სახელმწიფოც ამიტომ მოითხოვს სტანდარტების მკაცრად დაცვას. უფლებრივი

თვალთახედვით კი სტანდარტები და ტექნიკური პირობები წარმოადგენენ ნორმატულ აქტებს, რომელთა დარღვევისათვის დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების სტიმულირების მთელი სისტემა, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით გამოწვეული სანქციების გამოყენებას. როგორც წესი, სანქციები გამოიყენება არა მარტო პროდუქციის წარმოების დროს, არამედ მისი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დამუშავების დროსაც, აგრეთვე რეალიზაციის, ტრანსპორტირების, შენახვის და ექსპლუატაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში. მართალია, სანქციები, თავისი არსით, უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ იგი ამავე დროს წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მძლავრ საშუალებას.

სანქცია ნიშნავს გათვალისწინებული იძულებითი ზომების მიღებას კანონის დარღვევით მიმართ. იგი მიუთითებს, თუ როგორი სახის იძულებითი ზომებია მისაღები სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმის დარღვევისათვის.

სანქციები ჩამოყალიბებულია საწარმოთა, ორგანიზაციათა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობისათვის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევის გამო. ეს სისტემა ეყრდნობა სამეურნეო, სისხლისსამართლებრივ და ფინანსურ კანონმდებლობებს, მაგრამ მათი გამოყენების დროს მთავარი ყურადღება მაინც უნდა მიექცეს სახსტანდარტისა და მის თანამდებობის პირთა მიერ გაცემულ განმარტებებსა და მითითებებს.

1983 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სტანდარტებსა და საზომ საშუალებებზე სახელმწიფო ზედამხედველობის დებულება. აღნიშნული დებულებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფო ინსპექტორების უფლებები. კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორებს შეუძლიათ აკრძალონ პროდუქციის გამოშვება, რეალიზაცია, ტრანსპორტირება, შენახვა და ექსპლუატაცია, თუ დაირღვევა სტანდარტების, ტექნიკური პირობების და მეტროლოგიური წესების მოთხოვნები. მათვე უფლება აქვთ აკრძალონ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საპროექტო დოკუმენტაციის გადაცემა დამკვეთისთვის, თუ დარღვეულია სტანდარტების, ტექნიკური პირობების და მეტროლოგიური წესების დაცვის მოთხოვნები. აკრძალვა ერცელდება აგრეთვე საბაზო და სათავო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო გამოცდის ჩატარების უფლებაზეც.

როგორც ცნობილია, პროდუქციის ხარისხსა და მათ გამოცდაზე ინფორმაციის იძლევიან საგამომცდელი ლაბორატორიები და ორგანიზაციები, მაგრამ ყველას არა აქვს ასეთი გამოცდის ჩატარების უფლება. იგი შეუძლიათ მხოლოდ მოწინავე და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ორგანიზაციებს. შეიძლება იყვნენ საწარმოები, კვლევითი ორგანიზაციები, რომელთაც შესწევთ უნარი დაადგინონ პროდუქციის ხარისხი და მისი სრულყოფილი ტექნიკური დონე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორებს შეუძლიათ აკრძალონ სახელმწიფო გამოცდების ჩატარება და გააუქმონ ჩატარებული სახელმწიფო გამოცდის შედეგები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაკონტროლებელ და უფლებისდამცველ ორგანოთა მიერ კომპლექსურად გამოყენებული სანქციები სტანდარტებისა და

ტექნიკური პირობების დარღვევისათვის. ამ დროს თვალსაჩინოდ იზრდება საქციების გამოყენების ეფექტიანობა, რადგან შესაძლებელი ხდება უხარისხო პროდუქციის გამოშვების მიზეზების უფრო ღრმა და შინაარსიანი შესწავლა-გამოკვლევა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სანქციების გამოყენება თვითმიზანი არ არის, იგი სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის მეტად ეფექტიანი საშუალებაა და მოწოდებულია არა მხოლოდ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დამრღვევთა დასასჯელად, არამედ იმ ზარალის ამოსაღებად, რაც სახელმწიფომ განიცადა უხარისხო პროდუქციის გამოშვებით. სანქციას აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს და მისი გამოყენების დროს ალბათ ესეც უნდა გავითვალისწინოთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და მეტროლოგიური წესების დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს გამოვლენისა და რეაგირების გარეშე.

პროდუქციის ხარისხს ამოწმებენ საწარმოთა და გაერთიანებათა სპეციალური სამსახურები (ტექნიკური კონტროლი), უწყებრივი და დარგთაშორისი ინსპექციები. დარგთაშორის კონტროლს ეკუთვნის სახელმწიფო ზედამხედველობა სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებზე, რასაც ახორციელებენ სასტანდარტის ტერიტორიული ორგანოები. მათ შორისაა საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოც.

საქართველოში ბევრია ისეთი საწარმო, რომელიც თავისი პროდუქციის ნახევარზე მეტს ხარისხის ნიშნით უშვებს. ესენი არიან უპირველესად სოხუმის გაზის აპარატურის ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა, თბილისის ინსტრუმენტალური ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორი“, ქარხანა „ფოთიელექტროაპარატი“, ქუთაისის სავაჭრომობილო ქარხანა, ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა და მრავალი სხვა. მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას, რადგან რესპუბლიკაში გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია არა მარტო მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით, არამედ საერთო-საკავშირო მაჩვენებლებთანაც, ასეთი ჩამორჩენა განსაკუთრებით შეინიშნება მანქანათმშენებლობის დარგში. მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის საკმაოდ დიდი მოცულობა ჩამორჩება თავის ძირითად სამომხმარებლო მაჩვენებლებს, საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთის ნიმუშებს და მსოფლიოს ბაზარზე არაკონკურენტული პროდუქციის რიცხვში დგას. ასეთია მაგალითად საწარმოო გაერთიანება „ელმავალშენის“ მიერ გამოშვებული ელექტროშტაბელიორები, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ ჩარხები, ფოთის გემთსარემონტო-სამშენებლო ქარხნის გემი „კოლხიდა“ და სხვა. ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი გვაქვს და ჩვენს მიერ შემოწმებული ყოველი მეორე საწარმო უხარისხო პროდუქციის გამოშვებულ საწარმოთა შორის მოხვდა. 1985 წელს რესპუბლიკაში უკვე გამოვლინდა 186 ასეთი საწარმო, რომელთა მიმართ გამოვიყენეთ სათანადო სანქციები და სხვადასხვა დარღვევებისათვის მოვსხენით თითქმის 6 მილიონი მანეთის მოგება.

შემოწმებით გამოირკვა, რომ უხარისხო პროდუქციის გამოშვების ძირითადი მიზეზებია ნედლეულის და მასალების დაბალი ხარისხი, სუსტი ტექნიკური კონტროლი, ტექნოლოგიური დისციპლინის უგულვებელყოფა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და წარმოებაში დასაქმებული მუშების დაბალი სა-



შემსრულებლო დისციპლინა და სხვა. თანამდებობის 300 პირს დაეკისრა პერ-სონალური პასუხისმგებლობა.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტების მართოდენ ფიქსირება შედეგს არ იძლევა. საჭიროა მკაცრი ზომების მიღება. ამ საქმეში ყველაზე ეფექტიანია სამრეწველო პროდუქციის ატესტაცია, რადგან მისი წესები ითვალისწინებს უმკაცრეს კონტროლს ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოებაზე. სამინისტროებს, საწარმოებს, აგრეთვე რეგიონალური ხარისხის კომისიებს აქვთ ამგვარი ატესტაციის გეგმები და მათ შესრულებაზე კონტროლია დაწესებული. მიუხედავად ამისა, მაინც გამოვლინდა 45 დასახელების ნაწარმი, რომელთაც თავის დროზე არ ჩაუტარდათ ატესტაცია. ამ პროდუქციას აწარმოებს 31 საწარმო და თანხა შეადგენს 16,5 მილიონ მანეთს. ატესტაცია დროულად არ ჩატარეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ, რუსთავის ქარხანა „აზოტმა“, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანამ“, რუსთავის ამწეების ქარხანამ, „საქელექტრომანქანამ“ და ა. შ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ პროდუქციას დროულად არ გაუკეთდა ატესტაცია, იგი არაატესტირებულად ითვლება და მასზე ვრცელდება ფასდაკლება საბითუმო ფასებიდან 30 პროცენტის ოდენობით.

გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მრავალმხრივ მუშაობას ეწევა სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველო. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სისტემატური თანამშრომლობა არბიტრაჟისა და პროკურატურის ორგანოებთან. სახსტანდარტიდან თითქმის რეგულარულად იგზავნება შემოწმების მასალები სახელმწიფო არბიტრაჟში, რათა საქმე აღიძრას უხარისხო პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდებისათვის. თავის მხრივ არბიტრაჟი სახსტანდარტის წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად იხილავს წარმოდგენილ მასალებს და თუ დადგინდება, რომ უხარისხო პროდუქცია გამოშვებულია დიდი ოდენობით, მას სისტემატური ხასიათი აქვს და კვლავაც გრძელდება, საქმე დაუყოვნებლივ გადაეცემა პროკურატურას დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემად. ასეთ დროს კარგ შედეგებს იძლევა აღნიშნულ ორგანოთა ერთობლივი შემოწმება. მიმდინარე წელს ასეთი სახის 45 შემოწმება ჩატარდა.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს იმ დიდი და გადაუდებელი ამოცანების შესრულებას, რაც პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებითაა დასახული. იგი ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მატერიალური და შრომითი რესურსების მაქსიმალურ ეკონომიას და რაც მთავარია, ამის საფუძველზე მოსახლეობის ყოველმხრივი კეთილდღეობის ამაღლებას.

პროდუქციის ხარისხი კი მათი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.



# ნაყოფიერი შრომის ათი წელი

ა. გაბიანი,

დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შესრულდა 10 წელი მას შემდეგ, რაც მუშაობას შეუდგა დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც დაარსდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით. დადგენილება მიზნად ისახავდა რესპუბლიკაში დამნაშავეობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლის ამოცანას.

70-იანი წლების დამდეგს რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მკვეთრი შემობრუნება მოხდა, რაც დაკავშირებული იყო „საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებასთან, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის განახლებასთან და სხვა ობიექტურ ვითარებასთან. სწორედ 70-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო ნაყოფიერი საქმიანობა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და აღკვეთის სფეროში.

დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა — ამისათვის ნიადაგის შემზადება გაცილებით ადრე დაიწყო, რადგან ამ დროისათვის რესპუბლიკაში უკვე არსებობდა სამართალდარღვევათა მეცნიერული კვლევის გარკვეული გამოცდილება.

საქართველოში დამნაშავეობის მეცნიერული კვლევის პირველი და სერიოზული ნაბიჯები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის სახელთან არის დაკავშირებული. მან ჯერ კიდევ 60-იანი წლების დამდეგს იცოდა, რომ აუცილებელი იყო რესპუბლიკაში კრიმინოლოგიური მეცნიერების განვითარება. ამიტომაც, ამ დარგის სპეციალისტების მომზადების მიზნით თავისი მოწაფეები ხანგრძლივი ვადით მიავლინა კრიმინოლოგიაში აკადემიის ნამდვილ წევრთან, სპეციალისტებთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთან, პროფესორ ვ. ნ კუდრიავცევთან, პროფესორ ა. ა. გერცენზონთან და სხვებთან. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ჩვენს ქვეყანაში კრიმინოლოგიის მეცნიერების აღორძინება ახალი ძალით დაიწყო. საქართველოდან მოსკოვში წარგზავნილ ახალგაზრდებს ჯერ კიდევ 1962-1965 წლებში საშუალება ჰქონდათ ემუშავათ კრიმინოლოგიის დარგში დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილ სპეციალისტებთან ერთად,

საფუძვლიანად დაუფლებოდნენ საუკეთესო ტრადიციებს დამნაშავეობის მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდიკაში და სხვ.

დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს, თავისი მუშაობის 10 წლის მანძილზე რესპუბლიკაში დამნაშავეობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების მეცნიერული კვლევის და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების ნამდვილ ცენტრად იქცა. ამ დროის მანძილზე ლაბორატორიის კოლექტივის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ცნობილია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ლაბორატორიამ რთული, წინააღმდეგობებითა და სიძნელებით აღსავსე ვაზა განვლო. იგი თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრასთან შეიქმნა მისი ხელმძღვანელის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვ. ქვაჩაიას ხელის შეწყობით.

ერთი წლის შემდეგ ლაბორატორია იურიდიულ ფაკულტეტს გადაეცა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო ლაბორატორია ეწოდა. ეს იყო ლაბორატორიის პირველი რეორგანიზაცია.

ლაბორატორიამ მოკლე დროში რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჩატარა, რის გამოც დღის წესრიგში დადგა მისი გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი.

1979 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა ლაბორატორიის მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხის შესწავლა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1980 წლის დამდეგს ლაბორატორიის კვალიფიცირებული კადრებით გაძლიერებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების თაობაზე მიიღო სპეციალური დადგენილება, რითაც დაიწყო ახალი რეორგანიზაცია. კერძოდ, ლაბორატორიაში გაიხსნა სამი განყოფილება: მათემატიკური მეთოდების და გამოთვლითი ტექნიკის სოციოლოგიურ კვლევაში გამოყენების, კრიმინოლოგიური კვლევის და ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიის განყოფილება. ლაბორატორიას დამატებით გამოეყო საშტატო ერთეულები, რამაც ინფორმაციის შემგროვებელთა ჯგუფის გაფართოების საშუალება მოგვცა. ამან გაცილებით დააჩქარა დიდი მასშტაბის გამოკვლევების ჩატარება.

1981 წელს დაიწყო ლაბორატორიის ხელახალი რეორგანიზაცია. კერძოდ, იგი გადაეცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამიერიდან ლაბორატორიამ მეტი ორგანიზაციული და ფინანსური დამოუკიდებულება შეიძინა. შეიქმნა ლაბორატორიის მმართველობის აპარატი, შედარებით იოლი განვითარებული ინფორმაციის მოპოვება და საერთოდ, მნიშვნელოვნად უკეთესი პირობები შეიქმნა ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა, კვლავ დგას ლაბორატორიის რეორგანიზაციის საკითხი. მის ბაზაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გათვალისწინებულა სოციოლოგიურ გამოკვლევათა სექტორის შექმნა რამდენიმე განყოფილებით. განზრახულია აგრეთვე ლაბორატორიის საქმიანობის სფეროს გაფართოება: სახელდობრ, დამნაშავეობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების მეცნიერულ

კვლევასთან ერთად, ლაბორატორია შეისწავლის ქორწინების, ოჯახის და სქესთა შორის ურთიერთობის სოციოლოგიურ საკითხებს, ქალაქისა და სოფლის სოციოლოგიას, წარმოების სოციოლოგიასა და თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკის პრობლემას და სხვ.

ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ყველა გამოკვლევა მეტნაკლებად მოითხოვს დიდი მოცულობის პირველადი ინფორმაციის მოპოვებას და მის დამუშავებას თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე. ამ მეტად შრომატევადი და ნატიფი სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან ერთად ლაბორატორია წლების მანძილზე მუშაობდა დამნაშავეობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და ავტომატიზებული დამუშავების ერთიანი სისტემის შექმნაზე (სხვათა შორის, ჯერ კიდევ ლაბორატორიის ჩამოყალიბებამდე ამ გამოთვლით ცენტრთან ერთად, გამოთვლითი ტექნიკა სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისათვის პირველად გამოვიყენეთ რესპუბლიკაში). ასეთი სისტემა შეიქმნა და მას კარგა ხანს ვიყენებდით, მაგრამ გამოთვლითი ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების განუწყვეტელი ზრდის პირობებში ლაბორატორიის წინაშე კვლავ დაისვა ახალი, უფრო სრულყოფილი სისტემის დამუშავების ამოცანა, რომლის გადაჭრაც ითავა ლაბორატორიის განყოფილების გამგემ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. მდივანმა. მან, შედარებით მოკლე დროში, შექმნა სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების ახალი სისტემა, რომელიც სრულად უპასუხებს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს. აღნიშნული სისტემა სულ ორიოდ წელია, რაც დაინერგა და მისმა გამოყენებამ უკვე საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და უმოკლეს ვადაში ინფორმაციის მაქსიმალურად შესაფერისი სახით მიღების საშუალება. ეს სისტემა ძველ სისტემაზე დაახლოებით 2-2,5-ჯერ უფრო ეკონომიურია. ახლა უკვე შეგვიძლია დამუშაოთ და დავენერგოთ ინფორმაციული ავტომატიზირებული სისტემები სამართალდარღვევების მიზეზების კვლევისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა კონკრეტული ამოცანებისათვის.

ლაბორატორიაში უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს დამნაშავეობაზე ურბანიზაციისა და მოსახლეობის მიგრაციის ზეგავლენის სოციოლოგიური ასპექტების მეცნიერული კვლევა. პირველ რიგში დამუშავდა დამნაშავეობის ტერიტორიული ანალიზის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით რესპუბლიკის ტერიტორია 20 რეგიონად დაყავით. გამოკვლევას საფუძვლად დაედო ჰიპოთეზა, რომ იქნებ ამ რეგიონებს შორის არსებული განსხვავებები ეკონომიკურ განვითარებაში, სახალხო მეურნეობის ხასიათსა და სტრუქტურაში, ურბანიზაციის დონესა და მიგრაციის ინტენსივობაში, სოციალურ-კულტურულ განვითარებაში და სხვ., აისახება დამნაშავეობის დონესა და ხასიათშიც. და მართლაც, მდიდარ ემპირიულ მასალაზე აგებულმა გამოკვლევამ (ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე დამუშავდა 3 წლის განმავლობაში მსჯავრდებული ყველა პირის შესახებ სათანადო ინფორმაცია) სრულიად დაადასტურა ჩვენი ვარაუდის სისწორე. სწორედ ამ გამოკვლევის შედეგები დაედო საფუძვლად დამნაშავეობის გეოგრაფიის საკითხებზე დასტამბულ მონოგრაფიას, რომელიც პირველია ჩვენს ქვეყანაში და მან სპეციალისტების მაღალი

შეფასება დაიმსახურა. იმავე ემპირიული მასალის გამოყენებით შეიქმნა მონოგრაფია, რომელშიც მოცემულია ქალაქსა და სოფელში დამნაშავეობის შედარებითი ანალიზი და მას მალე მიიღებს მკითხველი.

ლაბორატორიაში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ავტორთა კოლექტივმა შექმნა მონოგრაფია ნორმატიულ-ღირებულებითი პროპაგანდის ეფექტურობის საკითხზე, რომელიც აგრეთვე პირველია ჩვენს ქვეყანაში.

რეპრეზენტატიული შერჩევით მთელს რესპუბლიკაში გამოიკითხა სამართლებრივ თემაზე გამოქვეყნებული საგაზეთო პუბლიკაციების 3365 მკითხველი, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ამ თემაზე გადაცემათა 2813 მსმენელი და 3285 მსმენელი. ამ მასალას თავი მოუყარეთ კოლექტიურ მონოგრაფიაში, რომელსაც უახლოეს მომავალში მიიღებს ჩვენი მკითხველი. მალე ამ პრობლემას იმავე პროგრამით განმეორებით გამოვიკვლევთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დავალებით ლაბორატორიის კოლექტივმა რამდენიმე ეტაპად განახორციელა მოზარდთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკის პრობლემის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა. ამისათვის სპეციალურად შედგენილი კითხვარით გამოვიკითხეთ ქ. თბილისის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში აღრიცხული ძნელად აღსაზრდელი მოზარდები. ორ ეტაპად გამოიკითხა ყველა სამართალდამრღვევი მოზარდი, ვინც ცუდი ყოფაქცევისათვის მოთავსებულია რესპუბლიკის სპეციალურ აღმზრდელობით და აღმზრდელობით-შრომით დაწესებულებებში, აგრეთვე ის არასრულწლოვანი დამნაშავეები, რომლებიც სასჯელს იხდიან ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ გამოკვლევების შედეგები მრავალგზის განიხილეს სხვადასხვა ორგანოებში და მათ მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ლაბორატორიამ, პირველად ჩვენს ქვეყანაში, დაასრულა ნარკოტიკების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის შედეგების გათვალისწინებით ჩვენს რესპუბლიკაში დამუშავდა და დაინერგა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა. გამოკვლევის შედეგები და კონკრეტულ, პრაქტიკული რეკომენდაციები მრავალჯერ განიხილეს და მოიწონეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. გამოკვლევის შედეგები აისახა კოლექტიურ მონოგრაფიაში, რომელიც უკვე გამოიცა და მთლიანად ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ეძღვნება. ამ მონოგრაფიას რუსულ ენაზე მალე მიიღებს მკითხველი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ლაბორატორიამ, პირველად ჩვენს რესპუბლიკაში, ჩაატარა მექრთამეობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევა. სპეციალური პროგრამით შევისწავლეთ მექრთამეობის მრავალი სისხლის სამართლის საქმე, ამასთან, ვრცელი სოციოლოგიური ანკეტით რესპუბლიკის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოიკითხა ქრთამის ადებისათვის მსჯავრდებული პირები. გამოკვლევამ მდიდარი მასალა მოგვცა მექრთამეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების

ანალიზისათვის, აგრეთვე მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემდგომი სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავებისათვის. ამ გამოკვლევის შედეგები გულდასმით განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობამ და სხვ.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრთან ერთად ლაბორატორიამ შეისწავლა მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ რესპუბლიკის მოსახლეობის აზრი. ამ გამოკვლევის შედეგები სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის დავალებით ლაბორატორიამ 70-იან წლებში, პირველად სსრ კავშირში, ჩაატარა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევა და შეიმუშავა ამ მავნე მოვლენების პროფილაქტიკის ღონისძიებათა კომპლექსი. ამ გამოკვლევის შედეგებით, რესპუბლიკის მაგალითზე, პირველად ჩვენს ქვეყანაში, ვცადეთ დაგვეთვალა ის ეკონომიკური ზარალი, რასაც სახალხო მეურნეობა განიცდის ლოთობისა და ალკოჰოლიზმის გამო. აღმოჩნდა, რომ ეს ზარალი მნიშვნელოვნად სჭარბობს მოგებას. კერძოდ, გამოკვლევისათვის აღებული წლებში საშუალოდ ერთ წელიწადში ჩვენს რესპუბლიკაში ზარალი დაანსლებით 200 მილიონი მანეთი იყო. გარდა ამისა, ჩავატარეთ ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა, შევისწავლეთ სპირტიანი სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის და სხვა საკითხები.

ამ გამოკვლევის შედეგებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ მრავალჯერ იმსჯელა და მათ მალალი შეფასება დაიმსახურეს. ეს შედეგები 70-იანი წლების დამლევს განიხილა და მოიწონა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა. ამ გამოკვლევის შედეგებს ბოლო შეფასება მიეცა ზემოაღნიშნული კომისიის 1979 წლის 2 თებერვლის სხდომაზე. კომისიის დადგენილებაში აღინიშნა, რომ „ლაბორატორია პრობლემის ყოველმხრივი კომპლექსური, მეცნიერული შესწავლის საფუძველზე გვაწვდის ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკის ოპტიმალურ ღონისძიებებს“.

ამ გამოკვლევის შედეგები განიხილეს და მოიწონეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, გამოკვლევის შედეგები აისახა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც წარედგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. ამ გამოკვლევის შესახებ გრცელი წერილი გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“. სარედაქციო ანოტაციაში აღნიშნულია, რომ გამოკვლევის შედეგები მეტად საინტერესოა არა მხოლოდ ერთი რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

1980 წლის მარტში ბაკურიანში გამართულ საკავშირო თათბირ-სემინარზე ამ გამოკვლევის შედეგების განხილვას ერთი დღე დაეთმო. ცნობილმა მეცნიე-



რებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ ამ გამოკვლევით ლაბორატორიის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საჭირობოტო პრობლემების მეცნიერული შესწავლის საქმეში.

1980 წლის ზაფხულში ქ. ბათუმში ჩატარდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სპეციალურად მიექვანა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საკითხებს. თავის რეკომენდაციებში კონფერენციამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი გამოკვლევის მეთოდიკას და რეკომენდაცია გაუწია მას მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოყენებისათვის. გამოკვლევის შედეგები სხვა საკავშირო ღონისძიებებზეც განიხილეს და მოიწონეს.

ლაბორატორიამ ჩატარა, პირველად ჩვენს ქვეყანაში, ქალთა დამნაშავეობის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა. შევისწავლეთ ქალთა დამნაშავეობის მდგომარეობა, დინამიკა და სტრუქტურა. სპეციალურად ამ გამოკვლევისათვის შედგენილი ვრცელი სოციოლოგიური ანკეტით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ინტერვიუს გზით გამოიკითხა მრავალი მსჯავრდადებული ქალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრამ ჩვენს ლაბორატორიასთან დადებული ხანგრძლივი შემოქმედებითი თანამშრომლობის სელმეკრულების საფუძველზე ამ მეთოდიკით ანალოგიური გამოკვლევა ჩატარა რსფსრ-ში და მეტად საინტერესო შედეგები მიიღო, რომელთა საფუძველზეც დასასტამბად მზადდება მონოგრაფია.

განვილო 10 წლის მანძილზე ლაბორატორიის კოლექტივმა მრავალი სხვა გეგმური თუ ოპერატიული გამოკვლევა განახორციელა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენი გამოკვლევების რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა. ამჟამად ვმუშაობთ ერთდროულად ოთხ გამოკვლევაზე. ამისათვის მოგვიხდება რესპუბლიკის მასშტაბით 11000-ზე მეტი ადამიანის გამოკითხვა და ამ უზვი პირველადი მასალის ავტომატიზებული დამუშავება. თავისთავად ეს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ მასალის შემდგომ გააზრებასა და რეალიზაციაზე.

განზარხული გვაქვს რამდენიმე განმეორებითი გამოკვლევის ჩატარება, რაც მდიდარ ინფორმაციას მოგვცემს ადრე მიღებულ შედეგებთან შედარებისათვის. მაგალითად, ამჟამად განმეორებით ვიკვლევთ ნარკოტიზმის საკითხებს, დაგეგმილია აგრეთვე ალკოჰოლიზმის კიდევ ერთხელ, უფრო ფართო მასშტაბის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა.

ლაბორატორიას მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები აქვს რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის მრავალ სამეცნიერო ცენტრთან, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფარმირებისა და პროგნოზირების ცენტრთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამალლების ცენტრთან; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრასთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის თეორიისა და სოციოლო-

გის სექტორთან, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრასთან და სხვ.

გასული წლის დამლევს ფრიად სასიკეთო და სასიხარულო სიახლე მოხდა ჩვენი ლაბორატორიის ცხოვრებაში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ლაბორატორია გადაიქცა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის საბაზო ორგანიზაციად. ეს კი ჩვენი მომავალი საქმიანობის სრულიად ახალ პერსპექტივებს სახავს.

განვლილი პერიოდის მანძილზე ლაბორატორიის შრომები სამეგრ გამოიცა ცალკე კრებულად. ამჟამად ისტამბუღა ლაბორატორიაში მომზადებული ორი კოლექტიური მონოგრაფია, მომზადების სტადიაშია კიდევ ექვსი.

მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად, ლაბორატორიის კოლექტივს მრავალი ნაკლოვანებისა და სიძნელის გადალახვა მოუხდა. ეს არის კვალიფიკური კადრების მოზიდვის, დამაგრების, მომზადების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციის, აგრეთვე მრავალი სხვა საკითხი.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ათი წელი მეცნიერების შედარებით ახალი დარგის — საბჭოთა გამოყენებითი სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის განვითარებისათვის, არც თუ დიდი დროა. ამ წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის უშუალო ინიციატივით, სამართალდამცავი ორგანოების აქტიური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც სათანადო დონეზე ახორციელებს დამნაშავეობისა და ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიის რთული და აქტუალური პრობლემების მეცნიერულ კვლევას. ამ გამოკვლევების შედეგებს კარგად იცნობენ და მაღალ შეფასებას აძლევენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ამდენად, ლაბორატორიამ უკვე დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში გამოყენებითი სოციოლოგიის, კერძოდ, დამნაშავეობისა და ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიის აღმოცენებისა და განვითარების დიდმნიშვნელოვან საქმეში.





**წინადადება**

**კოოპერაჟის, ეკონომიკის**

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნარკოლოგიის სამეცნიერო საბჭოს ბიუროს გაფართოებული სხდომა. მოწვეული იყვნენ მოსკოვის, საქართველოს და სხვა რესპუბლიკების სამეცნიერო ცენტრების ცნობილი ნარკოლოგები.

სხდომის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა გ. ლეჟავამ.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნარკოლოგიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გ. ვ. მოროზოვმა. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ, თქვა მან, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებას უდიდესი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. ახლა საქართა ისე წარიმართოს მუშაობა, რომ საბჭოთა ადამიანები აღზარდონ ლოთობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რათა მომავალი თაობის სრულფასოვან ჯანმრთელობას შევუქმნათ მტკიცე გარანტია. ჩვენი დღევანდელი შეხვედრაც ამ საშვილიშვილო საქმეს ემსახურება, რადგან საბჭოთა მედიცინა პირველ რიგში დგას მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. მჯერა, რომ ბიუროს გაფართოებული სხდომის შედეგები კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის — საზოგადოების ამ უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გააქტიურებაზე.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი. ჩემი საქმიანობის 65 წლის მანძილზე, თქვა მან, ლოთობის გამო სულიერად და ფიზიკურად დეგრადირებულ მრავალ ადამიანს შეხვედრივარ და ყოველთვის იმ და-

სკვნამდე მივსულვარ, რომ ეს უადრესად მავნე ჩვევა ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს, რადგან სწორედ ლოთობის აღმოფხვრა მოსპობს ალკოჰოლიზმსაც: დიახ, ლოთობა და მხოლოდ ლოთობა ალკოჰოლიზმის უცილობელი წინაპირობაა. ამიტომ; მიმაჩნია და, სრულიად საფუძვლიანადაც, რომ ლოთობის სოციალურ-ფსიქოლოგიური საყიფების კომპლექსურ კვლევას დღეს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეყვიდით. საქართა, რომ სწორედ ამ მიმართებით იყოს ჩვენი საქმიანობა ყველაზე ეფექტიანი.

ცნობილია, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ საქართველო ოდითგანვე მევენახეობისა და მეღვინეობის ქვეყანაა. ჩვენთან საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ღვინის გამოყენების კულტურის ტრადიციები, მაგრამ ქართველი კაცი ასევე ოდითგანვე დასცინოდა ღვინის ბოროტად გამოყენებულს. „ყოველი ავიღვინოს შეუძლიაო“, ამბობდა დიდი სულხან-საბა, ხოლო ჩვენი სულმნათი ილია ლოთობას „სატკივარს“ უწოდებდა. ამიტომ, მწარედ ცდებიან ის ადამიანები, ვისაც მიაჩნია, რომ თითქოს საქართველოში არ არსებობს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის საშიშროება. ჩემი დიდი გამოცდილების კვალობაზე საქართველოში სმის მოყვარულთა ძირითადად ოთხი კატეგორია არსებობს:

1. ქართული სტუმართმოყვარეობა — ეს მართალია, გამოირიცხავს ლოთობას, მაგრამ ხშირად იგიწყებენ ზომიერებას, რასაც, როგორც წესი, სავალალო შედეგი მოაქვს;
2. ეგრეთწოდებული მსმელები, რომლებიც ჭერ ლოთები არ არიან, არც ალკოჰოლიკები, მაგრამ ეს „ბევრის მსმელები“ ვერც კი გრძობენ, როგორც მიექანებიან ლოთობისაკენ;
3. ლოთები, რომლებიც დღენი-დაღე სპირტიანი სასმელებისაკენ მიიღრტვიან, შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რათა ვარგად გამოთვრნენ, და
4. ქრონიკული ალკოჰოლიკები, რომლებმაც დაკარგეს პროფესია, ოჯახი, მთელ დროს სასაუბრეებში ატარებენ, თვრებიან ყლუბი ლუღით და გორაობენ სადაც მოხვდებათ.

ერთი სიტყვით, ლოთობა და ალკოჰოლი-

ზმი უდარესად სოციალურ-სამედიცინო და სოციალურ-ეთიკური პრობლემა და მის გადასაჭრელად უნდა დავირაზმით ყველა, ამ საერთ-სახალხო ბრძოლაში კი უპირველესად მიმართა სპირტიანი სასმელების მოყვარულთა მიმართ მორალური ზემოქმედება, ფსიქოტერაპია და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმა.

საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორის **გ. ლეუვაკის**, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ფსიქიატრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ბ. ნანეიშვილისა** და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური დანხარების განყოფილების უფროსის **ო. აბაშიძის** ერთობლივი ინფორმაცია — „საქართველოში ალკოჰოლიზმის გავრცელების ზოგიერთი საკითხი“. იმისათვის, რომ განვხორციელოთ, — ნათქვამია ინფორმაციაში, — დასაბუთებული და რეალური ანტიალკოჰოლური ღონისძიებანი, საკმარისი როდია მხოლოდ ალკოჰოლიკების რაოდენობის ცოდნა, ამისათვის აგრეთვე აუცილებელია მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფების მიერ ალკოჰოლის გამოყენების რაოდენობაზე, ამ ჩვევის ცვალებადობის ტენდენციებზე, დალევის, ლოთობის მიმართ დამოკიდებულების ადგილობრივ თავისებურებებზე, მათ შორის სოციალურ-კულტურულ ფაქტორებზე, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების მავნე შედეგების მასშტაბებზე და სხვა კონკრეტულ-სოციოლოგიურ და სამედიცინო-სოციოლოგიურ ფაქტორებზე. სწორედ ასეთი, პოზიციით გავანალიზებ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე მიღებული დადგენილების შესაბამისად — სისტემატურად ვვლენთ მოსახლეობის იმ ჯგუფებს, სადაც შედარებით საგანგაშო ვითარებაა. საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ანტიალკოჰოლური პოლიტიკის ცხოვრებაში ქმედითად გატარებისათვის არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულვებელყოთ ადგილობრივი ტრადიციები, თავისებურებანი და წეს-ჩვეულებები.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ, რომ რესპუბლიკაში სახარბიელო მდგომარეობა არ არის. მაგალითად, მსმელთა საერთო რიცხვის 5 პროცენტი ქრონიკული ალკოჰოლიზმით არის დაავადებული. ეს, რა თქმა უნ-

და, ცოტა არ არის და ცხადად მიგვანიშნებს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების ფაქტები. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ალკოჰოლიზმის გავრცელების მონაცემებით საქართველოს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვს როგორც საერთო საკავშირო, ისე სხვა რესპუბლიკების მონაცემებთან შედარებით. ჩვენზე უკეთესი ვითარებაა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში. საყურადღებოა ისიც, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელზე უარესი მდგომარეობაა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, ფოთში, წყალტუბოში, გორში და სხვ. ამ მოვლენის მიზეზების ამოწმურად გაანალიზება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან მათი შესწავლა მომავლისათვის გვაქვს გათვალისწინებული. მაგრამ ახლავ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცუდი მაჩვენებლების მქონე რეგიონები მევენახეობის ტრადიციებით არ გამოირჩევიან.

საგანგაშოდ მიგვანია, რომ დღეისათვის რესპუბლიკის ახალგაზრდობა გაცილებით ხშირად მიმართავს სპირტიან სასმელებს ვიდრე 20-30 წლის წინათ. თუ 1972 წელს ერთ სულ მოსახლეზე სპირტიანი სასმელების მიღება 3,8 პროცენტი იყო, 1984 წლისათვის 5,2 პროცენტამდე გაიზარდა (საკავშირო მაჩვენებელი 8,28 პროცენტია). ამიტომ არის, რომ უკანასკნელ ხანს გახშირდა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულობანი.

გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ალკოჰოლიზმი უდარესად მრავალწახანაგოვანი პრობლემა და იგი მოიცავს სამედიცინო, ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და იურიდიულ ასპექტებს. ამიტომ ალკოჰოლიზმის სამედიცინო საკითხების გადაჭრა შეუძლებელია სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემების გათვალისწინების გარეშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დანაშაულებების სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ა. გაბიაძემ** საბჭოს გაცნო რესპუბლიკაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის კვლევის საქმეში დაგროვილი გამოცდილება.

დამნაშაულებების სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიამ, თქვა მომხსენ-



ნებელმა, ჯერ კიდევ 70-იან წლებში პირველად ჩაატარა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პრობლემის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევა. შევისწავლეთ რესპუბლიკაში ალკოჰოლიზმის დინამიკა, სტრუქტურა და გეოგრაფია, გამოვიანგარიშეთ ის ეკონომიკური ზარალი, რასაც რესპუბლიკა განიცდის ლოთობისა და ალკოჰოლიზმის გავრცელების გამო. დადგინდა, რომ 70-იანი წლების შუა პერიოდისათვის რესპუბლიკამ 200 მილიონი მანეთი იზარალა. ეს ციფრი მას შემდეგ განუხრელად იზრდებოდა.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის სოციალურ-ეკონომიკური კვლევისას გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ, გავანალიზეთ ალკოჰოლიზმის გავრცელების სტატისტიკური მაჩვენებლები ხანგრძლივი პერიოდისათვის, სპეციალურად შედგენილი კითხვარით გამოვიკითხეთ ალკოჰოლიკები. გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსი. ჩვენი შედეგები, სპეციალისტების აზრით, მნიშვნელოვანი შენაძენია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პრობლემის ნაკლებად შესწავლილი ასპექტების მეცნიერული კვლევის საქმეში. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ამის თაობაზე გამოაქვეყნა ვრცელი წერილი. სარედაქციო შენიშვნაში მითითებულია, რომ ამ გამოკვლევის შედეგები საინტერესოა არა მარტო ერთი მოკავშირე რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და რომ მათი გათვალისწინება ხელს შეუწყობს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. გამოკვლევამ მაღალი შეფასება დაიმსახურა სოციოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირ-სემინარებში და კონფერენციებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის სოციალურ-ეკონომიკური კვლევა ხორციელდება რესპუბლიკის ჯანმრთელობის ორგანოებთან მჭიდრო კავშირში, რაც სულ უფრო მტკიცდება. მაგალითად, ახლახანს ლაბორატორიის კოლექტივმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის

სამინისტროსთან ერთად განმეორებით ჩაატარა ალკოჰოლიზმის მსხვილმასშტაბიანი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა. დიდი მოცულობის კითხვარის მეშვეობით რესპუბლიკის ყველა რეგიონში გამოიკითხა ალკოჰოლიზმით დაავადებული პირები. მიღებული მასალა ამჟამად ავტომატიზებული მეთოდებით მუშავდება.

გაფართოებულმა საბჭომ მეორე დღეს მუშაობა გააგრძელა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნარკოლოგიის ლაბორატორიაში.

პროფ. **ზ. ზურაბაშვილი**მა თავის მოხსენებაში ილაპარაკა რესპუბლიკის ნარკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის საქმიანობაზე და სამომავლო ამოცანებზე.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ბ. ნანეიშვილი**, ალკოჰოლიზმის საკავშირო სამეცნიერო-პროფილაქტიკის ცენტრის დირექტორის მოადგილე, პროფ. **ნ. ნ. ივანეცი**, პროფ. **ი. ნ. პიატნიცკაია**, ფსიქიატრიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატი **შ. გამყრელიძე**, პროფ. **ხ. გ. გასანოვი**, პროფ. **მ. ბ. ეტლისი** და აკადემიკოსი **ა. ზურაბაშვილი**.

შემდეგ განიხილეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიური ცენტრის სამომავლო საქმიანობის სამეცნიერო კომპლექსური პროგრამა.

ნარკოლოგიის სამეცნიერო საბჭოს ბიუროს გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნარკოლოგიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **გ. ვ. შოროშოვი**მა.

სხდომის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს რესპუბლიკის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნარკოლოგიის ლაბორატორიები. გაეცნენ მათ სამეცნიერო საქმიანობას.

# ლექციათა თემატიკა ლოთობასა და



## ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე

1. ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება და ანტიალკოჰოლური პროპაგანდის გაძლიერებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები;
2. ლოთობა და დანაშაული სოციალისტური ცხოვრების წესის ანტიპოღობა;
3. ლოთობის საზოგადოებრივი საშიშროება: სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები;
4. ლოთობა და პარაზიტული ცხოვრების წესი;
5. ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სოციალურ-სამართლებრივი ღონისძიებების სისტემა;
6. ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ღონისძიებანი;
7. შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების საქმეში;
8. ლოთობასთან ბრძოლის შრომითი კოლექტივების კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებანი. წარმოებაში სპირტიანი სასმელების დაღვევისათვის პასუხისმგებლობა;
9. ლოთობასთან დაკავშირებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის-სამართლებრივი ღონისძიებანი. სიმთვრალე როგორც დამამძიმებელი გარემოება;
10. იმ პირთა შეზღუდული ქმედუნარიან-

- ობა და იძულებითი მკურნალობა, ვინც ბოროტად იყენებს სპირტიან სასმელებს;
11. ლოთობის ნეგატიური გავლენისაგან არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის სოციალურ-სამართლებრივი საშუალებები;
12. არასრულწლოვანთა შორის ლოთობის თავიდან აცილებისათვის ოჯახის, სკოლის და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთ მოქმედება;
13. პასუხისმგებლობა მაგარი სპირტიანი სასმელების შინ დაშლადებისათვის;
14. პასუხისმგებლობა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევისათვის;
15. სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული ღონისძიებების როლი საზოგადოებრივი წესების დარღვევებისა და ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის თავიდან აცილების საქმეში;
16. ლოთობა და დანაშაული საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის წინააღმდეგ. პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისა და ასეთ ადგილებში არაფიზიკურ მდგომარეობაში გამოჩენისათვის;
17. ლოთობა და დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ;
18. ლოთობა და დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ;
19. სამართალდაცემით ორგანოების როლი ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და არყის შინ გამოსდის თავიდან აცილების საქმეში.

## ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

### ბრძოლის გაძლიერებისათვის ლექციების

### ნატარების რეკომენდაციები

ანტიალკოჰოლური სამართლებრივი თემატიკა ერთობ მრავალწახნაგოვანია. იგი მოიცავს საკითხთა ფართო და მრავალფეროვან წრეს. მაგრამ ყველა შემთხვევაში ლექტორმა მსმენელთა ყურადღება უნდა გაამახვილოს არამართო ლოთობის უდიდეს სოციალურ ბოროტებაზე და იმ ზიანზე, რასაც ლოთი აყენებს თავის ჯანმრთელობას, ოჯახს, წარმოებასა და მის გარშემო მყოფ ადამიანებს, არამედ, აუღიტიორიას ასევე უნდა გააცნოს ყველა ის საშუალება, რასაც საბჭოთა კანონმდებლობა ფლობს ლოთო-

ბისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის.

1. ნებისმიერი ლექციის საფუძველი უნდა იყოს „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მისის დადგენილება, რომელმაც ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა გადააქცია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანად. ლოთობა და ალკოჰოლიზმი შეუთავსებელია სოციალისტური საერთო ცხოვრებისა და კომუნისტური წესების პრინციპებისა-

თვის. მათ წინააღმდეგ უნდა ვიბრძოდეთ გადაჭრითა და უკომპრომისოდ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში — ასეთია მილიონობით საბჭოთა მოქალაქის ერთსულოვანი მოთხოვნა.

იმ კოლექტივის ცხოვრების კონკრეტული მაგალითებით, სადაც ლექცია ტარდება, უნდა ვაჩვენოთ, რომ ლოთობა იწვევს შრომის ნაყოფიერების დაქვეითებას, გაცდენებს, უხარისხო პროდუქციის გამოშვებას, მოწყობილობათა გაფუჭებას, ავარიებსა და ტრაგედიებს.

**2. ლოთობა და დანაშაული.** როცა ლოთობასა და დანაშაულს შორის კავშირზე ვილაპარაკებთ, საჭიროა ვაჩვენოთ, რომ მრავალ შემთხვევაში ეს ბოროტება არის დანაშაულის ჩადენის მიზეზი, ან ხელშემწყობი პირობა.

მიზანშეწონილია მოვუთხოვოთ მათ, რომ ცალკეული სახის დანაშაულზე ალკოჰოლიზმს პირდაპირი გავლენა აქვს. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ კანონის იმ დებულებაზე, რომლის თანახმადაც სიმთვრალე ითვლება დამამძიმებელ გარემოებად. აგრეთვე, ლოთობის ნიადაგზე საყოფაცხოვრებო დანაშაულთა თავიდან აცილების პრობლემაზე. ხაზი უნდა გავსვას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის არამართო სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და აღმშენებლობით ღონისძიებებს, არამედ ამ სახის დანაშაულთა თავიდან აცილების სპეციალურ ღონისძიებებსაც.

საგამოძიებო, საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკის მასალების გამოყენებისას აუცილებლად უნდა ითქვას: თუ რა ეფექტს მიადქვის იქ, სადაც განუხრებლად ასრულებენ კანონის მითითებებს; აქვე უნდა მიაქციონ ყურადღება ამ ბრძოლაში კონკრეტული კოლექტივების წევრების მიერ ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობებს.

როცა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას განვიხილავთ როგორც განსაკუთრებით რთულსა და მრავალმხრივ ამოცანას, რომელსაც მხოლოდ აკრძალვით ვერ ავიცილებთ თავიდან, აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ საჭიროა შემოქმედების სამართლებრივი ნორმები შევუხამოთ აღმზრდელობით და ორგანიზაციულ ღონისძიებებს. ამასთან, აქცენტი გაკეთდება იმაზე, რომ ლოთობის ბოლომდე აღმოფხვრის გზა უნდა ვეძებოთ ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის

განუხრელ ამბლებში, მათ შრომაში ინტელექტუალური გაზრდაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაში.

**3. ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები.**


ლოთობა და ალკოჰოლიზმი ჩვენში ყოველთვის კანონგარეშე იყო. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ გადავხედავთ, მაგალითად, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, შრომის, ქორწინებისა და ოჯახის კოდექსებს.

სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის მუშას ან მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს დისციპლინარული პასუხისმგებლობა, მათ შორის დაბალხელფასიან სამუშაოზე მათთვის ვადით ან იმავე ვადით დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა. აღმინისტრაციის ინციპიტით შეიძლება სამსახურიდან განთავისუფლებაც. იმას, ვინც არაფხიზელ მდგომარეობაში ზარალი მიაყენა საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას, ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა.

კანონმდებლობა სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებლების მიმართ აწესებს აგრეთვე სხვა ზომებსაც, კერძოდ, გათვალისწინებულია აღმინისტრაციული, დისციპლინარული პასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი და მატერიალური ზემოქმედების ღონისძიებანი.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობის გათვალისწინებით აუცილებლად ჩათვალა მსხვილი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, აღმინისტრაციული, სამედიცინო და სამართლებრივი მრავალი დამატებითი ღონისძიების განხორციელება. საკავშირო და რესპუბლიკების კანონმდებლობაში შეტანილია ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ლოთობასა და არყის შინ გამოხდისათვის, აგრეთვე სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევისა და სპეკულაციისათვის, არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის გამოყენებისათვის ითვლისწინებენ გამკაცრებულ სასჯელებს.

დადგენილია ღონისძიებანი ღვინისა და არყის ნაწარმით ვაჭრობის შემდგომი მოწესრიგებისათვის. ამჟამად, სამუშაო დღეებში, სპირტიანი სასმელები იყიდება მხოლოდ 14 საათიდან. აკრძალულია მათი გაყიდვა საწარმოების, მშენებლობების, სასწავ-



ლო და საბავშვო დაწესებულებების, საერთო საცხოვრებლების, საავადმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კულტურული და სანახაობრივი დაწესებულებების ახლოს, აგრეთვე მშრომელთა მასობრივი სეირნობისა და დასვენების ადგილებში. შემცირდა საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების რიცხვი, სადაც ნებადართულია სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა.

გაფართოვდა ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დამრღვევთა წინააღმდეგ სამართალდაცვითი ორგანოების ბრძოლის შესაძლებლობები. ისინი მოვალენი არიან მკაცრი კონტროლი დააწესონ კანონმდებლობის დაცვაზე, აღმოფხვრან არყის შინ გამოხდა და სპირტიანი სასმელებით სპეკულაცია, გზა გადაუღობონ ასეთ დანაშაულებებს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, რადგან ცალკეულმა პირებმა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებისა და ვაჭრობის შემცირება შეიძლება გამოიყენონ პირადი გამდიდრების მიზნით. არყის შინ გამოხდის თითოეული შემთხვევა უნდა განიხილებოდეს როგორც ბოროტი ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, რომელიც ისჯება დადგენილი კანონით.

დაუშვებელია მოწარმების მიზიდვის ცდა სპირტიანი სასმელების გამოყენებისათვის. ისინი უნდა დავიცვათ ლოთების გამაჩრწელები ზეგავლენისაგან. ახლა უკვე აკრძალულია 21 წლის ნაკლები ასაკის ახალგაზრდებისათვის სპირტიანი სასმელების მიყიდვა. ამინის სტრაციული და საზოგადოებრივი კონტროლის მთელი ძალისხმევა უნდა მივმართოთ ამ აკრძალვის განუხრებლად დაცვისადმი.

ლექციის კითხვისას დაწვრილებით უნდა დავახსიანოთ 1985 წლის 16 მაისს მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 ივნისიდან, აგრეთვე ადგილობრივი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების და არყის შინ გამოხდის აკრძალვის ღონისძიებათა შესახებ.

როცა ლოთობასთან ბრძოლის ახალ კანონმდებლობაზე ვლაპარაკობთ, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა კანონის გამკაცრებაზე, არამედ მისი შემოქმედების სფეროს გაფართოებაზე. უნდა შევჩერდეთ, მაგალითად,

წარმოებაში სპირტიანი სასმელების გამოყენების პასუხისმგებლობაზე. სახი უნდა გავუსვათ, რომ ეს ახალი მოთხოვნა კი არ არის, არამედ სამუშაო ადგილზე ლოთობა ყოველთვის დაგმობილი იყო, მაგრამ ახლა მსგავსი ფაქტებისათვის გათვალისწინებულია საქმოდ დიდი ჯარიმა, რომ დამნაშავეებს სხვა სახის პასუხისმგებლობაც ეკისრებათ.

4. ლოთობისა და მასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემის დახასიათება. შრომითი კოლმეტიკების როლი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლისა და ჩვენი საზოგადოების ცხოვრებიდან მათი თავიდან მოშორებისათვის დასახული ღონისძიებანი მხოლოდ მაშინ იქნება სათანადოდ ეფექტური, თუ უზრუნველყოფთ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზანმიმართული და კოორდინირებული საქმიანობის საყუველთაობას. თითოეულმა კომუნისტმა, თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა მთელი სიღრმით უნდა შეიგნოს ის საშიშროება, რაც საზოგადოებას ემუქრება და პირადი მავალითი განამტკიცოს სიფხიზლის ცხოვრების წესად დანერგვა.

ლოთობთან ბრძოლაში საგრძნობ შედეგებს აღწევენ იქ, სადაც შრომითი კოლექტივები სრულად იყენებენ მათთვის მინიჭებულ კანონიერ უფლებებს, სადაც პროფკავშირული ორგანიზაციები, ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმელები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები დროულად ეღობებიან წინ ლოთობას, მოვყვანოთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მაგალითები.

ლოთობის წინააღმდეგ თანმიმდევრული შეტევა — ეს არის აუცილებელი პირობა მშრომელების მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი პარტიის იმ კურსის რეალიზაციისათვის, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას.

მასალაზე მოამზადა სსრ კავშირის პროკურატურის საბჭოთა კანონმდებლობისა და სისტემატიკაციის განყოფილებამ.

(„სოციალისტიკისა და ჯანმრთელობის“ 1985, № 9).



# ოპიციური კავშირი

## ფ ე ს ე ბ ი

### საქართველოს სსრ ჩესკოსლოვაკიაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო სადგომების მიხედვით

#### დაგეგმვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით.

#### I. ზოგადი დავალებანი

1. ეს წესები ადგენენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოორპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის ერთიან წესს, რომელიც სავალდებულო სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომის, სამინისტროს, უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონებში, ქალაქის რაიონებში, დაბებსა და სოფლებში, და უნდა უზრუნველყოს კანონიერების ზუსტი დაცვა მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემისას.

2. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა და საცხოვრებელი სადგომების მიცემა სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, პროფკავშირული კომიტეტებისა და საბინაო-სამშენებლო კოორპერატივების მიერ ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებზე, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსისა და ამ წესების შესაბამისად მუდმივი კონტროლით და საჯაროობის დაცვით.

ამ მიზნით სახალხო დემუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან იქმნება საბინაო საკითხთა სასოფლო-სამეურნეო კომისიები აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის (კომისიის თავმჯდომარე), პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენლის (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოს დემუტატების, სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და საბინაო ორგანოების მუშაეთა შემადგენლობით.

კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს და მისი მუშაობის წესს განსაზღვრავს სახალხო დემუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომი.

აღნიშნული კომისიები განიხილავენ და წარუდგენენ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადებებს:

- საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის,
- საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთათვის სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის,
- საბინაო-სამშენებლო კოორპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემისადმი კონტროლის,

- გასათავისუფლებელი ან ასაღები სახლებიდან გადასასახლებელ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის,
- საცხოვრებელი სადგომების გაყოფისა და გაერთიანების,
- საცხოვრებელი სადგომების გაცვლის საკითხებზე,
- საქართველოს სსრ საბინაო კოდექსითა და ამ წესებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

საზოგადოებრივ კომისიათა წინადადებებს აღნიშნულ საკითხებზე განიხილავენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომები ამ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას.

3. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის საკითხებს ამზადებენ პროფკავშირული კომიტეტების საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიები აღმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად და წარუდგენენ განსახილველად აღმინისტრაციასა და პროფკავშირულ კომიტეტს.

შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და შეაქვთ შესაბამისი რეკომენდაციები, უზრუნველყოფენ კონტროლსა და საჯაროობას საცხოვრებლის განაწილებაში.

შრომითი კოლექტივების რეკომენდაციებს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვასთან და საცხოვრებელი სადგომების მიცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე ობიექტისწინებენ აღმინისტრაცია და პროფკავშირული კომიტეტები ამ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას.

4. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ სარგებლობაში საცხოვრებელი სადგომი, როგორც წესი, ოჯახისათვის ცალკე ბინის სახით.

5. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი წევრები, პირადი საკუთრების უფლებით საცხოვრებელი სახლის მქონე (ან თვითნებურად აშენებულ სახლებში მცხოვრები) მოქალაქენი და ამ სახლებში მცხოვრები სხვა მოქალაქენი უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრებელი სადგომებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საერთო საფუძველზე.

6. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მუშა-მოსამსახურეები აყვანილი იქნებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე საერთო საფუძველზე.

სამხედრო მოსამსახურეთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი სადგომებით ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

## II. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა

7. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა ხორციელდება, როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომში.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით მოქალაქენი შეიძლება აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე არა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც.

8. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებიც მუშაობენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი და ეწევიან საბინაო მშენებლობას ან იღებენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში, ხორციელდება სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო მათი სურვილისამებრ — აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. მოქალაქენი, რომელთაც მიატოვეს სამუშაო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით და ესპირობათ საბინაო პირობების გაუმჯობესება, აყვანილ იქნებიან აღრიცხვაზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი და ეწევიან საბინაო მშენებლობას ან იღებენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში, სადაც ისინი მუშაობდნენ, ამ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად, ხოლო მათი სურვილისამებრ — აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოქალაქეებს, რომლებიც აღარ მუშაობენ პენსიაზე გასვლის გამო, აღრიცხვაზე აყვანის



უფლება უნარჩუნდებათ იმ შემთხვევაშიც, თუ პენსიაზე მყოფი მოქალაქე მოეწყობა სამუშაოდ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

10. სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოცემული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შრომითს კოლექტივის, მათი სურვილისამებრ აყვანილ იქნებიან აგრეთვე აღრიცხვაზე ამ კოლექტივის საბინაო პრობლეგასაუმჯობესებელ მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად.

11. საბინაო პრობლეგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და მათთვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის სავალდებულო პირობაა ქალაქ თბილისში მუდმივი ცხოვრება (მუდმივი ჩაწერით) სულ ცოტა ბოლო 7 წელს, ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისსა და რუსთავში, აგრეთვე საკურორტო ქალაქებში — სულ ცოტა ბოლო 5 წელს, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენ ქალაქებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — სულ ცოტა ბოლო 3 წელს.

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და პროფკავშირთა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ მათ მუშაკთა შორის აღარ არიან საბინაო პრობლების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე აყვანის უფლების მქონე პირები, შეუძლიათ აიყვანონ აღრიცხვაზე საბინაო პრობლების გასაუმჯობესებლად მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ცხოვრობენ მუდმივი ჩაწერით ქალაქ თბილისში 7 წელზე ნაკლებს, ქალაქებში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, აგრეთვე საკურორტო ქალაქებში — 5 წელზე ნაკლებს, საქართველოს სსრ დანარჩენ ქალაქებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — 3 წელზე ნაკლებს.

12. ამ წესების 24-ე პუნქტში აღნიშნულ საფუძველზე და ვადების ფარგლებში მოცემული დასახლებული პუნქტიდან დროებით წასული მოქალაქენი აყვანილ იქნებიან აღრიცხვაზე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომში საერთო საფუძველზე.

13. მოქალაქენი, რომელთაც ხელვაყნურად გაიუარესეს თავიანთი საბინაო პრობები საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ან გაცოფის, სხვა პირთა (მეუღლეების, შვილებისა და შრომისუუნარო მშობლების გარდა), ჩასახლების, იმავე დასახლებულ პუნქტში საკმარისი საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი სადგომიდან საერთო საცხოვრებელში ან ისეთ ბინაში გადასვლით, რომელშიც ცხოვრებისას ისინი შეიძლება ცნობილ იქნენ საბინაო პრობლეგასაუმჯობესებელ მოქალაქეებად, აგრეთვე იმავე დასახლებულ პუნქტში პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (მისი ნაწილის) გასხვისებით, რომელშიც ოჯახის ერთ წევრზე მოდის 5 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად შესვლის მსურველ პირთათვის — ოჯახის ერთ წევრზე 8 კვადრატულ მეტრზე მეტი, საბინაო პრობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე აყვანილ იქნებიან საბინაო პრობების გაუარესების დღიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი ფართობი არანაკლებ დაწესებული ნორმების ფარგლებში, ნებაყოფლობით გავიდნენ კოოპერატივიდან და მიიღეს პაის ღირებულება, შეიძლება აყვანილ იქნენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში საბინაო პრობლეგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მხოლოდ კოოპერატივიდან გასვლის დროიდან ხუთი წლის შემდეგ.

14. საბინაო პრობლეგასაუმჯობესებლად ჩაითვლებიან მოქალაქენი, თუ:

ა) ოჯახის ერთ წევრზე საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა არ აღემატება 5 კვადრატულ მეტრს, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესასვლელად — არ აღემატება 8 კვადრატულ მეტრს;

ბ) დიდხანს ცხოვრობენ (ქალაქ თბილისში — 10 წელზე მეტი, ხოლო დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში — 5 წელზე მეტი), მიუხედავად დაკავებული ფართობის ოდენობისა, ქვეყნის რაიონის პირობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ან ქირავნობის ხელშეკრულებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში, ანდა ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლებში და არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი სადგომი;

გ) ცხოვრობენ საცხოვრებელ სადგომში (სახლში), რომელიც არ შეესაბამება დაწესებულ სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 სექტემბრის № 628 დადგენილება);

დ) ცხოვრობენ ბინებში, რომლებიც უკავია რამდენიმე ოჯახს, თუ მათს შემადგენლო-

ბაში არიან ზოგიერთი ქრონიკული სნეულების მძიმე ფორმებით დაავადებულნი და მათთან ერთად ცხოვრება (ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დასკვნით) ერთ ბინაში შეუძლებელია, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნულ პირებს არა აქვთ იზოლირებული ოთახი;

ე) ცხოვრობენ ერთ ოთახში ან მოძიხანვე არაიზოლირებულ ოთახებში ორ-ორი მეტი ოჯახი, მიუხედავად ნათესაური ურთიერთობისა;

ვ) ცხოვრობენ საერთო საცხოვრებელში, სეზონური და დროებითი მუშაკების, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიხედვით მომუშავე პირების, აგრეთვე სწავლასთან დაკავშირებით ჩასახლებული მოქალაქეების გარდა;

ზ) ცხოვრობენ სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომებში;

თ) ცალკე ოთახის არმქონე ახალდაქორწინებულნი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ 30 წლამდე ასაკში.

15. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი. ეწევიან საბინაო მშენებლობას ან იღებენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში, შეუძლიათ აიკვანონ აღრიცხვაზე და მისცენ საცხოვრებელი სადგომები მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც უკავიათ ოჯახის ერთ წევრზე 9 კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, ან როცა ერთ ბინაში ცხოვრობს ორი და მეტი ოჯახი, მაგრამ იმ პირობით, თუ არა ჰყავთ მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც უარესი საბინაო პირობები აქვთ.

16. დიდი სამამულო ომის ინვალიდები, დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა (პარტიზანთა) ოჯახები და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებული პირები ჩაითვლებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებლად, თუ ისინი ცხოვრობენ კეთილმოწყობილ ბინებში, რომლებიც არ შეესაბამებიან სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს მოცემული დასახლებული პუნქტის პირობებთან შეფარდებით, მიუხედავად დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ოდენობისა.)

17. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაც შემდგომ უნდა დაამტკიცოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა.

18. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა ხდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — ადმინისტრაციის, კოლმეურნეობის გამგეობისა და იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომლებთანაც იქმნება კოოპერატივი.


თუ ოჯახის წევრები სხვადასხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობენ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველთა აღრიცხვაზე აყვანის ადგილი აირჩევა ოჯახის წევრთა ურთიერთშეთანხმებით.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის მისაღებად საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე შეიძლება ამავე დროს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველთა აღრიცხვაზე იმყოფებოდეს.

19. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებანი, მათი არარსებობისას — სპეციალურად დანიშნული თანამდებობის პირნი, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით დანიშნული თანამდებობის პირნი.

20. სამუშაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანა ხდება შტაბილი განცხადების საფუძველზე.

მოქალაქეებს განცხადებანი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მათი აყვანის შესახებ შეაქვთ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის სახელზე სამუშაო ადგილის მიხედვით.



განცხადებაში აღინიშნება გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი, მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის ადგილი და სტაჟი, თანამდებობა, ოჯახის შემადგენლობა, საბინაო პირობების დახასიათება.

განცხადებას თან დაერთვის: საბინაო დავითის ამონაწერი, დამქირავებლის პირადი ბარათის ასლი, გაცემული შესაბამისი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის, საბინაო-სამშენებლო კომპარტივის გამგეობის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, რაიონული, სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასკომის სახლის (ქუჩის) კომიტეტის მიერ (ტექნიკური ინგენტარიზაციის ბიუროს ცნობა იმის შესახებ, რომ მოქალაქეს და მისი ოჯახის წევრებს აქვთ ან არა აქვთ მოცემულ დასახლებულ პუნქტში პირადი საკუთრების უფლებით სახლი (სახლის ნაწილი) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

მოქალაქეებმა, რომელთაც საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში და რიგგარეშე მიღების უფლება აქვთ, დამატებით უნდა წარადგინონ ამ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანის საკითხის გადაწყვეტილათვის საჭირო სხვა დოკუმენტებს შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან გამოითხოვენ ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ აღრიცხვაზე აყვანას.

შეტანილ განცხადება რეგისტრირდება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანის შესახებ მოქალაქეთა განცხადებების სარეგისტრაციო წიგნებში.

21. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განცხადების შემტან მოქალაქეთა საბინაო პირობები საეულდაგულოდ უნდა შეამოწმოს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის საბინაო საკითხთა საზოგადოებრივმა კომისიამ, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ და პროფკავშირული კომიტეტის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიამ, რის შესახებაც შედგება დაწესებული ფორმის აქტი.

22. მოქალაქეთა განცხადებანი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მათი აყვანის შესახებ საბინაო პირობების შემოწმების აქტებთან და სხვა საჭირო მასალებთან ერთად განიხილება ერთი თვის ვადაში;

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის სსდომაზე;

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში — ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის გაერთიანებულ სსდომაზე.

გადაწყვეტილება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანის ან უარის შესახებ მოქალაქეს ეცნობება წერილობით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის უარი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის უარი — სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში ან პროფკავშირთა შესაბამის ორგანოში.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა სიები გამოიკვრება საყოველთაო გაცნობისათვის და პერიოდულად უნდა დაზუსტდეს.

23. მოქალაქენი, რომელთაც საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში ან რიგგარეშე მიღების უფლება აქვთ (ამ წესების 34-ე, 35-ე, 36-ე და 37-ე პუნქტები), შეტანილ იქნებიან აგრეთვე ცალკე სიებში. ამ სიებში მოქალაქეთა შეტანა აღინიშნება გადაწყვეტილებაში აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. მოქალაქეთა შეტანა ცალკე სიაში იმ შემთხვევებშიც ხდება, როცა საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში მიღების უფლება აქვთ მათი ოჯახის წევრებს.

მოქალაქენი, რომელთა უფლება საცხოვრებელი სადგომის პირველ რიგში ან რიგგარეშე მიღებაზე წარმოიქმნა აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდში, შეტანილ იქნებიან ცალკე სიებში მათი განცხადების შესაბამისად ამ წესების 22-ე პუნქტში აღნიშნული ორგანოების სპეციალური გადაწყვეტილებით. ხსენებულ სიებში შეტანილად მოქალაქეები ითვლებიან იმ მომენტებიდან, როცა წარმოიქმნა ამ სიებში მათი ყოფნის უფლება.

თუ მოქალაქეებმა დაკარგეს ცალკე სიებში ყოფნის საფუძველი, ისინი უნდა ამოირიცხონ ამ სიებიდან აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილებით, მაგრამ ინარჩუნებენ საერთო საფუძველზე საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე ყოფნის უფლებას.

ცალკე სიებში მოქალაქეთა შეტანისა და ამ სიებიდან მორიცხვის საკითხს წინასწარ განიხილავს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებული საბინაო საკითხთა საზოგადო-

ებრივი კომისია ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული ორგანოს საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისია.

აღრიცხვაზე აყვანილი პირები შეიტანებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის წიგნში, რომელიც უნდა იყოს დანომრილი, სახალხო დებუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, ხოლო საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში — ადმინისტრაციის ხელმძღვანელებისა და პროფკავშირული ორგანოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში საცხოვრებელი სადგომების მიღების აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა სიების ასლები გადაეცემა სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად. სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს უფლება აქვს დააბრუნოს აღნიშნული სიები საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის მიერ განმეორებით განსახილველად, თუ მასში შეტანილი არიან მოქალაქენი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიკემის წესების დარღვევით.

სიის გამო მხარეთა უთანხმოების შემთხვევაში საკითხი წყდება ამ წესების 45-ე პუნქტით დადგენილი წესით.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის წიგნი ინახება როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტი. დოკუმენტებით დაუდასტურებელი ჩანაწერები და გასწორებანი მასში არ დაიშვება.

აღნიშნულ წიგნში შეტანილი მოქალაქეთა თითოეული განცხადების მიხედვით დგება ცალკე საქმე, რომელშიც ინახება საჭირო დოკუმენტები, რომლებიც აღრიცხვაზე აყვანის საფუძველს წარმოადგენენ.

24. საცხოვრებელი სადგომის მიღების აღრიცხვაზე ყოფნის უფლება უნარჩუნდებთ მოქალაქეებს:

- ა) ნამდვილ ვადიან სამსახურში გაწვევისას — ვადიანი სამხედრო სამსახურის გავლის მთელი დროის განმავლობაში, აგრეთვე ნამდვილ სამხედრო სამსახურში თადარიგიდან ოფიცერთა გაწვევისას სამ წლამდე ვადით — ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდისათვის; ნამდვილ სამხედრო სამსახურში პრაპორშჩიკად, მიჩმანად და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურედ ყოფნისას — ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის პირველი ხუთი წლის განმავლობაში.
  - ბ) სამუშაოს პირობებისა და ხსიათის გამო (გემების ეკიპაჟები, სიძიებო პარტიების, ექსპედიციების მუშაკები და ა. შ.) ან სწავლასთან დაკავშირებით (სტუდენტები, ასპირანტები და ა. შ.) მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასვლისას — მოცემული სამუშაოს შესრულების ან სწავლის მთელი დროის განმავლობაში;
  - გ) მეურვის ან მზრუნველის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით წასვლისას — ამ მოვალეობათა შესრულების მთელი დროის განმავლობაში;
  - დ) სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში სამკურნალოდ წასვლისას — აღნიშნულ დაწესებულებაში ყოფნის დროის განმავლობაში;
  - ე) სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მოთავსებისას — აღნიშნულ პროფილაქტორიუმში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში.
  - ვ) დაპატიმრებისას — გამოძიებაში ან სამართალში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში;
  - ზ) საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნისას — დაჯავშნის მთელი დროისათვის.
- ამ პუნქტის „ა“ — „ზ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში მოქალაქეებს აღრიცხვაზე ყოფნის უფლება უნარჩუნდებთ დროებით არყოფნის ვადის დამთავრების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში,
- თ) აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის ან საერთო საცხოვრებელის მიკემისას;
  - ი) არჩევით თანამდებობაზე გადასვლისას;
  - კ) მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გასვლისას;
  - ლ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მოცემული დასაზღვრული პუნქტიდან დროებით წასვლის სხვა შემთხვევებში აღრიცხ-

ვაზე ყოფნის უფლება მოქალაქეებს უნარჩუნდებათ წასვლის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

25. აღრიცხვაზე აყვანილი მოქალაქის გარდაცვალების ან სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის შემთხვევაში მის ნაცვლად აღრიცხვაზე აყვანება მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი, თუ არ გაუქმებულა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ პირებად მათი ცნობის საფუძველი; ამასთან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე სამუშაო ადგილის მიხედვით ოჯახის წევრი აყვანილ იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი მუშაობს მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ხოლო თუ აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე გარდაცვალა წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების შედეგად, ოჯახის წევრი აღრიცხვაზე აყვანება იმის მიუხედავად, მუშაობს თუ არა იგი მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

26. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოქალაქეზე მოიხსნებიან იმ შემთხვევებში, როცა:

ა) გაუუმჯობესეს საბინაო პირობები, თუ საცხოვრებელი ფართობი ოჯახის ყოველ წევრზე შეადგენს საცხოვრებელი სადგომის მიცემისათვის დაწესებულზე მეტს (ამ წესების 52-ე პუნქტი).

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოხსნას არ ექვემდებარებიან მოქალაქენი, რომელთაც აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდში მიეცათ სამსახურებრივი სადგომი ანდა საცხოვრებელი სადგომის მიღების ვადის დადგომამდე მათ ღრობით გაუუმჯობესდათ საბინაო პირობები;

ბ) გადავიდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე სხვა დასახლებულ პუნქტში;

გ) მოქალაქემ წარმოადგინა სინამდვილის შეუსაბამო მონაცემები, რომ მას ესაჭიროება საბინაო პირობების გაუმჯობესება, რაც აღრიცხვაზე აყვანის საფუძველი გახდა, ანდა თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს არამართლობიერი მოქმედება აღრიცხვაზე აყვანის საკითხის გადაწყვეტისას;

დ) შეწყვეტილია სამუშაო ადგილას აღრიცხვაზე მყოფი პირის შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, არჩევითს თანამდებობაზე ვადსვლის ან ნოზუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გასვლის შემთხვევების გარდა;

ე) შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებად ან მიიღეს მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის;

ვ) მსჯავრდადებული არიან თავისუფლების აღკვეთით ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით, გასახლებით ან გადასახლებით; ამასთან მსჯავრდადებულის ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელ ადგილას აღრიცხვაზე ყოფნის უფლება სახალხო დემუტატთა საბჭოს აღმასკომში, თუ არ გაუქმებულა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ პირებად მათი ცნობის საფუძველი.

თუ მოქალაქე უარს ამბობს დაწესებული მოთხოვნებისათვის შეუფერებელი საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე, ეს არ არის საფუძველი აღრიცხვიდან მისი მოხსნის ან რიგის გაღატანისათვის.

საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მყოფი პირის მიერ სხვა რაიონში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიღებისას მისი სააღრაცხოვო საქმე უნდა გადაეცეს სახალხო დემუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რიგის (აღრიცხვაზე აყვანის წლის) შენარჩუნებით.

საწარმოსთან, ორგანიზაციასთან, დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო სამუშაო ადგილზე საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოხსნილი მოქალაქენი აყვანილი იქნებიან აღრიცხვაზე ახალ სამუშაო ადგილას ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იმ დროიდან, რაც ისინი იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე წინა სამუშაო ადგილას იმ შემთხვევებში, როცა:

გადაყვანილი არიან სამუშაოდ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მოცემული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიმართ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით;

დათხოვნილი იქნენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაკთა ჩაოდენობის ან შტატის შემცირების გამო;

დათხოვნილი იქნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც აბრკოლებს მუშაობის გაგრძელებას;

დათხოვნილი იქნენ იმის გამო, რომ სამუშაოზე ადადგინეს მუშა ან მოსამსახურე, რომელიც წინათ ასრულებდა ამ სამუშაოს.

წინანდელ სამუშაო ადგილას აღრიცხვაზე ყოფნის დრო გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციის (გაერთიანების, გაყოფის, შეერთების, გამოყოფის) შემთხვევებში.

სხვა საფუძველზე საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოხსნილი მოქალაქენი ახალ სამუშაო ადგილას ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანილ იქნებიან საერთო წესით.

აღრიცხვიდან მოხსნას ახდენს ორგანო, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება აღრიცხვაზე აყვანის შესახებ (ამ წესების მე-17 პუნქტი). მიღებული გადაწყვეტილება მოქალაქეს ეცნობება წერილობით, აღრიცხვიდან მოხსნის საფუძვლის ჩვენებით.

27. საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობისადმი კონტროლს ახორციელებენ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და პროფესიულ კავშირთა შესაბამისი ორგანოები.

**III. მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა**

28. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ უკუადო სარგებლობაში რიგითობის წესით, იმის კვლობაზე, თუ რაოდენ ხანს იმყოფებიან აღრიცხვაზე:

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა მიმართ — სახალხო დემუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ;

სამუშაო ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა მიმართ — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციის მიერ პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

29. ორ წელიწადში ერთხელ, 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პერიოდში, ზუსტდება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა და განისაზღვრება გასული წლის 31 დეკემბრამდე აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა, რიგითობის მოქმედი სიების გაგრძელებაში მათი შემდგომი შეტანით.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არა უფვიანეს 1 მარტისა წარუდგენენ სახალხო დემუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობის დაზუსტებულ სიებს.

სიების გამო შენიშვნების არსებობისას აღმასკომები ატყობინებენ ამის შესახებ შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ ისინი. სიების გამო მხარეთა უთანხმოების შემთხვევაში საკითხი წყდება ამ წესების 45-ე პუნქტით დადგენილი წესით.

30. დადგენილი წესით მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა განისაზღვრება განცხადების შეტანის დღიდან.

31. საცხოვრებელი სადგომის მიცემის რიგი შეიძლება გადაეტანოს ერთი წლით მოქალაქეს:

ა) რომლის მიმართ წინა წლის ვანმავლობაში გამოყენებულ იქნა დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, ანდა აღმინისტრაციული სასჯელის ზომები შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, განსაკუთრებთ ვაცდენისა და არაფხიზელ მდგომარეობაში სამუშაოზე გამოცხადებისათვის, ლოთობისათვის, ხულიგნობისათვის ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის;

ბ) რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას;

გ) რომელმაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ხელოვნურად გაიუარესა საბინაო პირობები;

დ) რომელიც მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისათვის, თუ ამასთან იგი ამ წესების 26-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ არის მოსახსნელი საბინაო პირობებგასაუნჯობებზელთა აღრიცხვიდან;

ე) რომელმაც უსაფუძვლოდ განაცხადა უარი ამ წესების 52-ე და 53-ე პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მიცემული საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე;

ვ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

32. გადაწყვეტილებებს ამ წესების 31-ე პუნქტში აღნიშნულ საფუძველზე მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემის რიგის გადატანის შესახებ შიილებს სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად, ხოლო მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომში.

33. გადაწყვეტილებანი საცხოვრებელი სადგომის მიცემის რიგის გადატანის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 3 თვის ვალისა ადმინისტრაციული, დისციპლინური სასჯელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების, ანდა გამამტყუნებელი განაჩენის ან სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ.

მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომის მიღების რიგის გადატანის შესახებ გადაწყვეტილებებში უნდა აღნიშნოს მოტივები, რომლებიც რიგის გადატანის საფუძველი გახდა, ვაღა, რომლითაც გადატანილია რიგი, აგრეთვე საბინაო პრობებგასაუნჯობებზელთა სიაში მოქალაქის რიგის ახალი ნომერი.

34. პირველ რიგში საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ:

ა) დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა (პარტიზანთა) ოჯახებს და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირებს;

ბ) საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, აგრეთვე სამივე ხარისხის დიდების, შრომითი დიდების, „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ ორდენებით დაჯილდოებულ პირებს;

გ) პირებს, რომლებსაც აქვთ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1983 წლის 28 მარტის № 330 ბრძანებით დამტკიცებულ დაავადებათა სიაში ჩამოთვლილი ზოგერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა.

დ) სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში და სსრ კავშირის დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობაში მყოფ პირებს, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანებს, აგრეთვე სსრ კავშირის დაცვის საბრძოლო ოპერაციების მონაწილე სხვა პირებს;

ე) I და II ჯგუფის შრომის ინვალიდებს და I და II ჯგუფის ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთაგან;

ვ) სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების, ადამიანის სიცოცხლის ვადარჩენისათვის, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის მოხდის დროს ან წარმოებაში უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულ პირთა ოჯახებს;

ზ) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც კეთილსინდისიერად და განუწყვეტილ იმუშავეს წარმოების სფეროში არანაკლებ 15 წელიწადს ერთ საწარმოში (გაერთიანებაში, ორგანიზაციაში). საცხოვრებელი სადგომები აღნიშნულ პირებს მიეცემათ სამუშაო ადგილის მიხედვით;

თ) დედებს, რომელთაც მიენიჭათ „გმირი დედას“ წოდება; მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილი;

ი) მარტოხელა დედებს, მარტოხელა დედად ითვლება ქალი, რომელიც არ იმყოფება ქორწინებაში, თუ დაბადების მოწმობაში შეტანილი არაა ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ ან დედის მითითებით დადგენილი წესით შეტანილია ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, და რომელიც იღებს სახელმწიფო დახმარებას ბავშვის მოვლა-პატრონობისა და აღზრდისათვის.

მარტოხელა დედები საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე აიყვანებიან პირველ რიგში, სანამ მათი შვილები სრულწლოვანი გახდებიან;

კ) ოჯახებს ტყულების გაჩენისას;

ლ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს;

მ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა კატეგორიათა მოქალაქეებს.

დიდ სამამულო ომში დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების წევრებს და დაღვნილი წესით მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: დაღუპულის ან უგზოუკვლოდ დაკარგულის კმაყოფაზე მყოფნი, რომელთაც აწასთან დაკავშირებით ეძლევათ პენსია; მშობლები, მეუღლე, რომელიც ხელმეორედ არ დაქორწინებულა, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა პენსიას; შვილები, რომელთაც არა აქვთ თავიანთი ოჯახები ან თუმცა აქვთ თავიანთი ოჯახები, მაგრამ დაინვალიდნენ, მანამ სრულწლოვანი გახდებოდნენ, აგრეთვე თავიანთ ოჯახების მქონე შვილები, რომელთა ორივე მშობელი დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ოჯახის წევრთა განსაზღვრის ეს წესი გამოიყენება ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც, იმ პირობით, თუ ისინი ცხოვრობდნენ დაღუპულთან ერთად მისი გარდაცვალების დღისათვის.

35. საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე ეძლევათ მოქალაქეებს:

- ა) რომლთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების გამო;
- ბ) სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავებთან, მეურვესთან ან მზრუნველთან ყოფნის დამთავრების შემდეგ, სადაც ისინი იმყოფებოდნენ აღსაზრდელად, თუ შესახლება წინათ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში შეუძლებელია;
- გ) რომლებსაც უკანონოდ დაედოთ მსჯავრი და შემდგომ რეაბილიტირებულ იქნენ, თუ მათთვის წინათ დაკავებულ საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება შეუძლებელია;
- დ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში საცხოვრებელი სადგომის რიგგარეშე მიცემის მოთხოვნის უფლება მიეცემათ მისი წარმოქმნის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

საცხოვრებელ სადგომებს რიგგარეშე მისცემენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია (საცხოვრებელი სადგომის კუთვნილების მიხედვით) მოქალაქის მიმართვის დღიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

36. პირებს, რომლებმაც დაამთავრეს ასპირანტურა, კლინიკური ორდინატურა, უმაღლესი, საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სასწავლებლები და განაწილების წესით იგზავნებიან სამუშაოდ სხვა ადგილზე, და მათი ოჯახების წევრებს საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა უნდა მისცენ ჩასვლის შემდეგ საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე.

განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სასამართლოს, პროკურატურისა და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა დაწესებულებებში, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სასწავლო და სპორტულ ორგანიზაციებში, აგრეთვე რაიონულ ცენტრებსა და სოფლად მდებარე კავშირგაბმულობის საწარმოებში სამუშაოდ გაგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტებს საუწყებო საცხოვრებელი ფართობის უქონლობის შემთხვევაში საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შუამდგომლობით.

37. საბინაო პირობებგასაუმჯობესებლად ახალდაქორწინებულებს (ამ წესების მე-14 პუნქტი), რომლებიც პირველად ქორწინდებიან 30 წლამდე ასაკში, უფლება აქვთ რიგგარეშე შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის წევრად ან მიეცემათ, როგორც შინიძეში, ოთახი, ხოლო ახალგაზრდა ოჯახებს ქორწინების შემდეგ პირველი სამი წლის განმავლობაში შვილის გაჩენისას — ერთოთახიანი ბინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში.



38. სხვა ადგილზე სამუშაოდ გადაყვანილ მუშაებსა და მათი ოჯახების წევრებს საცხოვრებელი სადგომი მიეცემათ შრომითი ხელშეკრულებით გთვალისწინებული პირობებით.

39. მოქალაქენი, რომელთაც წინათ მიიღეს საცხოვრებელი სადგომები პირველ რიგში (ამ წესების 34-ე პუნქტი) და რიგგარეშე (ამ წესების 35-ე, 36-ე, 37-ე პუნქტები), აყვანილ იქნებიან საბინაო პირობებგასუმჯობესებლათ აღრიცხვაზე საერთო საფუძველზე და დაკმაყოფილებიან საცხოვრებელი სადგომებით საერთო რიგის მიხედვით.

#### IV. საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი

40. საცხოვრებელ სადგომებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეებს მისცემს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომი საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიის მონაწილეობით.

საცხოვრებელი სადგომების მიცემის წინ აღნიშნული კომისია კვლავ შეამოწმებს რეგიონების სიაში შეტანილი თითოეული იმ მოქალაქის საბინაო პირობებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია საცხოვრებელი სადგომის მიცემა, და წარუდგენს თავის წინადადებებს აღმასკომს.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომები ნაწილდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით დადგენილი წესით.

41. საცხოვრებელი სადგომები საუწყებო საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეებს მიეცემათ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომი.

საცხოვრებელი სადგომების მიცემის საკითხებზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირულ კომიტეტს შორის წამოჭრილ უთანხმოებას, აგრეთვე ამ წესების დარღვევით მიღებულ გადაწყვეტილებებს განიხილავენ ზემდგომი ორგანიზაცია, რომელსაც ექვემდებარება მოცემული საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, და ზემდგომი პროფკავშირული ორგანო.

42. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები (აღმასკომის საბინაო ფონდის განაწილებისას), საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები (საუწყებო საბინაო ფონდის განაწილებისას) პროფკავშირთა შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან (საჭირო შემთხვევებში — პროფკავშირთა საბჭოსთან) შეთანხმებით განსაზღვრავენ საბინაო პირობებ-გასაუმჯობესებლათ აღრიცხვის შედეგათიან სიებში (წიგნებში) შეტანილ იმ მოქალაქეთათვის მიზნობრივი დანიშნულებით მისაცემი საცხოვრებელი ფართობის ოდენობას (ბინების რაოდენობას), რომელთაც უფლება აქვთ პირველ რიგში და რიგგარეშე მიიღონ საცხოვრებელი სადგომები, მაგრამ მთელი გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართობის არა უმეტეს 50 პროცენტისა.

43. საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინ მოქალაქეებმა კვლავ უნდა წარუდგინონ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ამ წესების მე-20 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები, აგრეთვე ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი ვალდებულებანი იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სადგომების მიცემის შემდეგ გაათავისუფლებენ წინათ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ან პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში.

44. იმ მოქალაქეთა სიებში, რომელთაც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია მიეცეთ საცხოვრებელი სადგომები, მათ შესახებამდე ორი თვით ადრე წარუდგინება განსახილველად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადგილსამყოფელის მიხედვით და გამოიკვრება კოლექტივის გასაცნობად.

აღნიშნულ სიებთან ერთად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს წარუდგენენ ამ წესების 43-ე პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტებსა და წერილობით ვალდებულებებს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეებს საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ მხოლოდ ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც მუდმივად იყვნენ ჩაწერილი საცხოვრებელ ადგილზე აღრიცხვაზე აყვანის მომენტში. გამონაკლისს შეადგენენ აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ დაბადებული შვილები და მეუღლე (ქმარი, ცოლი), რომელიც ჩაწერილია მეუღლის საცხოვრებელ ადგილზე აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ ან აქვს ჩაწერის უფლება იმ პირობით, რომ ქმარს (ცოლს) ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ არ მიუღია საცხოვრებელი სადგომი წინანდელი ჩაწერის ადგილზე.

45. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ან მისი საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისია ამოწმებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ წარდგენილ სიებში შეტანილ იმ მოქალაქეთა საბინაო პირობებს, რომელთაც გათვალისწინებულია მიეცეთ საცხოვრებელი სადგომები. ამის შემდეგ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომი აღნიშნული სიების მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ.

თუ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს აქვს შენიშვნები აღნიშნული სიების გამო, იგი ამის შესახებ შეტყობინებს შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ ეს შენიშვნები ორი კვირის ვადაში. თუ თანხმობას ვერ მიაღწევენ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი პროფკავშირთა შესაბამის ზემდგომ კომიტეტთან შეთანხმებით.

იმ შემთხვევებში, როცა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ზემდგომ პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად ამორიცხავს ცალკეულ პირებს, სიიდან, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად წარადგენს ახალ კანდიდატურებს.

46. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოქალაქეთა სიების მიხედვით საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აღმასკომს უფლება არა აქვს შეიტანოს სიებში სხვა მოქალაქენი ან ჩამოართვას საცხოვრებელი სადგომები საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს.

47. გაერთიანების (კომბინატის), საწარმოს, ორგანიზაციის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების, აგრეთვე საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილი სხვა სახსრების ხარჯზე აშენებულ საცხოვრებელი სადგომები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილ სახლებში, რომლებზეც ვრცელდება სოციალური სახელმწიფო საწარმოს დებულება ან საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულება, და საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში მოქალაქეებს მიეცემათ საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით შესასახლებლად საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით.

48. საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომები მოქალაქეებს მიეცემათ შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მართვის ორგანოებისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით შესასახლებლად საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით.

49. 47-ე და 48-ე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბინების განაწილებისას მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის დროს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს უფლება აქვს შეაჩეროს ბინების მიცემა და წინადადება მისცეს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციის აღმთავრას აღნიშნული ნაკლოვანებანი. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაეთანხმებიან აღმასკომის წინადადებას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ად-



მასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას პროფკავშირის შესაბამის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით.

50. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის, საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობის განსაზღვრის და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი, რაც დადგენილია ამ წესებით, ვრცელდება საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების, აგრეთვე ამ წესების 47-ე პუნქტში აღნიშნული სახელმწიფო საწარმოების, გაერო-ოიანების, ორგანიზაციების მიერ აშენებულ საცხოვრებელ სადგომებზე.

51. საცხოვრებელ სადგომებში, რომლებიც თავისუფლდება სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისათვის გადაცემულ სახლებში, აგრეთვე იმ სახლების განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებში, რომლებიც აშენებულია წილობრივი მონაწილეობის წესით საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახსრების გამოყენებით, პირველ რიგში შეასახლებენ ამ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მუშაკებს. შესახლების აღნიშნული წესი გამოიყენება საცხოვრებელი სახლის გადაცემის ან მშენებლობის დამთავრების დროის მიუხედავად.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მუშაკთა არარსებობისას განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომს შეასახლებს აღმასკომი.

52. საცხოვრებელი სადგომი მიეცემათ ერთ კაცზე 9-დან 12 კვადრატულ მეტრამდე ფარგლებში, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს, როგორც წესი, 12 კვადრატული მეტრი და არა უმეტეს ერთი ოთახისა ოჯახის ერთ წევრზე.

ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქეებს მიეცემათ ნორმის ზევით დამატებითი საცხოვრებელი ფართობი ოთახის სახით ან 10 კვადრატული მეტრის ოდენობით.

მოქალაქეებს, რომლებსაც ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა აქვთ, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებსაც ეს ფართობი ესაჭიროებათ შესასრულებელი სამუშაოს პირობებისა და ხასიათის გამო, დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა შეიძლება გაუდიდდეთ.

დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესსა და პირობებს და მისი მიღების უფლების მქონე მოქალაქეთა კატეგორიების ნუსხას ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

53. საცხოვრებელი სადგომი, რომელიც მოქალაქეს ბინადრობისათვის ეძლევა, უნდა იყოს კეთილმოწყობილი მოცემული დასახლებული პუნქტის პირობების კვალობაზე, შეესაბამებოდეს დადგენილ სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

მისაცემი საცხოვრებელი სადგომი უნდა იყოს მოცემული დასახლებული პუნქტის ფარგლებში.

არ დაიშვება ავარიულ სახლებში, სარდაფებში, ბარაკებსა და საცხოვრებლად შეუფერებელ სხვა ნაგებობებში, აგრეთვე ასაღებ ანდა არასაცხოვრებლად გადასაყვან სახლებში განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებში შესახლება.

54. საცხოვრებელი სადგომების მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წლის ასაკს გადაცილებული სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, მეუღლეთა გარდა.

საცხოვრებელი სადგომის მიცემისას მხედველობაში მიიღება მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა ყურადსაღები გარემოებანი.

ინვალიდებს, ღრმად მოხუცებულებს, გულ-სისხლძარღვთა და სხვა მძიმე დაავადებებით სწეულ პირებს საცხოვრებელი სადგომები მიეცემათ მათი სურვილის გათვალისწინებით ქვედა სართულებზე ან ლიფტიან სახლებში.

დიდი სამამულო ომის ინვალიდებს, აგრეთვე I ჯგუფის ინვალიდებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში უფლება ეძლევათ ამოირჩიონ სართული.

მისაცემი საცხოვრებელი სადგომის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, თუ არის ოჯახში არანაკლებ 20 კვირის ორსული ქალი.

55. თუ ბინაში, სადაც დამჭირავებელი ცხოვრობს, გათავისუფლდა ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისაგან და მისი მოპოვანაა, ეს ოთახი სარკებლობაში უნდა გადაეცეს დამჭირავებელს.

თუ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი თავისუფლდება ბინაში, სადაც რამდენიმე დამქირავებელი ცხოვრობს, იგი მიეცემა ამ ბინაში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც იყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე ან რომლებსაც აქვთ აღრიცხვაზე აყვანის უფლება, ხოლო თუ ასეთები არ არიან — იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ 12 კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი (ამასთან მხედველობაში მიიღება დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება). თუ ბინაში არ არიან ამ პუნქტის მეორე აზვანში მითითებული მოქალაქენი, გათავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომში შესახლება მოხდება საერთო წესით.

დამქირავებლის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისა და იმ განთავისუფლებული საცხოვრებელი სადგომის ფართობი, რომელზეც პრეტენზია აქვს დამქირავებელს, საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 12 კვადრატულ მეტრს ოჯახის ერთ წევრზე, ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება და 6 კვადრატული მეტრი მთელ ოჯახზე.

შესახლების აღნიშნული წესი ვრცელდება ქველი განაშენიანების სახლებში ერთ სართულზე განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებზეც.

56. ერთი საცხოვრებელი სადგომიდან მეორეში მთელი ოჯახით გადასახლებისა და დამქირავებელი მოვალეა გაათავისუფლოს და ჩააბაროს აქტივ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას წინათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი და მისი მოწყობილობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

57. საცხოვრებელ სადგომებში შესახლება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 20 დღისა ახალაშენებული სახლის შესახლების დაწყების დღიდან და არა უგვიანეს 30 დღისა წინანდელი დამქირავებლის მიერ ბინის განთავისუფლების დღიდან.

#### V. ორდერების გაფორმებისა და გაცემის წესი

58. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომი მოქალაქეს აძლევს დაწესებული ფორმის ორდერს, რომელიც მიცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთი საფუძველია.

ორდერი შეიძლება გაიცეს მხოლოდ ფაქტიურად თავისუფალ იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომზე.

ორდერის ბლანკები ინახება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში როგორც მკაცრი ანგარიშების დოკუმენტები.

საცხოვრებელი ფართობი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში მიეცემათ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი დაწესებული შესასვლელი და საპაიო შესატანების გადასახდელად.

ბინებში შესახლება ხდება ორდერების თანახმად, რომელთაც გაცემის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომი კოოპერატიული საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით საერთო კრების მიერ დამტკიცებული კოოპერატივის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა სიის შესაბამისად.

59. ორდერში იწერება გვარი, სახელი, მამის სახელი მოქალაქისა, რომელსაც მიეცა საცხოვრებელი სადგომი, და მისი ოჯახის წევრებისა, აღინიშნება მათი ნათესაური ურთიერთობა და დაბადების წელი. ეს მონაცემები ორდერში იწერება მხოლოდ პასპორტების, დაბადების მოწმობების ან მათი შემცვლელი სხვა დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

ორდერი ეძლევა უშუალოდ იმ მოქალაქეს, რომელსაც მიეცა საცხოვრებელი სადგომი, ან სხვა პირს მინდობილობით.

60. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს შეუძლია შეაჩეროს ორდერის გაცემა საცხოვრებელ ფართობზე შემდეგ შემთხვევებში:

თუ მოქალაქე აბარებს წინათ მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომს ისე, რომ არ ასრულებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ან ამ წესების 43-ე პუნქტში აღნიშნულ ვალდებულებებს;

როცა ვლინდება გარემოებანი, რომელთაც შეეძლოა გავლენა მოახდინოს მოცემული მოქალაქისათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემის საკითხის გადაწყვეტაზე, მაგრამ ადრე არ იცოდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა ან საწარმომ, დაწესებულებაში, ორგანიზაციამ და პროფკავშირულმა კომიტეტმა.

61. საცხოვრებელ სადგომზე ორდერის მიღების შემდეგ მოქალაქე მოვალეა (2 კვირის ვადაში) გაათავისუფლოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საბინაო ფონდის სახლში. უარის შემთხვევაში ორდერში აღნიშნული მოქალაქენი სასამართლო წესით იქნებიან გადასახლებული მიცემულ საცხოვრებელ სადგომში. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი მოვალეა გავიდეს კოოპერატივიდან.


62. სამხედრო ქალაქებში ორდერები საცხოვრებელ სადგომებზე გაიცემა სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

63. დადგენილი წესით მიცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლებული მოქალაქე წარუდგენს ორდერს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას, ხოლო მისი არარსებობისას — საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დასაღებად.

64. ორდერი საცხოვრებელ სადგომზე შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით იმ შემთხვევებში, როცა მოქალაქეებმა წარმოადგინეს საბინაო პირობების გაუმჯობესების ისეთი ცნობები, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს, დარღვეულია მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა უფლებანი ორდერში აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომზე, არასამართლო-მიერია თანამდებობის პირთა მოქმედება საცხოვრებელი სადგომის მიცემის საკითხის გადაწყვეტილისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როცა დარღვეულია საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი და პირობები.

ორდერი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით მისი გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში.





# სიასლანი სასოვრკაბელი სადგომაჲის ვიცაჲის ნასაჲში

## დ. სუსნიტაჲშილი

ანხორციელებენ რა 'სსრ კავშირის კონსტიტუციის 44-ე მუხლით მინიჭებულ მოქალაქეთა ბინის უფლებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბინაო მშენებლობას. ამის დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმზე მოწონებული პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, სადაც ნათქვამია:

„ავაშენოთ 665-570 მილიონი კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გავზარდოთ ახალი ეკონომიკური ტიპობრივი პროექტებით უფრო სრულყოფილად დაგეგმარებული ბინებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, უზარუნველყოთ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების კომპლექსური ხასიათი“.

საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის, მისი კანონიერი განაწილებისა და ექსპლუატაციის სამართლებრივი რეგულირების საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მიერ 1985 წლის 2 სექტემბერს დამტკიცებულ წესებს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ.

საბინაო კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად უკანასკნელ წლებში შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო და მმართველობის ორგანოების მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული საბინაო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების გაერთიანება, რამაც უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები გახდა მათი უფლებები. ერთ-ერთი ასეთი აქტია დასახლებულ პუნქტები, რაც ჩვენს ურჩხულში ქვეყნდება.


გვინდა შეთხვევლს მივაწოდოთ ამ წესების ზოგადი თვისებურება და სიახლე.

1985 წლის 2 სექტემბერს დამტკიცებულ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესების პირველი სიახლე ის არის, რომ იგი სავალდებულოა სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომის, სამინისტროს, უწყების, ხაწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში.

როგორც წესების პირველ პუნქტშია ნათქვამი, იგი აღგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის ერთიან წესს. ეს ნიშნავს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შემსვლელთა აღრიცხვაზე აყვანისათვისაც გამოყენებული უნდა იყოს აღრიცხვაზე აყვანის ყველა ის პირობა, რაც ამ წესებითაა დადგენილი. ამით საფუძველი გამოეცალა დავას იმის შესახებ, საჭიროა თუ არა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შემსვლელთა აღრიცხვაზე აყვანისათვის თბილისში ცხოვრების 7 წლის სტაჲ.

ქ. თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების აღრინდელი დებულება არ ითვალისწინებდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შემსვლელთა აღრიცხვაზე აყვანას, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული არ იყო კოოპერატივში გაწევრიანებისათვის მოცემულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრების რამე ხანგრძლივობა. მოქალაქეები ამ ორ დოკუმენტს თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ, აღმასკომები კი მოითხოვდნენ საერთო პირობების ვაგრცელებას ანალოგიით. დღეს უკვე დავას აღარ იწვევს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შემსვლელთა აღრიცხვაზე აყვანისათვის საჭიროა ნოცემულ დასახლებულ პუნქტში მუდმივად ცხოვრების გარკვეული სტაჲ.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები, სახლს პირადი მესაკუთრენი და თვითნებურად აშენებულ სახლებში მცხოვრები მოქალაქენი და ამ სახლებში მცხოვრები სხვა მოქა-



ლაქენი, უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრებელი სადგომებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საერთო საფუძველზე, (წესდების მე-5 პუნქტი). ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიღების შემთხვევაში პირადი მესაკუთრე არ ჰქარავს იმ სახლს, რომელიც საკუთრების უფლებით აქვს და მისი სარგებლობის წესსაც თვითონ განსაზღვრავს. ასეთ დროს ზედმეტად რომ არ გაიცეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდი, საჭიროა მკაცრი კონტროლი დაწესდეს ოჯახების ხელოვნური გაერთიანების აღსაკვეთად. თვითნებურად აშენებულ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემის დროს კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეუშვათ ოჯახების ხელოვნურად გაყოფა, ან ამ სახლებში სხვა პირთა უსაფუძვლოდ დატოვება. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით ასეთი სახლის შემდგომი განკარგვის უფლება სახელმწიფოს უნდა გადაეცეს.

წესებით საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში, ხოლო მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი და ეწყვიან საბინაო მშენებლობას ან ამ მშენებლობაში იღებენ წილობრივ მონაწილეობას, აღრიცხვაზე აიყვანებიან სამუშაო ადგილის მიხედვით. ასეთივე უფლებით სარგებლობენ პირები, რომლებმაც მიატოვეს სამუშაო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

აღრიცხვაზე აყვანის სრულიად ახალი წესია შემოღებული მეათე პუნქტით. სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოცემული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შრომით კოლექტივს, მათი სურვილისამებრ აღრიცხვაზე აიყვანებიან აგრეთვე ამ კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და მათთვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის ერთ-ერთი სვალდებულო პირობაა ქ. თბილისში მუდმივი ცხოვრება ბოლო 7 წელს, სოხუშში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისსა და რუსთავში, აგრეთვე საკურორტო ქალაქებში — სულ ცოტა ბოლო 5 წელს, ხოლო საქართველოს სსრ სხვა დასახლებულ პუნქტებში — სულ ცოტა ბოლო 3 წელს. მოცემულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრების ხანგრძლივობა აუცილებლად უნდა იყოს დადასტურებული მუდმივი (უვადო) ჩაწერით. შეიძლება პირი ცხოვრობდეს და მუშაობდეს ქ. თბილისში, მაგრამ არ ჰქონდეს უვადო ჩაწერა ან საერთოდ ჩაწერილი იყოს სხვა დასახლებულ პუნქტში. ასეთ შემთხვევაში იგი აღრიცხვაზე აყვანას არ ექვემდებარება. ასეთი წესი პირველ რიგში განპირობებულია რესპუბლიკაში საბინაო ფონდის სწორი განაწილებისათვის და მეორეც, მოქალაქის აღრიცხვაზე აყვანა ხდება ჩაწერის ადგილის საცხოვრებელი პირობების მიხედვით. ამიტომ აღრიცხვაზე აყვანისათვის უნდა დადასტურდეს როგორც ჩაწერის, ისე ცხოვრების ფაქტი.

ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში მოქალაქის ცხოვრების ფაქტის დადგენის დროს ზოგჯერ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ შეიძლება თუ არა მისი სასამართლო წესით დაადგენა განსაკუთრებული წარმოების წესით. ჩვენის აზრით იგი არ შეიძლება, რადგან სასამართლო ადგენს მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ისეთ ფაქტს, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამოქალაქო სამართალურთიერთობას (მხედველობაში გვაქვს სამართლის დარღვები, რომელთა ურთიერთობის გამო წარმოშობილი დავები სასამართლოს ექვემდებარება განსახილველად).

მოქალაქის აღრიცხვაზე აყვანა კი ადმინისტრაციული აქტია და ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში მისი ცხოვრების ფაქტის დადგენა სასამართლოში განსაკუთრებული წარმოების წესით არ დაიშვება.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესების მე-14-ე პუნქტი ამომწურავად ჩამოთვლის იმთ, ვინც შეიძლება აყვანენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელნი. ჩვენ შევეხებით მხოლოდ აღნიშნული პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი გარკვეულ განმარტებას საჭიროებს. აღნიშნული ქვეპუნქტით „საბინაო პირობებგასაუმჯობესებლად ჩაითვლებიან მოქალაქეები, თუ დიდხანს ცხოვრობენ (ქ. თბილისში — 10 წელზე მეტი, ხოლო დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში — 5 წელზე მეტი), მიუხედავად დაკავებული ფართობის ოდენობისა, ქვეპირავნობის პირობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ან ქირავნობის ხელშეკრულებით

საბინაო სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში, ანდა ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლებში და არ გაანიათ სხვა საცხოვრებელი სადგომი“.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვის საცხოვრებელ სადგომში ცხოვრება და ჩაწერა თავისთავად არ იძლევა იმის უფლებას, რომ იგი ქვემოქირავნედ ვალდართ და ვცნოთ საბინაო პირობებასაუშუალოდ მუშაობის მოქალაქედ. საბინაო კოდექსის 87-ე მუხლით პირის ქვემოქირავნედ ცნობისათვის საჭიროა დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულება გატარდეს შესაბამის საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციაში. აქვე ისიც უნდა შემოწმდეს, ქვექირავნობის ხელშეკრულების დადების დროს ქვექირავნობის შემდეგ მოდოდა თუ არა თითოეულ მომინდარზე 12 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამ საკითხის გადაწყვეტილათვის საჭიროა ქვემოქირავნი გავიჯნოთ დროებითი მდგმურისაგან, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც სწორედ დროებითი მდგმურები ცდილობენ ქვემოქირავნედ ან ოჯახის წევრად გასაღონ თავი. მათ შორის კი არსებითი განსხვავებაა. ქვემოქირავნესა და დამქირავებელს შორის წარმოშობილი ურთიერთობა ორმხრივ და სასყიდლიან ხელშეკრულებასა და მუშაობის, დროებით მდგმურსა და დამქირავებელს შორის ურთიერთობას კი საფუძვლად უდევს ნათესაური ან მეგობრული დამოკიდებულება.

კრიტიკულ შემოწმებას მოითხოვს დამქირავებლის დამოკიდებულება კოოპერატივის წევრთან და სახლის პირად შესაკუთრებლის, მათი ოჯახის წევრებთან. კოოპერატივის წევრებსა და სახლის პირად შესაკუთრებელს თავიანთ საცხოვრებელ სადგომებში ხშირად ჰყავთ ჩაწერილი ნათესავები და მეგობრები, რომლებიც ქირას არ იხდიან, მაგრამ სარგებლობენ დროებითი მდგმურის უფლებით, ან ჩაწერილი არიან, მაგრამ ცხოვრობენ სხვა მისამართზე. ბუნებრივია, ასეთი პირები არ ჩაითვლებიან დამქირავებლებად. მოქმედი საბინაო კანონმდებლობით დამქირავებელსა და სახლის პირად შესაკუთრებს ან კოოპერატივის წევრს შორის ქირავნობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით (მხარეთა სურვილისამებრ შეიძლება იგი დამოწმდეს სანოტარო კანტარაში). ამასთან, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საცხოვრებელი სადგომის გასაქირავებლად საჭიროა კოოპერატივის გამგეობის თანხმობა (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ხანძარი წესების 39-ე პუნქტი).

ამ წესების დარღვევით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, ბათილია და რაიმე უფლებას ვერ წარმოშობს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 1988 წლის 1 სექტემბრამდე ე. ი. საბინაო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, დამქირავებელსა და სახლის პირად შესაკუთრებს შორის საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დადებულიყო აგრეთვე ზეპირი ფორმით.

საბინაო პირობებასაუშუალოდ მუშაობის ადრიცხვზე აყვანა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სალაბო, სასოფლო-სამეურნეო აღმასკომის გადაწყვეტილებით, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — აღმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაც უნდა დაამტკიცოს შესაბამისმა აღმასკომმა.

საცხოვრებელი ფართობის განაწილების შესახებ ადრე მოქმედი დებულებისაგან განსხვავებით მოქმედი საბინაო კანონმდებლობა და ახალი წესები უფრო სრულყოფილად ჩამოთვლის საცხოვრებელი სადგომის მიღების ადრიცხვზე ყოფნის შენარჩუნებისა და ადრიცხვიდან მოხსნის შემთხვევებს.

დადგენილია, რომ დროებით სხვაგან მყოფ მოქალაქეებს უნარჩუნდებთ უფლება საცხოვრებელ სადგომზე და მათი ადრიცხვიდან მოხსნა არ შეიძლება. ადრიცხვზე ყოფნის უფლება უნარჩუნდებთ აგრეთვე არჩევითი თანამდებობის პირებს და პენსიაზე გასულებს, ხოლო ის, ვინც მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა სხვაგან ან შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა — მოიხსნება ადრიცხვიდან. ამასთან, თუ შრომის ხელშეკრულება შეწყვეტილია წესების 26-ე პუნქტში ჩამოთვლილი საპატიო მიზეზებით, ახალ საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილს ადრიცხვზე აყვანისას მოქალაქეს შეუნარჩუნდება ადრიცხვზე აყვანის პირვანდელი თარიღი. სარეთო წესით კი ადრიცხვზე აყვანის შემდეგ საცხოვრებელი სადგომის რიგითობა განისაზღვრება განცხადების შეტანის დღიდან.

ადრე მოქმედი წესებით ადრიცხვზე აყვანის თარიღად ითვლებოდა წარმოება-დაწესებული ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილების და აღმასკომის გადაწყვეტილების თარიღი. ამ ორგანოებს კი ერთი გადაწყვეტილებით ადრიცხვზე აყვადათ რამდენიმე განმცხადებელი. ამიტომ სიების შედგენისას მათი რიგითობის განსაზღვრა





ყოველთვის იწვევდა დავას. ამ მხრივ ახალმა წესებმა დადებითად გადაჭრა პრაქტიკაში არსებული მეტად მტკივნეული საკითხი.

მოქალაქენი, რომელთაც უფლება აქვთ პირველ რიგში ან რიგგარეშე მიიღონ საცხოვრებელი სადგომი, შეყვანილი უნდა იყვნენ ცალკე სიბუხეში. ამ კატეგორიის პირთა ნუსხა ჩამოთვლილია წესების 84-87-ე პუნქტებში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველ რიგში საცხოვრებელი სადგომის მიცემა გულისხმობს ამ კატეგორიის საბინაო პრობლემათა უმჭიდროესად მოქალაქეებისათვის ცალკე სიის შედგენას და მათ შორის რიგითობის განსაზღვრული არ არის, რადგან აღრიცხვაზე ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად რა რაოდენობის ბინებს (საცხოვრებელ ფართობს) გამოყოფს ამ მიზნისათვის. ეს კი იმის გათვალისწინებით უნდა მოხდეს რომ პირველ რიგში დაკმაყოფილების უფლების მქონე პირს უფრო ადრე მიეცეს საცხოვრებელი სადგომი, ვიდრე — საერთო სიაში მყოფს. ამავე დროს, საამისოდ გამოყოფილი საცხოვრებელი ბინების (საცხოვრებელი ფართობის) ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი განაწილებელი ფართობის 50 პროცენტს.

წესების 85-ე, 86-ე, 87-ე პუნქტებით საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე მიეცემა იმ მოქალაქეებს, რომელთა ბინაც (საცხოვრებელი სადგომი) გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების გამო. ექვს არ იწვევს, რომ ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომით მოქალაქეთა დაკმაყოფილება უმოკლეს ვალაში უნდა მოხდეს. მაგრამ რადგანაც პრაქტიკულად ყოველთვის და ყველგან არ შეიძლება მისი დაუყოვნებლივ შესრულება, წესების 85-ე პუნქტით დადგენილია, რომ საცხოვრებელი სადგომის რიგგარეშე მიცემა უნდა მოხდეს მოქალაქის მიმართვის დღიდან არაუგვიანეს სამ თვეში.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 69-ე მუხლით სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავებთან, მეურვესთან ან მზრუნველთან აღსაზრდელად მყოფ ბავშვებს მთელი დროის მანძილზე ენახებათ უფლება ძირითად საცხოვრებელ სადგომზე. თუ შეუძლებელია დაბრუნებულ პირთა შესახლება, იმ საცხოვრებელ სადგომში, საიდანაც ბავშვები წავიდნენ, საბინაო კოდექსის 47-ე მუხლით და წესების 85-ე პუნქტით, ამ პირებს საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავთან, მეურვესთან და მზრუნველთან ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ რიგგარეშე მიეცემა საცხოვრებელი სადგომი. ასეთი პირები საცხოვრებელი სადგომის რიგგარეშე მიღების უფლების წარმოშობიდან ექვსი თვის განმავლობაში განცხადებით მიმართავენ ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს ან უწყების ადმინისტრაციას (საბინაო ფონდის კუთვნილები-სამებრ), რომლებმაც განცხადებიდან 8 თვის განმავლობაში უნდა გამოუყონ საცხოვრებელი საგომი. დარღვეული უფლების აღსადგენად ასეთ პირებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

საცხოვრებელი სადგომის რიგგარეშე მიცემა იმ პირისათვის, ვისაც უკანონოდ დაედო მსჯავრი და შემდგომ რეაბილიტირებული იქნა გათვალისწინებულია წესების 85-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით. ამ ნორმას საფუძვლად დაედო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 მაისის ბრძანებულება. რეაბილიტირებულ პირებს უფლება აქვთ შეტყობინებიდან 6 თვის ვალაში მოითხოვონ დარღვეული საბინაო უფლების აღდგენა. ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა ან ადმინისტრაციამ (საცხოვრებელი სადგომის კუთვნილების მიხედვით) განცხადების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში რეაბილიტირებულ პირს რიგგარეშე უნდა გამოუყონ საცხოვრებელი სადგომი. წინააღმდეგ შემთხვევაში რეაბილიტირებულ პირს უფლება აქვს დარღვეული საბინაო უფლების აღდგენა მოითხოვოს სასამართლოში საერთო წესით.

საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე მიეცემა აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც დაამთავრეს ასპირანტურა, კლინიკური ორდინატურა, უმაღლესი, საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სასწავლებლები და განაწილების წესით იგზავნებიან სამუშაოდ სხვა ადგილზე.

პრაქტიკაში უკვე წამოიჭრა დავა იმის შესახებ, თუ განაწილებიდან რამდენი წლის შემდეგ უნდა დაკმაყოფილდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები საცხოვრებელი სადგომით და რა იგულისხმება „სხვა ადგილზე“ სამუშაოდ გაგზავნაში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის № 877 დადგენილებით, წესების 86-ე პუნქტით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები საცხოვრებელი სადგომით უნდა დაკმაყოფილდნენ სამუშაოზე გამოცხადებისთანავე. წესების ზოგადი პრინციპებით ეს ვალა შეიძლება ექვს

თვემდე გაგრძელდეს, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტს უფლება აქვს ამ პერიოდში საცხოვრებელი სადგომის მიუცემლობის გამო თვითონ მოშალოს შრომის ხელშეკრულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასახელებული დადგენილების პირველი პუნქტის პირველი ნაწილი და „დ“ ქვეპუნქტზე გულისხმობს, რომ „სხვა ადგილზე“ გაგზავნა ნიშნავს სასწავლებლის ადგილსამყოფელიდან სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დასახლებაში ჩასვლას. ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტის განაწილება აქ, სადაც სასწავლებელი მდებარეობს, არ ჩაითვლება „სხვა ადგილად“.

ახალდაქორწინებულები, (რომლებიც პირველად ქორწინდებიან 30-წლამდე ასაკში), რიგგარეშე შედიან საბინაო-სამშენებლო კომპერატივში ან მიიღებენ, როგორც მინიმუმი, ოთახს. თუ ქორწინებიდან 3 წლის განმავლობაში მათ გაუჩნდებათ შვილი, რიგგარეშე მიეცემა ერთ-ოთახიანი ბინა და ამავე წლების მე-14-ე პუნქტით დარჩებიან აგრეთვე საერთო აღრიცხვაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ასეთი განმარტება: საბინაო პრობლემაგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის რსფსრ-ს სანიმუშო წესების 28-ე პუნქტით ახლადდაქორწინებულთათვის საცხოვრებელი სადგომის რიგგარეშე მიცემა წარმოებს სოციალურ-დემოგრაფიული პირობების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, თუ ამ პრინციპის გამოყენება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა ჩვენს წესებშიც მოხდება.

საცხოვრებელი სადგომის განაწილების არსებული წესი დიდი ხანია დაამკვიდრა საბინაო კანონმდებლობაში. მართალია ძირითადი დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი საშოქალაქო სამართლის კოდექსიდან, მაგრამ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესს მაინც გააჩნია თავისებურებანი და იგი განპირობებულია იმით, თუ რომელ საბინაო ფონდს მიეკუთვნება გასანაწილებელი ფართობი.

საბჭოს საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელ სადგომს მოქალაქეებს აძლევს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი;

— საუწყებო საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეს საცხოვრებელ სადგომს აძლევს საწარმო, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საბჭოს აღმასკომი;

— იმ საუწყებო საბინაო ფონდის განაწილება, რომელთა მშენებლობა განხორციელებულია სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებით, აგრეთვე საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილი სხვა სახსრებით და ამ უწყებაზე ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულება და საწარმოო გაერთიანების დებულება, წარმოებს ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელიც შემდგომ ეცნობება შესაბამის საბჭოს აღმასკომს. ასეთივე წესით ხდება საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განაწილებაც.

— საბინაო-სამშენებლო კომპერატივში ბინები განაწილდება კომპერატივის საერთო კრებით დამტკიცებული სისი მიხედვით.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 58-ე მუხლით „მოთხოვნა ორდერის ბათილად ცნობის შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს ორდერის გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში“.


დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა წესების 64-ე პუნქტიც: „ორდერი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით მისი გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში“.

როგორც ვხედავთ, ორდერის გაცემის დღიდან სამი წლის შემდეგ დაინტერესებულ პირს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს ორდერის სასამართლო წესით ბათილად ცნობა, ხოლო ამ ხნის შემდეგ თვითონ სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს ორდერის ბათილად ცნობის საკითხი. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, აქ საქმე გვაქვს აღმკვეთ ვადასთან. მაგრამ საკავშირო უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1982 წლის 9 დეკემბრის № 8 დადგენილების 22-ე პუნქტით სრულიად კატეგორიულად და გარკვევით განმარტა, რომ ორდერის ბათილად ცნობის საქმეზე ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტების თანახმად საბინაო კოდექსის 58-ე მუხლში და წესების 64-ე პუნქტში შევიდეს სათანადო ცვლილებები.

ასეთია მოკლედ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის ახალი წესები.

# გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე



გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული სამართლის ისტორიის მოამაგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ისიდორე სამსონის ძე დოლიძე დაიბადა 1915 წელს ყოფილი ოზურგეთის მაზრის სოფელ ზვარბეთში. გოგორეთის 7-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ბათუმის სამშენებლო სსსწავლებელში, რომელიც 1938 წელს დაასრულა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ხოლო 1936 წელს გადავიდა სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტში, სადაც 1938 წელს მიიღო იურისტის დიპლომი. ამავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1941 წელს ი. დოლიძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „გლეხის უფლებრივი მდგომარეობა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით“. ამავე წლის სექტემბრიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც თავისი მოღვაწეობის 35 წლის მანძილზე წაიკითხა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, რომის სამართლის, სა-

ხელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის კურსები.

1943-1944 წლებში ი. დოლიძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტსაგანმანათლებლო სექტორის გამგედ, შემდეგ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს (1945-1946 წწ.) იგი ინგლისში საბჭოთა კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომელია.

1947-1948 წლებში ი. დოლიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი. 1949-1951 წლებში ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსია, ხოლო 1953-1956 წლებში — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე. 1957 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სადოქტორო ნაშრომის თემა იყო ბეჟა-აღბუღას კანონების სახელწოდებით ცნობილი სამართლის წიგნი, რომელიც ძვირფას მასალას შეიცავს XIII-XIV საუკუნეების მესხეთისა და სრულიად საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილების შესახებ.

1957-1960 წლებში ი. დოლიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია, ხოლო 1960 წელს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად სამართლის ისტორიის დარგში. ამავე დროს იგი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო და ხელმძღვანელობდა ჰუმანიტარული დარგების სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას ჩვენს რესპუბლიკაში.

1965 წელს ი. დოლიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1967 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, 1982 წლამდე, ი. დოლიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებას, რომლის ჩამოყალიბებაში მას, პროფესორ თინათინ წერეთელთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვის.

მაგრამ ყოველივე ამით როდი თავდება ი. დოლიძის საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა. მისი ინიციატივით დაარსდა

სერია — „უცხო წყაროები საქართველოს შესახებ“, მისი აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი და განახლდა უფროსი „სახბოთა სამართლის“ გამოცემა. იგი წლების განმავლობაში იყო ქართული სახბოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და სამართლის მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და „ქართული სამართლის ძეგლების“ სერიის რედაქტორი.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო ი. დოლიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. 1950 წელს გამოაქვეყნა შრომა „ადრინდელი ფეოდალური სამართალი“. გამოკვლევაში მოცემულია ადრინდელი ევროპული ფეოდალური სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის ძირითადი დარგებისა და ინსტიტუტების დახასიათება. შრომა უმთავრესად დაფუძნებულია VI საუკუნის სამართლის ცნობილი ძეგლის Lex Salica-ს შესწავლაზე. შრომაში წარმოდგენილია აგრეთვე VI-IX საუკუნეების სხვა საკანონმდებლო ნიმუშები და მათი ანალიზი. ეს გამოკვლევა ადრინდელი ევროპული ფეოდალური სამართლის ისტორიის შესწავლის პირველი ცდა იყო საქართველოში.

ი. დოლიძემ პირველი წიგნი ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს მიუძღვნა, კერძოდ, XIV საუკუნის შესხეთის საკანონმდებლო ძეგლს, რომელიც ცნობილია ბექასა და აღბუღას კანონების სახელით. ნაშრომი 1958 წელს გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ სახელწოდებით: „ძველი ქართული სამართალი“. აღნიშნული თხზულება ი. დოლიძის სადოქტორო დისერტაცია იყო და დაიცვა 1958 წელს (ოპონენტებად გამოდიოდნენ ნ. ბერძენიშვილი, ალ. ვაჩიშვილი და ივ. სურგულაძე).

აკად. ნ. ბერძენიშვილმა წერილობით წარმოდგენილ დასკვნაში აღნიშნა, რომ ი. დოლიძის „დამსახურებად უნდა ჩითვალოს სამართლის წიგნის შედგენილობისა და სისტემის საფუძვლიანი გარკვევა“<sup>1</sup>. ნ. ბერძენიშვილის აზრით განსაკუთრებით საყურადღებოა ი. დოლიძის მიერ გამოთქმული ახალი მოსა-

ზრება ბაგრატიის სამართლის თაობაზე. ოპონენტმა სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვან ღირსებად მიიჩნია ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის საკანონმდებლო წყაროების გამოკვლევა. იგი წერდა: „ადრემდე ჩვენ არ ვიცოდით, ეროვნული სამართლის რა წყაროებით სარგებლობდნენ სჯულმდებლები ბექა და აღბუღა, ან რა გავლენა იქონია მათმა სამართალმა შემდეგი დროის ქართულ კანონმდებლობაზე. ახლა გარკვეული და დადგენილია, რომ ბექამ<sup>2</sup> და აღბუღამ სხვა საკანონმდებლო მასალასთან ერთად გამოიყენეს ბაგრატიის სამართლის ნორმები. „თავის მხრივ ბექა მანდატურ-თუხუცესის სამართალმა“, როგორც ამას ნათლად ადასტურებს სარეცენზიო შრომის ავტორი, „მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაზე“ და ვახტანგ მეექვსის „სამართლის წიგნიზე“. ნ. ბერძენიშვილმა განიხილა ი. დოლიძის დასკვნა, რომ ბექა-აღბუღას სამართალმა, როგორც ქართული სამართლის მნიშვნელოვანმა წყარომ, შეინარჩუნა თავისი სავალდებულო ძალა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. „საყურადღებოა სანივთო სამართლის ტერმინის „საქონლის“ ახლებური განმარტება“. მანამდე საქონლად მიიჩნევდნენ როგორც ნივთებს, ისე ყოველგვარ სულდგმულ საქონელს (პირუტყვს); ი. დოლიძემ დააწესა „საქონლის“ ცნება და დაადასტურა, რომ ძველ ქართულ სამართალში „საქონელი“ ნიშნავდა მხოლოდ უსულთ „მოძრავ“ ქონებას, ყოველგვარ „მოძრავ“ ნივთს. ნ. ბერძენიშვილმა მნიშვნელოვნად მიიჩნია ი. დოლიძის დაკვირება ნივთების კლასიფიკაციის თაობაზე, კერძოდ, მათი დაყოფა ორ ჯგუფად — „სამამულოდ“ და „სასაქონლოდ“. „ასეთი კლასიფიკაციის დადგენას, — ასკვნის აკად. ნ. ბერძენიშვილი, — დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესწავლის საქმეში“<sup>2</sup> ჩვენ კი უნდა დავძინოთ, რომ ქართულ სამართალში მიღებულ ნივთების კლასიფიკაციაში კარგად ჩანს თუ რა ორიგინალურად ხდებოდა ქართულ სინამდვილეში მაშინდელი საქაროს სამართალგანვითარების უმთავრესი საფუძვლის — ბიზანტიური სამართლის ნორმების შეთვისება-გადაშუშავება ადგილობრივ პირობებ-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი V, „მეცნიერება“ 1971 გვ. 302, 303.  
<sup>2</sup> იქვე გვ. 304.

თან შეხამებთ. ნივთების ქართულ კლასიფიკაციას გარკვეული ანალოგია ეძებნება „ღვთისმეტყველების“.

აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ღღემღე ფიქრობდნენ, რომ საუკუნეების ქართული საბრძოლველი სამართალი არ იცნობს დამატებით სხვათა იმ სახეს, რომელსაც ორღელეები ანუ ღვთის მსჯელობა ეწოდება. დისერტანტი ადგენს, რომ XIV საუკუნის ქართული სამართალი იცნობს მტკიცების ასეთ საშუალებებს. ამით ავტორი სამართლიანად უარყოფს უცხოელ მკვლევართა აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს ორღელეების სისტემა ქართულმა სამართალმა სპარსულისაგან შეიღვინა XVIII საუკუნის დასაწყისში.“

„ძველ ქართულ სამართალში“ ი. დოლიძემ გამოაქვეყნა სამცხე-საათაბაგოს სამართლის ტექსტი ჩვენამდე მოღწეული ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „საკვლევი ძეგლის ტექსტის დამახინჯებული მრავალი ადგილის აღდგენის, თუ მისი ახლებურად წაკითხვის გაცნობისას აშკარად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და მოცულობითი შრომა გაუწევია დისერტანტს. ტექსტის ეს გამოცემა უძველად წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძვლს საქანონმდებლო ძეგლების შეცნობის შესწავლისა და პუბლიკაციების საქმეში“<sup>3</sup>.

1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტავა „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“. წიგნს თან ერთვის „ძეგლის დადების“ ტექსტი და ლექსიკონი. მისი რედაქტორი იყო პროფ. ილია აბულაძე. ნაშრომს სამეცნიერო ლიტერატურაში დადებითად გამოეხმაურნენ<sup>4</sup>.

XIII-XIV საუკუნის ქართული ფეოდალური სამართლის სასჯელთა სისტემა და სახეები სრულიად შეუსწავლელი იყო პროფ. ი. დოლიძემ თავის გამოკვლევებში გააშუქა სასჯელთა მთელი რიგი სახეები, გარკვევა და დაადგინა მათი შინაარსი, მოგვცა სასჯელთა სახეების განსაზღვრული კლასიფიკაცია. ახლებურად არის განმარტებული სასჯელები: სისხლი, გერში, პატიუი, სპირო, სანახშირო და სხვ. სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული იყო აზრი, რომ ქართულ სამართალში სისხლი წარმოადგენდა ქონებრივ საზღაურს, რომელიც კანონით გა-

თვლისწინებულ სასჯელს გარდა უნდა გადაეხადა დამნაშავეს დაზარალებულისათვის. ამ შეხედულების თანახმად, სისხლი სასჯელი კი არ იყო, არამედ, მხოლოდ მიყენებული ზარალის ქონებრივი ანაზღაურება. ი. დოლიძემ დაამტკიცა, რომ შუა საუკუნეების ქართულ სამართალში სისხლი არა მარტო სასჯელი, არამედ სასჯელის ძირითადი სახე იყო. სისხლის ოდენობა დაზარალებული პირის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის, დანაშაულის ჩადენის ადგილის, პირობებისა და სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა. სისხლი საყოველთაო სასჯელი იყო, რომელიც შეეფარებოდა დამნაშავეს, მისი წოდებრივი მდგომარეობის განურჩევლად.

სასჯელის ამ სახესთან დაკავშირებულია გერშიც. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომ თითქოს ქართულ სამართალში გერშიად აღმინის მხოლოდ მსუბუქი და არაღამაშავებული ქრილობა და მისი საზღაური იწოდებოდა. ქართული სამართლის საქანონმდებლო ძეგლებშია და სხვა საისტორიო წყაროების შესწავლის საფუძველზე ი. დოლიძემ დაადგინა, რომ გერში ნიშნავდა ყოველგვარი ქრილობის — როგორც მსუბუქი და არაღამაშავებული, ისე მძიმე და დამაშავებელი ქრილობის — საზღაურს. გაირკვა, რომ გერშის ოდენობა სისხლის ოდენობაზე ყოფილა დამოკიდებული. გერშს ანგარიშობდნენ სისხლის ოდენობისა და მიყენებული ქრილობის სიმძიმის მიხედვით. გერშის ოდენობა შეიღლებდა ყოფილიყო დაზარალებული პირის სრული სისხლის ნახევარი, შესამდგი, მეოთხედი ან მეხუთედი ნაწილი. გერში აღმინის სხეულის ყოველგვარი დაზიანებისათვის დაწესებული ქონებრივი საზღაურია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სასჯელის იმ სახის შინაარსის დადგენა, რასაც პატიუი ეწოდება. ძველ ქართულ სამართალში პატიუი სასჯელის ზოგად მნიშვნელობას გამოხატავდა. XIII-XIV საუკუნეების ქართულ სამართალში მას სპეციალური მნიშვნელობაც მიეცა: ამ დროისათვის იგი სისხლის სამართლის განსაკუთრებული ჯარიმაა, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს საერო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ. პატიუი სასჯელის ცალკე სახეა და იგი არ შედის სისხლის საერთო

<sup>3</sup> იქვე, გვ. 305.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 305.

<sup>5</sup> იხ. გ. ნალარეიშვილი, „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, „მნათობი“, 1959, № 2.

საზღაურში. დამნაშავემ სისხლი დაწარალე-  
ბულს უნდა გადაუხადოს, ხოლო პატივი —  
სახელმწიფო წარმომადგენელს. კანონმდებ-  
ლობის მიხედვით, როგორც წესი, პატივი  
გათვალისწინებულია მძიმე ხასიათის დანა-  
შაულის ჩადენის დროს, მაგალითად, მკვლე-  
ლობა, ღალატი, თავდასხმა, ეკლესიის დაწვა,  
გაძარცვა და სხვ. ასეთი დანაშაული განიხი-  
ლება სახელმწიფო და სასულიერო ხელის-  
უფლების მიმართ ჩადენილ უპატიურ მოქ-  
მედებად და ასეთი უპატიობისათვის დამნა-  
შავემ პატივი უნდა გადაიხადოს. ამ დასკვნ-  
ნას დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნე-  
ების ქართული სისხლის სამართლის ინსტი-  
ტუტების შინაარსის გარკვევისა და შესწავ-  
ლისათვის.

დიდი შრომა აქვს გაწეული პროფ. ი. დო-  
ლიძეს შუა საუკუნეების ქართული იურიდი-  
ული ტერმინოლოგიის მეცნიერული დამუშა-  
ვების საქმეში. აკად. ივ. ჯავახიშვილმა შეის-  
წავლა ქართული სამართლის ტერმინოლოგია  
მონღოლთა შემოსევამდე. შუა საუკუნეების  
შემდგომი პერიოდის იურიდიული ტერმინო-  
ლოგია სრულიად შეუსწავლელი იყო. თავის  
გამოკვლევებში პროფ. ი. დოლიძემ მოგვცა  
XIII-XIV საუკუნეების ქართული სამართ-  
ლის ტერმინოლოგიის მეცნიერული დამუშა-  
ვება, დაადგინა ბევრი უადრესად საინტერე-  
სო ტერმინის შინაარსი და მნიშვნელობა,  
რაც მეტად აუცილებელი იყო შუა საუკუნე-  
ების ქართული სამართლის ისტორიის საკით-  
ხების გარკვევისათვის.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში  
აღიარებული იყო აზრი, რომ თითქმის XIV  
საუკუნემდე არ მოგვეპოვებოდა საერო სა-  
მართლის ძეგლი. აკად. ივ. ჯავახიშვილმა გა-  
მოთქვა მოსაზრება, რომ ბექა-აბულას სა-  
მართლის 100-103-ე მუხლები არის XI სა-  
უკუნის კანონმდებლობის გადარჩენილი ფრა-  
გმენტები, რომლებიც ბაგრატ მესამეს უნდა  
ეკუთვნოდნენ. ვახტანგის კანონთა კრებუ-  
ლის XVIII საუკუნის ნუსხებში ბექა-აბულა-  
ს კანონები 175 მუხლს შეიცავდა.  
აღნიშნული სამართლის წიგნის შედგენილო-  
ბისა და სისტემის ანალიზის საფუძველზე  
პროფ. ი. დოლიძე იმ დასკვნამდე მივიდა,  
რომ ბექა-აბულას კანონების გარდა, სამა-  
რთლის წიგნის ნუსხებში დაცულია კიდევ  
ორი საკანონმდებლო ძეგლი: ბაგრატ კურაპა-  
ლატის სამართალი და კანონიკური სამართ-  
ლის ფრაგმენტი. ბაგრატ კურაპალატის სა-

მართალი შეიცავს 99-160 მუხლებს, ხოლო  
კანონიკური სამართლის ფრაგმენტი — 161-  
170 მუხლებს. რაც შეეხება უკანასკნელ ხუთ  
მუხლს (171-175), ისინი ბექა-აბულას კანო-  
ნების 33-ე, 64-ე, 72-ე და 81-ე მუხლების  
განმეორებაა. შრომის ავტორის დამსახურე-  
ბად უნდა ჩაითვალოს სამართლის წიგნის  
შედგენილობისა და სისტემის საფუძველიანი  
გარკვევა. აქ ავტორს მოცემული აქვს ძეგ-  
ლის შემადგენელი ნაწილების აღწერა-დახა-  
სიათება ორი უძველესი ხელნაწერის მიხედ-  
ვით. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტო-  
რის მიერ გამოთქმული ახალი მოსაზრება  
ბაგრატის სამართლის თაობაზე. აქამდე სა-  
მეცნიერო ლიტერატურაში ფიქრობდნენ,  
რომ ბექა-აბულას სამართლის წიგნში ბაგ-  
რატს ეკუთვნოდა მხოლოდ 4 მუხლი —  
100-103 (აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრე-  
ბა).

ავტორის ამ დასკვნის საფუძველზე ირკვე-  
ვა, რომ ჩვენ გვაქვს XI საუკუნის ორი სა-  
კანონმდებლო ძეგლი — ბაგრატ კურაპა-  
ლატის სამართალი და კანონიკური სამართ-  
ლის ფრაგმენტი, რომლებიც ქართული ხე-  
რო და საეკლესიო სჯულმდებლობის უძვე-  
ლესი ნიმუშებია. ავტორის ამ დასკვნას დიდი  
მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის  
ისტორიის მეცნიერებისათვის.

XIV საუკუნის ქართული სამართლის  
ისტორიის ერთ-ერთი დაუდგენელი სა-  
კითხი იყო გიორგი ბრწყინვალის „ძეგ-  
ლის დადების“ შედგენის დროისა და კანონ-  
თა მოქმედების ტერიტორიული ფარგლების  
გარკვევა. გიორგი ბრწყინვალის სამართლის  
თაობაზე გამოკვლევაში პროფ. ი. დოლიძემ  
დაადგინა, რომ სამართლის წიგნი შედგენი-  
ლი იყო 1835 წელს, ხოლო მისი მოქმედების  
საზღვრები შემოიფარგლებოდა მთიულე-  
თის ტერიტორიით.

1960 წელს დაისტამბა ი. დოლიძის შრომა  
„საქართველოს ჩვეულებითი სჯული“<sup>6</sup>. რომე-  
ლშიც გამოკვლევულია ქართული ადამო-  
ბრივი სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტ-  
ები. ამგვარ წილს სახელმწიფო უნივერსიტე-  
ტმა გამოსცა აკად. ი. დოლიძის შრომა —  
„ძველი აღმოსავლეთის სამართალი“. ამ ნა-  
შრომში განხილულია ძველბაბილონური სა-  
მართლის წყაროებისა და სისტემის,  
საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურ-  
ის, საოჯახო და მემკვიდრეობის სა-  
მართლის, დანაშაულისა და სასჯელის, სა-

6 იხ. გ. ნადარეიშვილის რეცენზია, „ჩვეულებითი სჯული“, ჟურნ. „საბჭოთა სამართა-  
ლი“, 1962, № 1.



სამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების ძირითადი საკითხები. შრომა განკუთვნილია უნივერსიტეტის იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლისათვის.

1960 წელსვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ი. დოლიძისა და ვ. დონდუას მიერ თარგმნილი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი — კანონთა პარალელური ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე, ი. დოლიძის შესავალი წერილითა და კომენტარებით. შრომას ახლავს მისი რედაქტორის, აკად. ნ. ბერძენიშვილის მოკლე წინასიტყვაობა.

1962 წელს გამოიცა „შუა საუკუნეების სამართალი“ (ტ. II), რომელშიც მოცემულია შუა საუკუნეების ევროპული სამართლებრივი ძეგლებისა და დოკუმენტების ქართული თარგმანი და კომენტარი.

უდიდესი შრომა და ენერჯია ჩააქსოვა ი. დოლიძემ ქართული სამართლის ძეგლების სრული კორპუსის გამოცემაში.

1963 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობამ დაბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, რომელიც შეიცავს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს. როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შეადგინეს სამართლის წიგნთა კრებული, სადაც მოთავსებული იყო როგორც ძველი ქართული სამართლის წიგნები (სამართალი კათალიკოზთა, სამართალი მეფის გიორგისა, სამართალი ბექასი და აღბუღასი, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა), აგრეთვე უცხო წარმოშობის ძეგლები — სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული და სამართალი სომხური.

მეცნიერის სიცოცხლეში გამოიცა შვიდი სკელტანიანი ტომი, ხოლო მერვე ტომი დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1985 წელს. მერვე ტომში შესული არა-ოქმები ქრონოლოგიურად, 1789 წლიდან აგრძელებს ამ რიგის ადრინდელი მასალების პუბლიკაციას, რომელიც დასტამბულია წინამორბედ შვიდ ტომში. გარდა ამისა, მერვე ტომი გამდიდრებულია თემატიკურადაც. იგი შეიცავს კერძო-სამართლებრივ აქტებსაც (ნასყიდობის, გაცვლილობის, ანდერძის, სესხის, ჩუქების, გირავნობის, შეყრილობის, სახლის-კაცობის, ამხანაგობის და სხვ), რომლებსაც სამართლის თუ სოციალური ისტორიის შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

„ქართული სამართლის ძეგლები“, მიუხედავად გამოცემაში გაპარული ზოგიერთი ბარჯისა, დიდმნიშვნელოვანი შენაძენია ქართველი ერისათვის და თამამად შეიძლება მოვიხსენიოთ იგი ე. თაყაიშვილის „ქართველოს სიძველენისა“ და თ. ყორღანაის „ქრონიკების“ გვერდით.

ამ ფუნდამენტური შრომების გარდა ი. დოლიძეს უურუნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის სტატია. მკვლევარმა დიდი შრომა გასწია „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის“ კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის, რაც დაგვირგვინდა 1981 წელს გამოცემული წიგნით „სამართალი ვახტანგ მეექვსისა“. წიგნში შეჭამებულია ამ სფეროში მისი მრავალწლიანი შრომა და მას აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ი. დოლიძის რედაქტორობით გამოქვეყნდა ნიკო ურბნელის „ჩრეული ნაწერები“, აკად. ივანე ჭავჭავაძის თხზულებათა მეექვსე და მეშვიდე ტომები.

ღვაწლმოსილი მეცნიერი კიდევ ბევრის გაკეთებას აპირებდა. სურდა გამოეცა აშუამად დასრულებული „დასტურლამალის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, შუა საუკუნეების სამართლის ძეგლების შესამე, მეოთხე და მეხუთე ტომების თარგმანები, ნ. ბარათაშვილისა და ეგ. ნინოშვილის პოლიტიკური შეხედულებები; გარდა ამისა, იგი აპირებდა საქართველოში ბატონყმობის საკითხებზე მუშაობას, რასაც ადასტურებს ის უამრავი ფაქტიური მასალა, რომელიც მას შეგროვებული ღარჩა.

საბჭოთა მთავრობამ ი. დოლიძის შრომა ღირსეულად დააფასა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით. 1966 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მიმდინარე წელს აკად. ისილორე დოლიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მართალია იგი ამ დღეს ვერ მოესწრო, მაგრამ სრულიად ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. მისი სამეცნიერო შრომები მუდამ დარჩება ქართული სამართლის ისტორიის აუცილებელ ნაწილად.

ს. გოგინავა,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.

## მწვავედ, კრიტიკულად, საქმიანად

ჩვენს რესპუბლიკაში მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები. კომუნისტები განიხილავენ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, სახვეწ მომავლის ამოცანებს, არის პირუთენელი მსჯელობა და კამათი, საბჭოთა ადამიანები ამ საპასუხისმგებლო კამპანიას მართალი სიტყვითა და რეალური საქმეებით პასუხობენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოში, რესპუბლიკის პროკურატურა-სა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებებიც იმის გამოხატულება იყო, თუ როგორ იბრძვიან ამ ორგანიზაცია კოლექტივები კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, რა პრობლემები და ამოცანები დგას მათ წინაშე, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო რესპუბლიკაში მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი ორგანოა. თავისი საქმიანობით და მიზნებით იგი გამოკვეთილად გამოირჩევა სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სწორედ ეს გამოირჩეულობა უფრო მეტად ზრდის მის ავტორიტეტს ქვეყნისა და კანონის წინაშე. უმაღლესი სასამართლოს მოღვაწეობა თავისთავად პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენს, რადგან აქ წარმოებს რესპუბლიკაში მომხდარ ისეთ რთულ და საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვა, რომლებიც სრულიად განსხვავებულ რეზონანსს იძენენ ცხოვრებაში. მართალი და რეალური სიტყვის თქმა კი ასეთ დროს უფრო მეტ პასუხისმგებლობასა და სიზუსტეს მოითხოვს.

ამგვარი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ ტრიბუნად იქცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელიც 20 სექტემბერს ჩატარდა.


ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გობაჩოვის მიერ უკანასკნელ პლენუმებზე ჩამოყალიბებული დებულებებითა და მითითებებით, თქვა პარტიურის მდივანმა გ. ბახტაძემ,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა კვლავაც გაიზარდოს ჩვენი კოლექტივის კომუნისტთა აქტიურობა, ამაღლდეს თითოეულის პასუხისმგებლობა და ბრძოლისუნარიანობა.

შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობა და კრიტიკული ანალიზი გაუკეთა რესპუბლიკის პროკურატურასთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად გატარებულ ღონისძიებებს.

გასულ წელთან შედარებით 1985 წლის პირველ ნახევარში 34,6 პროცენტით შემცირდა საკასაციო წესით სასამართლო განაჩენების გაუქმება-შეცვლის მაჩვენებელი, 53 პროცენტით — სასჯელის დანიშვნის დროს დაშვებული შეცდომები, 57,1 პროცენტით — ლომობიერების მოტივით გაუქმებული განაჩენების რაოდენობა და ა. შ. პრაქტიკულად თითქმის აღარ ირღვევა საჩივართა გადაწყვეტის ვადები, რაც განპირობებულია საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლებითა და საჩივრებზე მუშაობის ისეთი ფორმების გამოანხვით, რომლებმაც გზა გადაუკეტეს ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას.





წარმატებები მართლაც ხელშესახები ვაჭკვს, — თქვა მოხსენების დასასრულს გ. ბახტაძემ, — მაგრამ იგი თვითდამშვიდების უფლებას არ იძლევა. საჭიროა ჩვენ კვლავაც ყოველდღიურად ვიმძღვრებოდეთ ცოდნას, ვხვეწდეთ კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკურ დონეს, პარტიული პოზიციებიდან ვუტკერდეთ ყოველ მოვლენას, საქმით ვვასუსხობდეთ ზემდგომი ორგანოების იმ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც მართლმსაჯულების გაუმჯობესებასა და განმტკიცებას ითვალისწინებენ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი იმ პრობლემებსა და ამოცანებზე, რომელიც დღეს დგას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წინაშე. კამათში მონაწილეობდნენ კომუნისტები თ. გერსაშია, ი. ბებია, ა. ლულუნიშვილი, პ. თოდუა, ჯ. რუსიაშვილი, გ. წუწუნავა, ვ. ხრუსტალი, ქ. ჭაბუკიანი, შ. ფაფიაშვილი და ი. გოგილაშვილი.

დღევანდელი კრება, რომელიც ასე მაღალ დონეზე მიმდინარეობს, თქვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კარანაძემ, არის სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს-კომპარტიის 27-ე ყრილობის ღირსი კომპარტიის შეხვედრისათვის გაშლილი კამპანიის გამოხატულება. ვაფასებთ რა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას

და ვსახავთ ახალ ამოცანებს, აქვე ისიც თამამად უნდა ვთქვათ, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში თითოეულ კომუნისტს უფრო მეტი ინიციატივის გამოჩენა, უფრო მეტი საქმის გაკეთება შეეძლო. ახლადარჩეულმა პარტიულმა ბიურომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, თამამად დაამკვიდროს თავისი მართალი პოზიცია და შეურთავებლად ებრძოდეს ყოველგვარ მანკიერ გამოვლინებას.

შემდეგ ა. კარანაძემ ილაპარაკა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის პრობლემებზე მომუშავე ჩგუფების საქმიანობაზე, საგანგებოდ შეჩერდა წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე და მოუწოდა ყველას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თითოეული მუშაკი სანიმუშო და სამაგალითო იყოს არა მარტო სამსახურებრივ საქმიანობაში, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიც, ყველგან, სადაც მას უხდება მოღვაწეობა და ცხოვრება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პარტიულმა კრებამ აირჩია პარტიურის ახალი შემადგენლობა. პარტიურის მდივანად არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი შ. ფაფიაშვილი.

\* \* \*

მთელი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის გათვალისწინებით და რესპუბლიკის ოპერატიული ვითარების მწვავე შეფასებით ჩატარდა საქართველოს სსრ პროკურატურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

პარტიული კომიტეტის მდივნის ზ. მიქაბერიძის საანგარიშო მოხსენებასა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში საქმიანი ანალიზი გაუკეთდა პროკურატურის კომუნისტთა მიერ ჩატარებულ მუშაობას. მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის, გამომწვანებულ ნაკლოვანებებს და სადღეისო პრობლემებს.

ხელმძღვანელობდა რა სადირექტივო ორგანოების მითითებებით, დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით, პარტიული კომიტეტი საანგარიშო პერიოდში თანამიმდევრულად ზრუნავდა სისტემის კომუნისტთა ბრძოლის უნარიანობისა და ავანგარდული როლის

ამაღლებისათვის, დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულებისათვის, ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების, შრომისა და ყოფაცხოვრებაში გამოვლენილი ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

საანგარიშო-საარჩევნო პერიოდში კომუნისტები აქტიურად იღვწოდნენ რესპუბლიკაში მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცებისა და საერთო ოპერატიული ვითარების გასაუმჯობესებლად. შეიქმნა მყარი ტენდენცია იმისა, რომ შემცირებულიყო ისეთი საშიში დანაშაული, როგორცაა განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება, სახელმწიფო დამოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა, ავტოავარიები და სხვა. ამასთან ერთად, მკვეთრად გააქტიურდა მუშაობა დატაცებების, მექრთამეობის და სპეკულაციის წინააღმდეგ.

კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატი,

სამართველთა და განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ვერ იჩენდნენ მომთხოვნელობას, პრინციპულობას, თანმიმდევრულობას შესაბამისი ზონების მუშაკებისადმი და ცხადია, სათანადოდ ვერ მართავდნენ მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესს.

ამით უნდა აიხსნას, რომ საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკაში დანაშაულობათა საერთო რაოდენობა კვლავ დამაფიქრებელია, მოუთმენელია, რომ კვლავ არაღამაკმაყოფილებელია სისხლის სამართლის საქმეთა გახსნის მაჩვენებლები მცხეთის, ქარელის, ლაგოდეხის, თიანეთის, ქ. თბილისის კალინინის და 26 კომისიის სახელობის რაიონებში, ქუთაისში და ზოგიერთ სხვა რეგიონში.

სათანადოდ არ ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა დატაცების, წამატების, თვალისახვევის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების აღკვეთა-აცილების საქმეებზე, პროკურორები ქმედითად არ იყენებენ სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებებს, შეიმჩნევა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის დარღვევის ისეთი შემთხვევები, როდესაც ისინი სათანადო რეაგირების გარეშე რჩება. ალბათ ამის შედეგია, რომ პროკურატურის ორგანოები სათანადო გავლენას ვერ ახდენენ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაზე.

პარტიულ კრებაზე სერიოზული პრეტენზიები გამოითქვა აგრეთვე საგამოძიებო სამართველოს, სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილებების პარტიული ორგანიზაციებისადმი.

პრინციპული და მოურიდებელი იყო კრიტიკა კადრების შერჩევა-განაწილებისა და აღზრდის საქმეში დაშვებული შეცდომების გამო: მოიყვანეს ფაქტები, როცა მუშაკები პროკურორებად და გამომძიებლებად ინიშნებოდნენ მათი საქმიანი და მორალური თვისებების შესწავლის გარეშე. ამან მნიშვნელო-

ვანი ზიანი მიაყენა საქმეს და რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ზოგიერთ ასეთი მუშაკი გაენთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან.

კადრებთან მუშაობაში არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია ისიც, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის მუშაკები გ. მთვარელიძე, რ. ხუნწარია და რუსთავეის ყოფილი პროკურორი მ. ქუტრადე იმ მშობელთა შორის აღმოჩნდნენ, რომელთა მოსწავლე შვილებიც იურიდიულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად არსებული შეღავათების მიღების მიზნით კანონის დარღვევით იყვნენ მოწყობილნი სამუშაოდ სხვადასხვა ადგილას.

რესპუბლიკის პროკურორის ვ. რაზმაძის გამოსვლაში მწვავე შეფასება მიეცა პროკურატურის ორგანოებში კადრებთან მუშაობის საშემსრულებლო დისციპლინის, ხაზი გაესვა იმას, რომ ჯეროვნად არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სამართალდამცველ ორგანოებში ფორმალისმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების თაობაზე, სუსტია სასამართლო პროცესების აღმზრდელითი როლი და სხვა.

რესპუბლიკის პროკურორმა დააყენა მთელი რიგი საკითხები რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია კონკრეტული, მიზანსწრაფული ღონისძიებები მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების, რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის, მისი პარტიული ორგანიზაციების მამობილიზებელი როლის მკვეთრად ამაღლებისა და პროკურატურის მუშაკთა დარაზმვისათვის, რათა ისინი ღირსეულად შეხვდნენ სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობებს.

კრებამ საქართველოს პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანდ აირჩია ჯ. მიქაბერიძე.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა ახალი ამოცანები დაუსახა საბჭოთა ადამიანებს და განსაზღვრა წინასაყრილობო მუშაობის მიმართულებები. ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პლენუმზე წარმოთქმულ მოხსენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პო-

ლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სტილის, მისი ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის. სწორედ ამ სულისკვეთებით ჩატარდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიულ-



როს მდივანი გ. მიქანაძე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, თქვა მომხსენებელმა, საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რესპუბლიკაში მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, მექრთამეობის, სპეკულაციის, ყოველგვარი ანტისოციალური რევივი ქმედობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, თავის მუშაობაში იგი პრინციპულად ხელმძღვანელობდა პარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარებისათვის, რაც თავისთავად იყო შეხამებული სამინისტროს მუშაობა საქმიანობის მაღალორგანიზებულობასთან, მათი იდეური და პოლიტიკური დონის ამაღლებასთან, კრიტიკული აზროვნებისა და პირდაპირობის დამკვიდრებასთან. პარტიული ბიუროს ყურადღების ცენტრში იყო, აგრეთვე, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების და პარტიულ კრებებზე მიღებული დადგენილებების დროულად შესრულების, შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაობაზე, მოიყვანა მაგალითები მათი საქმიანობიდან და წარმატებებიან ერთად აღნიშნა ის ნაკლოვანებებიც, რაც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეინიშნება. ვრცლად ისაუბრა, აგრეთვე, რესპუბლიკაში მართლმსაჯულების განხორციელების, სახალხო სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაუმჯობესებაზე, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ პროპაგანდისტულ საქმიანობაზე, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ჩატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ კონფერენციებზე, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივ მუშაობაზე და ანალიზი გაუკეთა მიღწეულ შედეგებს.

საანგარიშო პერიოდში, თქვა მოხსენების დასასრულს გ. მიქანაძემ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ორგანიზებული იყო მოქალაქეთა მიღება, ძირითადად დროულად ხდებოდა შემოსული განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, სისტემატური ხასიათი ჰქონდა სამინისტროს პასუხისმგებელ პირთა მორიგეობას და სხვა. მიუხედავად ამისა, ჩვენს მუშაობაში მაინც შეიმჩნეოდა ნაკლოვანებები, კერძოდ, გაიზარდა განმეორებითი საჩივრები. ამ საკითხებს სამინისტროს ხელმძღვანელობა და პარტიული პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მომხსენებელმა მოიყვანა მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებებიც, რაც იუსტიციის სამინისტროს მუშაობაში შეიმჩნევა, შევხო შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს დამიხსენებდა, რომ ახლადარჩეული პარტიული ბიურო ყველაფერს გააკეთებს მათ აღმოსაფხვრელად.

მომხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი ა. ტალიაშვილი, კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციის და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი ლ. ნიკურაძე, მამჩის ორგანოების, ნოტარიატისა და ადვოკატურის სამმართველოს კონსულტანტი ნ. ნაჭყებია, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი თ. საბაიშვილი, სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი კონსულტანტი ვ. შონია, იუსტიციის ორგანოების მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კომახიძე, კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციის და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი კონსულტანტი ლ. უშაკაშვილი, კადრების სამმართველოს უფროსი ა. თინათინაშვილი.

კრების მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

ჩვენი პარტიული კრება, თქვა მან, დიდი პოლიტიკური მოვლენების ვითარებაში მიმდინარეობს და ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო კონების დატაცებასთან და მიწურებთან საბრძოლველად ტარდება, რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობითაა განპირობებული. მიწურებისა და დატაცება-გაფლანგვის შემთხვევები გამოვლინდა თიანეთის, მახარაძის, თელავის რაიონებში. ამ სამარცხვინო ფაქტებს პრინციპული შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ვფიქრობ, რომ სასამართლო ორგანოების სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს დასახლებული რაიონების სახალხო სასამართლოებს, დაეხმაროს მათ მართლმსაჯულების სწორად განხორციელების საქმეში.

კრებამ მიიღო დადგენილება და აირჩია პარტიული ორგანიზაციის მდივანად არჩეულა

იუსტიციის სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანად არჩეულა გ. მიქანაძე.

## სამართლებრივი ცენტრის მიერ მომზადებული საქართველოს საკონსტიტუციო საკანონმდებლო აქტების კომენტარი

გაიმართა რესპუბლიკის სამართლებრივი ცენტრის მიერ მომზადებული საქართველოს საკონსტიტუციო საკანონმდებლო აქტების კომენტარი, რომელიც თავმოყრილია საქართველოს სსრ პროკურორის ვ. რაზმაძის, სხდომაზე განიხილეს უზარისხო, უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლის საკითხები.

საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა გამოსვლებში შეატყობინა შეფასება მიეცა რესპუბლიკაში უზარისხო პროდუქციის გამოშვებას, რაც, ბუნებრივია, ცუდ რეზონანსს იწვევს მოსახლეობაში. შექმნილი მდგომარეობა იმიტომ არის არასახარბიელო, რომ იგი დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. უზარისხო, უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვებას მოსდევს აგრეთვე უდიდესი მორალური ზიანიც. უნდა აღინიშნოს, რომ უზარისხო პროდუქციის გამოშვებით სახელმწიფოზე მიყენებული ზარალი სტატისტიკურად და უკანასკნელ წელშია დასაშვად მან 7 მილიონ მანეთს გადააჭარბა. დიდი რაოდენობის თანები იხარჯება წუნდებული პროდუქციის გამოშვებაზეც. მხოლოდ მიმდინარე წლის მ თვეში მან 209 ათასი მანეთი შეადგინა.

უზარისხო, უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვებაში სისტემატურად შეიმჩნევიან მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ხილბოსტნეულის მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების, „კეკეაშვირის“ და „საკავშირო“ დაქვემდებარების მთელი რიგი ორგანიზაციები და საწარმოები.

უზარისხო, უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ სათანადო ბრძოლას არ ეწევიან რესპუბლიკის პროკურორატურა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, რესპუბლიკის სხვა მაკონტროლებელი ორგანოები.

გამიჩიკვა, რომ ზოგიერთი ქალაქისა და

რაიონის პროკურორი საფუძვლიანად არ სწავლობს უზარისხო პროდუქციის გამოშვების მიზეზებს, არ ადგენს მის ხელისშემწყობ გარემოებებს და არ იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს წუნისმკეთებლების მიმართ, ასეთი პროდუქციის გასაღებისა და რეალიზაციის აღსაკვეთად. თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, თელავის, მარნეულის, სამტრედიის, ხაშურის, ცხაქაიის და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის პროკურორები კონკრეტულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ ამ სფეროში გამოვლენილ დარღვევათა აღსაკვეთად, ხოლო ზოგან არც დაგეგმილი რაიმე შემოწმება საერთო ზედამხედველობის ხაზით.

შეიმჩნევა, რომ პროკურორების მუშაობა უზარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლაში არ ატარებს შემტევ ხასიათს და იგი ამოწურება მხოლოდ შერეულ, ფორმალური ხასიათის წარდგინებებით. როგორც წესი, წუნისმკეთებლებს იშვიათად აძლევენ მატერიალურ და დისციპლინურ პასუხისგებაში, თითქმის არ იყენებენ სისხლის სამართლებრივ სასჯილებს.

ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც გაუმართლებლად ირღვევა შემოსულ მასალებზე რეაგირების კანონით დადგენილი ვადები, ნაჩქარევად გამოაქვთ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, ან არასწორად წყვეტენ სისხლის სამართლის საქმეებს.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ისიც, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის მდგომარეობის შემოწმების დროს სოციალისტური საკუთრების დაცვების წინააღმდეგ ბრძოლის საშახური სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პროდუქციის უზარისხოებას, არ თვლიან, რომ უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვება თავისთავად წარმოადგენს აღურიცხავი პროდუქციის დაგროვებასა და სოციალისტურ-



რი საკუთრების დატაცების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

დღევანდელ მოთხოვნილებას ვერ პასუხობს აგრეთვე ზოგიერთი სახალხო სასამართლოს მუშაობაც და ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს სათანადო ყურადღება არ ექცევა ისეთი პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიების გატარებას, როგორცაა კერძო განჩინებების გამოტანა.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია იურიდიული სამსახურების მუშაობა. მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში პრაქტიკულად არ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს სახელმწიფოსათვის მიუყენებელი ზა-

რადის ახანაზღაურებლად და წუნისმკეთებელთა დასასჯელად.

საკოორდინაციო საბჭომ რესპუბლიკის ყველა ქალაქის და რაიონის პროკურატურას, სახალხო სასამართლოს, შინაგან საქმეთა განყოფილებას მისცა რეკომენდაციები უზარისხო, უსტანდარტო და უკომპლექტო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლის სწორად წარმართვისათვის.

ბ. თითგამრიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

## სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ამას წინათ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის, სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის ინიციატივით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების იურიდიული კონსულტაციის გამგეები, ადვოკატები და ახალგაზრდა ადვოკატთა სკოლის მსმენელები.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გ. რაინიშვილმა. მან ილაპარაკა კანონმდებლობის იმ სიახლეებზე, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადვოკატებმა. ამ შეკრების მიზანია, — აღნიშნა მან, — ახალგაზრდა ადვოკატთა სკოლის მსმენელთათვის კანონმდებლობის იმ სიახლეთა გაცნობა, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით შეიტანეს სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების კანონმდებლობაში, აგრეთვე ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა ჩვენი რესპუბლიკის საბინაო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ზაჩიშვილმა სამეცნიერო-პრაქტიკული კონ-

ფერენციის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების კანონმდებლობის სიახლენი. შეეხო იმ ცვლილებებს, რომლებიც ეხება არასრულწლოვან მსჯავრდადებულებს, ისაუბრა ვადაზე ადრე გათავისუფლების წესებში შეტანილ ცვლილებებზე.

სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრმა ვ. შვანიაშვილმა მსმენელებს გააცნო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 2 აპრილის ბრძანებულების „სიახლენი სისხლის სამართალსა და შრომა-გასწორების კანონმდებლობაში“ განმარტების შესახებ. ისაუბრა ცვლილებებზე, რომლებიც შეეხება მსჯავრდადებულ ქალებს, გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირებს, პირობით მსჯავრდადებულებს და არასრულწლოვანებს.

ადვოკატთა კოლეგიის წევრმა შ. სოხაშვილმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები.

საბინაო კანონმდებლობის სიახლეებზე ისაუბრა ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრმა დ. სუხიაშვილმა.

მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო საცხოვრებელი ფართობის აღ-



რიცხვისა და განაწილების წესის თაობაზე მიღებული ახალი დებულება. აღნიშნა, რომ თუ ადრე მოქმედი კანონმდებლობით აღრიცხვაზე აიყვანებოდნენ ისეთი ოჯახები, რომელთა თითოეულ წევრზე მოდიოდა საცხოვრებელი ფართობი არა უმეტეს 4 კვადრატული მეტრისა, ახალი წესებით აღრიცხვას ექვემდებარება ოჯახი, რომლის თითოეულ წევრზე მოდის საცხოვრებელი ფართობი არა უმეტეს 5 კვადრატული მეტრისა.

დ. სუხიტაშვილმა ილაპარაკა იმ სიახლეებზე, რომლებიც შეეხება ახალდაქორწინებულ ოჯახებს, ისაუბრა პირთა იმ კატეგორიაზე, ვისაც პირველ რიგში აქვს ბინის მიღების უფლება. აქვე მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია საბინაო-სამშენებლო კომპერატივში შემსვლელ მოქალაქეთა შეღავათებს, რასაც მათ ახალი კანონმდებლობა ანიჭებთ. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჩვენი რესპუბლიკის კანონმდებლობით პირველად (სხვა რესპუბლიკების კანონმდებლობაში ეს წესი არ არის) დადგინდა, რომ კომპერატივის გარდაცვლილი წევრის მემკვიდრეებს

(მეუღლე, აღმავალი და დაღმავალი ნათესაები, ძმა, და), რომლებიც მოცემულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობენ და კომპერატივის წევრის სიცოცხლეში ბინით არ სარგებლობდნენ, კომპერატივში შესვლის უპირატესი უფლება აქვთ, თუ საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას და ბინაში საცხოვრებლად არ არიან დარჩენილნი გარდაცვლილი წევრის სხვა მემკვიდრენი და ოჯახის წევრები.

დ. სუხიტაშვილმა ვრცლად ისაუბრა ახალი კანონმდებლობით ბინების გაცვლის წესში შეტანილ ცვლილებებზე, შემდეგ უბასუხა კონფერენციის მონაწილეთა შეკითხვებს.

დასასრულ გაიმართა ახალგაზრდა ადვოკატთა საბჭოს არჩევნები, საბჭოს შემადგენლობაში აირჩიეს: ი. აქუზარდია (თავმჯდომარე) გ. ჭინჭინაშვილი, ს. რაიმოვი, ტ. ჭინჭველაძე და გ. ფერაძე. საბჭოს კონსულტანტებად დაინიშნენ: სისხლის სამართლის დარგში — ბ. ხომერიკი, სამოქალაქო სამართლის დარგში — დ. სუხიტაშვილი.

ზ. ვარტიკაშვილი

## იურისკონსულტთა თათბირ-სემინარი

ამას წინათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იურიდიული სამსახურების მუშაკთა თათბირ-სემინარი სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხებზე.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელები, საწარმოებისა და ორგანიზაციების იურისკონსულტები.

თათბირ-სემინარი გასხნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშუნაშვილმა.

მომხსენებით, „რესპუბლიკის იურიდიული სამსახურის ამოცანები სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მითითებითა შესაბამისად“, გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი თ. საბიაშვი-

ლი. ვფიქრობ, ზედმეტია ლაპარაკი იმის თაობაზე, თქვა მომხსენებელმა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია და მთავრობა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის სწორ ორგანიზაციას. ამ მიმართებით მრავალი ქმედითი ღონისძიება განხორციელდა. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში იურისკონსულტთა რაოდენობა თითქმის გასამკეცდა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამეურნეო ამოცანების წარმატებით განხორციელებისა და საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებისათვის ბრძოლაში. ამ მიმართებით მისაბამია რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის იურიდიული სამსახურის საქმიანობა.

იუსტიციის სამინისტრო, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, დღენიადაგ ზრუნავს რესპუბლიკაში იურიდიული სამსახურის შემდგომი განმტკიცებისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა იურისკონსულტთა სამუშაო პირობები. მუშაობაც უფრო ფართო ფრონტით გაიშალა და სამეურნეო ხელმძღვანელები სა-

ბოლოოდ დაიწყებინა ამ სამსახურის სა-  
გებლობაში. ამიტომ დღეს უკვე ყველა სო-  
ლიდურ საწარმოში იურისკონსულტებიც სა-  
ქმიანობენ. მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას,  
რომ სახალხო მეურნეობაში სამართლებრი-  
ვი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუ-  
ხვს სადღეისო მოთხოვნებს. ეს, უწინარე-  
სად, გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი  
ხელმძღვანელი მუშაკი სათანადოდ ვერ ერკ-  
ვევა საბჭოთა კანონმდებლობის ძირითად  
საკითხებში, უგულვებლყოფს იურიდიულ  
სამსახურს, ან ნაკლებ ყურადღებას აქცევს  
ამ სამსახურის საქმიანობას. დირექტიულ  
ორგანოთა არაერთგზის მოთხოვნის მიუხე-  
დავად, იურიდიული ცანყოფილებები ჯერ  
კიდევ არ შეუქმნიათ საქართველოს სსრ სო-  
ციალური უზრუნველყოფის, სატყეო მეურ-  
ნეობის, განათლების, კულტურისა და კავ-  
შირგაბმულობის სამინისტროებს. ანალოგიუ-  
რი მდგომარეობაა ზოგიერთ სახელმწიფო  
კომიტეტსა და სხვა უწყებებში. სახალხო დე-  
პუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოე-  
ბის აღმასკომების მნიშვნელოვანი ნაწილი  
კვლავ იურიდიული მომსახურების გარეშეა.  
მრავალ სამინისტროთა და უწყებათა ხელ-  
მძღვანელობა ჯერ კიდევ არასაკმარის ყუ-  
რადღებას უთმობს საქვეუწყებო ორგანოე-  
ბის იურიდიული მომსახურებით უზრუნველ-  
ყოფის საქმეს. იურისკონსულტთა რიცხვი  
ძალზე მცირეა საქართველოს სსრ მოსახ-  
ლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების,  
სატყეო მეურნეობის, კავშირგაბმულობის,  
განათლების, უმაღლესი და საშუალო-სპეცია-  
ლური განათლების, საბინაო-კომუნალური მე-  
ურნეობისა და ზოგიერთ სხვა სამინისტრო-  
სა და უწყებებში.

სახელმწიფოებო დისციპლინის განმტკი-  
ცების საქმეში იურიდიული სამსახურების  
აპოცანებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ  
სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტ-  
რის მოადგილემ **ჭ. ქალაღანიამ**. ეკონომიკაში  
სამართლებრივი რეგულირების ფორმებისა  
და მეთოდების სრულყოფა, თქვა მან, სამე-  
ურნეო საქმიანობაში სამართლებრივი კულ-  
ტურის ამაღლება მუშაობის ეფექტიანობისა  
და ხარისხის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელო-  
ვანი პირობაა. ეკონომიკური ურთიერთობე-  
ბის სამართლებრივი რეგულირება ჩვენი  
დროის ობიექტური მოთხოვნაა. უნდა გაძ-  
ლიერდეს სავეგმო და სახელმწიფოებო  
დისციპლინის დაცვა. ამ რთულ სამეურნეო  
სიტუაციაში ხელმძღვანელს მხოლოდ იურის-  
ტი დაეხმარება სწორი გზის გამოკვანაში.  
სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ხელმძღვანე-

ლი არად დაგიდევს ათეულ, ასეულ და ათა-  
სობით მანეთ პირგასამტეხლოს, ჯარბის, სა-  
ურავის გადახდას, აქაოდა წარმოებას მოვე-  
ბა აქვს და თუ ეს არ ეყოფა, ზემდგომი ორ-  
განიზაცია დამეხმარებოდ ან პირიქით, ვალ-  
დებულების შეუსრულებლობისათვის საერ-  
თოდ არაფერს იხდია.

სახელმწიფო არბიტრაჟში, თქვა შემდეგ  
მომხსენებელმა, წლითიწლობით იზრდება სა-  
მეურნეო დავების რაოდენობა. მაგალითად,  
თუ 1980 წელს განვიხილეთ 19 175 სარჩელი,  
გასულ წელს მათი რიცხვი 23 588-მდე გაიზა-  
რდა. უნდა ითქვას, რომ დავების მნიშვნელო-  
ვანი ნაწილი უსაფუძვლოა. ასეთი დავების  
რაოდენობა განხილულ საქმეთა 30-40 პრო-  
ცენტს შეადგენს. ყოველივე ეს კი მიუთით-  
ებს ზოგიერთი ხელმძღვანელის უყარათო-  
ბაზე.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ საქართვე-  
ლოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსე-  
ბული იურისკონსულტთა საზოგადოებრივი  
საბჭოს თავმჯდომარე **ა. ჯავახიშვილი**, საქა-  
რთველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდი-  
ული განყოფილების გამგე **დ. ლორია**, საქა-  
რთველოს სსრ ზორციისა და რძის მრეწვე-  
ლობის სამინისტროს იურიდიული განყოფი-  
ლების უფროსი **ი. ზარქუა**, საქართველოს  
სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახე-  
ლმწიფო კომიტეტის იურიდიული სამმართვე-  
ლოს უფროსი **რ. რთველიაშვილი**, საქარ-  
თველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომა-  
რავების სახელმწიფო კომიტეტის სახელმეკ-  
რულებო დისციპლინაზე კონტროლის სამმარ-  
თველოს უფროსი **მ. ცხადაია**, საქართველოს  
სსრ პროკურორის პირველი მოადგილე **ვ. შა-  
რაშენიძე**, ჩხოროწყუს რაიონის აგროსამრეწ-  
ველო გაერთიანების იურისკონსულტი  
**ტ. ლემონჯავა**.

თათბირ-სემინარის მუშაობის შედეგები შე-  
ჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრ-  
მა **ა. შუშანიშვილმა**.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილე-  
ობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრა-  
ლური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგა-  
ნოების განყოფილების ინსტრუქტორი **ბ. ფა-  
ილოძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის მი-  
ნისტრის მოადგილე **თ. ნინიძე**.

თათბირ-სემინარმა მიიღო შესაბამისი რე-  
კომენდაციები.

**თ. მიჩხაშვილი**,  
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტ-  
როს უფროსი კონსულტანტი.

# თემილას ღიმილი

მოსამართლე: — სამართალში მიცემულო, როგორ მოხდა, რომ თქვენ მხოლოდ საათი მოიპარეთ, მაშინ, როცა ამ საათის გვერდით ორასი თუშნით სავსე ჩანთა იდო?

— მართლა?

— დიას...

— ოო, ასეთ შეცდომას თავს არ ვაპატიებ.

\* \* \*

მოსამართლე: — სამართალში მიცემულო, თქვენ ბრალი გედებათ იმაში, რომ დღისით-მზისით ჩაიღინეთ ქურდობა. რას იტყვით თავის განსამართლებლად.

— ბატონო მოსამართლე, იძულებული ვიყავი ეს საქმე შუადღისას ჩამედინა, გადადებდა არ შეიძლებოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დამე სხვა, უკეთესი რამ უნდა მომეპარა.

\* \* \*

— მოსამართლე: — გაკვირვებული ვარ თქვენი საქციელით, ყოველდღე ვიღაცის მოწმე ხართ.

— აქ არაფერია საკვირველი, ბატონო მოსამართლე, ყველას საქმეს თქვენ არჩევთ, მაგრამ მე როდი მიკვირს.

\* \* \*

— თქვენ უტკუო მიწოდეთ, წაიღეთ უკან თქვენი სიტყვა, თორემ სასამართლოში გიჩივებთ.

— სიტყვას კი წავიღებ უკან, მაგრამ ნუთუ ამით თქვენ ჭკუა მოგეცემათ?

\* \* \*

მოსამართლე: — თქვენ გბრალდებათ ცოლის ცემა, რისთვისაც კანონიერი სასჯელი მოგელით.

— ბატონო მოსამართლე, არ მეშინია... მე ხომ ყველა სასჯელი მოვიხადე.

— როგორ?

— ცოლის შერთვით, ბატონო მოსამართლე.

\* \* \*

მოსამართლე: — სამართალში მიცემულო, მართალს ამბობთ?

— მართალს მოგახსენებთ, ბატონო მოსამართლე.

— თქვენი ამხანაგი, რომ სხვას ამბობს?

— მჭერა, რადგან ისიც ტყუის.

\* \* \*

მოსამართლე: — სამართალში მიცემულო, ასე ახალგაზრდა კაცი როგორ და რამ მოგიყვანათ აქ?

— ეგ კი კარგად ვიცი, ბატონო მოსამართლე, თქვენ ის მითხარით, როგორ და რანაირად გავიღე აქედან.

\* \* \*

მოსამართლე: — ჩხუბის ღროს რომ ჩაერთო და აშველებდით, კეტი დაგარტყეს თავში?

— დიას, ბატონო მოსამართლე, — უპასუხა დაწარალებულმა.

— ექსპერტიზის თანახმად, თქვენ ტვინის შერყევა გაქვთ.

— ეგ ყოვლად შეუძლებელია, — შეიცხადა დაწარალებულმა.

— როგორ, თუ შეუძლებელია.

— როგორ და, ტვინის შერყევა არ მომივიდოდა.

— რატომ..?

— შე რომ ტვინი მქონოდა, სხვის ჩხუბში ჩავერეოდო...

\* \* \*

ქუჩაში მთვრალი მიბარბაცებდა, წაიბორძიკა და კანალიზაციის ორმოს დაეცა, ხელებით რკინის ცხაურს ჩააფრინდა და ატირდა: — ღმერთო ჩემო, ნეტავ რისთვის ჩამსვეს?!





## ცნობები ავტორთა შესახებ

**პეტრე სალდოს ძე ბატიკოვაძი** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი, პირველად იბეჭდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ბადრი პაპოს ძე თორდია** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის № 1 კათედრის ასპირანტი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**ლევან ანდრიას ძე ალექსიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**შოთა ვარლამის ძე გორგოძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პირველად იბეჭდება ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ნოდარ პაპაძის ძე გიორგოზიანი** — სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი, მეორედ იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**ანჟორ ალექსანდრეს ძე ბაბიანი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**დავით გიორგის ძე სუნიტაშვილი** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი, სისტემატურად თანამშრომლობს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**სულხან ამბროსის ძე გოგინავა** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

გარეგანი პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლები: ლაბორანტი მ. ჯონაძე (მარცხნიდან) უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი ც. გვირგვინიანი და ლაბორანტი მ. ჩიტინაძე ელექტრონულ-გამოკვლევულ მანქანაზე მუშაობის დროს.

დ. იაკობაშვილის ხელი.

---

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1985 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

Адрес редакции: 380110, Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87, 95-88-49.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

---

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

6209/8



ფანსი 60 333.

ნიმუში 76185